დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

თამარ ხეჩიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ხათუნა დუგლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო კილაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

სოფიო დუმბაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232550780

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი თვალადი
იურიდიული მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი თვალადი
ფაქტობრივი მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი თვალადი
საფოსტო ინდექსი	2610
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას აქვს ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tvaladi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 275025

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	#0230000684174 13.06.2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5-6 ივლისი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი თვალადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი თვალადი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი თვალადი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის შეფასების პროცესი დაგეგმილი პროცედურების შესაბამისად წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა ორი სავიზიტო დღის განმავლობაში იმუშავა სკოლაში, დაათვალიერა და შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე ჩაატარა ინტერვიურება მასწავლებლებთან და მოიპოვა დამატებითი ინფორმაცია მეორე სტანდართან (კურიკულუმთან) დაკავშირებით. ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში შეისწავლა სასწავლო გარემო და პირისპირ გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **240**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ბარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ბარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ბარვეზი*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*ბარვეზი*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*ბარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რფეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რფეკომენდაცია*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რფეკომენდაცია*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რფეკომენდაცია*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რფეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია სკოლამ სამომავლოდ შეიმუშაოს გამოკითხვის რაიმე ფორმა, რომლითაც უფრო აქტიურად მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათგან უკუკავშირის მიღება.
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	სასურველია სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ანალიზს არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი ხასიათი და სკოლამ შეიმუშაოს ანალიზის რაიმე ფორმა, რომლითაც უფრო მკაფიოდ გამოჩნდებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		თუ რაზე უნდა გაამახვილოს სკოლამ ყურადღება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას - სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	1. მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს საქმისწარმოების ერთიანი წესების დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს მაგალითად მოსწავლისა და თანამშრომლის საქმეების წარმოების პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს და სხვა. 2. ასევე მიზანშეწონილია სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში ან/და შესაბამის დოკუმენტში ასახოს სკოლაში მოქმედი ყველა საგნობრივი კათედრა.
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას - სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	1. მიზანშეწონილია სკოლას წარმოდგენილი ჰქონდეს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახითაც, სადაც თვალსაჩინოდ გამოჩნდებოდა სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი ურთიერთმიმართებები. 2. ამასთან, სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის ვერსიაში სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში არ არის ნახსენები დისციპლინურ კომიტეტი, რომელიც სკოლის სტრუქტურის სავალდებულო კომპონენტია. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		3. მიზანშეწონილია, დოკუმენტურად (დებულებაში, შრომით ხელშეკრულებაში) იყოს გაწერილი რომელი სტრუქტურული ერთული თუ თანამდებობის პირი რაზეა პასუხისმგებელი და ვის წინაშეა ანგარიშვალდებული.
ინდიკატორი 3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.	სასურველია სკოლის მიერ შემუშავებული "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი" უფრო მეტად იყოს მორგებული ადგილობრივ კონტექსტს და არ იყოს შაბლონური ხასიათის.
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.	1. მიზანშეწონილია ხელშეკრულებების რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში, რაც უფრო დაზუსტებულად უზრუნველყოფს ხელშეკრულებებისათვის სათანადო ნომრის მინიჭებას. (სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი). 2. გარდა ამისა, მიზანშეწონილია ახალი კონკურსის გამოცხადებ უსტატუსო მასწავლებლის მიერ დაკავებულ შტატზე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების #174/ნ 20.08.2019წ. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნის საფუძველზე.
ინდიკატორი 3.3.1.2.	იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან	1. მიზანშეწონილია სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით ჰქონდე გაწერილი პროცედურები, წესები, მათ შორის განცხადების ფორმები/ნიმუშები ისეთი მმართველობითი პროცესების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

	დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.	როგორიცაა მოსწავლის სტატუსის შეჩერება, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა და ა.შ. 2. მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს საქმისწარმოების ერთიანი წესების დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს არა მხოლოდ შემოსული და გასული დოკუმენტაციის ბრუნვისა და წარმოები წესებს, არამედ სხვა მიმართულებებსაც.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	მიზანშეწონილია სკოლაში მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნისა და სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სრული კონტროლის მიზნით დამონტაჟდეს ვიდეოკამერები, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს გავლილი ჰქონდეს შესაბამისი გადამზადება.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების პერიოდი (26.07.2023წ. - 16.10.2023წ.) და მოიპოვა კიდეც დასკვნა 19.072023წ. (ამონარიდი: შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარგულირებელ ნორმებს). **მიზანშეწონილია** სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობაში მოყვანა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.	მიზანშეწონილია სკოლის შენობაში შესვლა გარეშე პირებისათვის მოხდეს საშვების სისტემის მეშვეობით. ამ ეტაპზე სკოლა არ აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს, სადაც დაფიქსირდება ვიზიტორის ვინაობა და მონაცემები.
ინდიკატორი 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	მართალია სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი წერილობითი დოკუმენტის სახით, თუმცა ვერ წარმოადგინა წერილობითი თანხმობა მშობლებისაგან მოსწავლის ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით (აქვს მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება). შესაბამისად მიზანშეწონილია სკოლას მშობლებისაგან ჰქონდეს წერილობითი თანხმობა მოსწავლეები ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით, რათა სკოლამ სასკოლო დროს და სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლისათვის გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალა განათავსოს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე სკოლის დანიშნულებისათვის.
ინდიკატორი 3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	1. მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს დამტკიცებული სახით შესყიდვების განხორციელების წესი „სახელმწიფო შესაყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად. 2. ასევე შესყიდვების გეგმა უფრო კონკრეტულად ასახავდეს შესასყიდი საქონლის დასახელებას (სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის შესყიდვების წლიური გეგმა მოიცავს მხოლოდ შესასყიდი საქონლის CPV კოდს და ვერ ხდება იმ საქონლის იდენტიფიცირება, რის შსყიდვასაც გეგმავს სკოლა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		3. ასევე მიზანშეწონილია შესყიდვების გეგმის შედგენის დროს სკოლამ ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რომელიც საშუალებას მისცემს მას რელევანტურად დაგეგმოს შესასყიდი საქონელი წლის განმავლობაში. 4. ასევე კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს სკოლის დირექტორმა გამოსცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოხდება შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული შესყიდვის დაზუსტება (გეგმის განხორციელება). 5. მიზანშეწონილია ბუღალტერმა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სკოლასთან პერიოდულად სამსახურებრივი ბარათების მეშვეობით შესყიდვების ოპერაციების განხორციელების დროს.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	მიზანშეწონილია სკოლას დოკუმენტურად ჰქონდეს გაწერილ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობი სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.
ინდიკატორი 4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის მიღების მექანიზმები და შესაბამისად გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.	ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები მითითებულია მხოლოდ კომპლექსურ დავალებებთან. იმისათვის, რომ სრულყოფილად მოხდეს აღქმა, რამდენად არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმილი, მიზანშეწონილია ესგ-ს მიზნებ მოვარგოთ კურიკულუმში მითითებული ყველა თემა.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს: ,,სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში წინასწარ იყოს დაფიქსირებული მონიტორინგის სავარაუდო პერიოდი (მაგალითად სემესტრის ბოლოს), ინტენსივობა (მაგალითად წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების პოზიციები (მაგალითად კათერის ხელძღვანელი ან ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრი). ასევე სასურველია წინასწარ იქნას შემუშავებული და განსაზღვრული მონიტორინგის ფორმა, მეთოდოლოგია, შერჩევის პრინციპი.
ინდიკატორი 2.3.2.1.	სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს - შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.	იმისათვის რომ შეფასება ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უცხო ენების კათედრამ შეიმუშავოს წინასწარ წერილობითი ფორმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		სამიზნე ცნებებთან და მიზნებთან თანხვედრაში. ამასთან სასურველია მათში მოცემული კრიტერიუმები შეტანილი იყოს მარტივი ენით და არა ესგ-დან კოპირებით. რადგანაც კათედრის შემუშავებული რუბრიკა, მათში მოცემულ მოთხოვნები - კრიტერიუმები უნდა იყოს მოსწავლის მუშაობის გეზის მიმცემი შესაბამისად ბავშვს კარგად უნდა ,,ესმოდეს“, რას ითხოვს მასწავლებლი, რა უნდა დაინახოს თავად მოსწავლემ, რომ დარწმუნდეს ,,მიზანი მიღწეულია“. ამ ეტაპზე სკოლაში განმავთარებელი შეფასება ინგლისურ და რუსულ ენებში ძირითადად მიდინარეობს მხოლოდ ზეპირსიტყვიერად.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას.	მიზანშეწონილია მე-8, მე- 9 კლასებში თემის - მძლეოსნობა, ფეხბურთი კალათბურთი სამიზნე ცნების ქვეცნებებში ელემენტები შეიცვალოს ტექნიკით.
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	1. გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მე-10 კლასის საგნობრივ კურიკულუმებში მნიშვნელოვანია შეივსოს სამიზნე ცნებების გრაფა, რათა გამოჩნდეს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება, მიუხედავად იმისა მუშავდება თუ არა ეს სამიზნე ცნებები კომპლექსური დავალებებით. 2. მე-10 კლასის ისტორიის და საქართველოს ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში არასწორად არის განსაზღვრული ძირითადი საკითხის ფარგლებში კონტექსტ-მაგალითები, კონტექსტ-მაგალითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		წარმოადგენს კონკრეტულ საკითხს, ამბავს, რომელიც ხელს უწყობს ძირითადი საკითხის სიღრმისეულდამუშავებას, მაგ. სასურველია საკითხის - ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანამდე - ფარგლებში გამოიკვეთო შემდეგი კონტექსტ-მაგალითები: დმანისის აღმოჩენები, უძველესი ადამიანის ყოფა-ცხოვრება, შულავერ-შომუთეფეს კულტურა და ა.შ. 3. მე-10 კლასის მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში არასწორა არის შევსებული სავალდებულოთემების გრაფა, მოქალაქეობის საგნის სტანდარტზე დაყრდნობით გასაწერია მხოლოდ ორი სავალდებულო თემა: 1. გლობალური მოქალაქეობა; 2. სამართლებრივი კულტურა დ გამოსაკვეთია ამ თემების ფარგლებში დასამუშავებელი ძირითადი საკითხები და გრძელვადიანი მიზნები.
ინდიკატორი 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	1. გეოგრაფიის, საქართველოს ისტორიი საგნობრივი კურიკულუმები მე-10 კლასში - კომპლექსური დავალების განხორციელების პირველივე ეტაპზე, სასურველია, რომ მოხდეს კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდანგამომდინარე, ეს შეიძლება იყოს შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება, შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირება და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად საკლასო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ და ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები და ხელი შეეწყობა მათ პროგრესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი 2.1.2.5.	დაგეგმვის პროცესშიგათვალისწინებულია წინარე გამოცდილებისანალიზი.	გეოგრაფიის, საქართველოს ისტორიის, ისტორიის და მოქალაქეობის საგნობრიკურიკულუმები მე-10 კლასში: 1. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. 2. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებული თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ამსახველი რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანცვლება; ძირითადი კონტესქსტ-მაგალითის გაყვანა სხვა ქვესაკითხებზე, ქვენებებსა და სამიზნე ცნებებზე; კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებული დაზუსტებების (ქუდის ქვეში „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ“) და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		კონსტრუირება.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.	წარმოდგენილ ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები მითითებულია მხოლოდ კომპლექსურ დავალებებთან. იმისათვის, რომ სრულყოფილად მოხდეს აღქმა, რამდენად არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმილი, მიზანშეწონილია ესგ-ს მიზნებს მოვარგოთ კურიკულუმში მითითებული ყველა თემა.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების ნაწილში ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს : ,,სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში წინასწარ იყოს დაფიქსირებული მონიტორინგის სავარაუდო **პერიოდი,** (მაგალითად სემესტრის ბოლოს), **ინტენსივობა,** (მაგალითად წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ) **მონიტორნგის განმახორციელებელი პირების თანამდებობები** (მაგალითად კათერის ხელძღვანელი, ან ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრი). ასევე სასურველია წინასწარ იქნას შემუშავებული და განსაზღვრული მონიტორინგის ფორმა, მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		,შერჩევის პრინციპი. აღნიშნული აქტივობები, ვფიქრობ გაამარტივებს დაგეგმილი სამუშაოს შესრულებას და მეტად ეფექტური იქნება.
ინდიკატორი 2.3.2.4.	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.	სასურველია შეიქმნას ისეთი ინსტრუმენტი რომლშიც მონაცემთ შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გაწერილი.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო **სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის 2022-2023 ს/წ სკოლის მისია შესაბამისი ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში,** ასევე 2023-2024 ს/წ მისი, რომელიც მოცემულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. მისია სკოლას გაწერილი აქვს საფეხურების მიხედვით. იგი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, კერძოდ, „ჩამოუყალიბოს მოზარდებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში. მისი თითოეული მოსწავლე აღიჭურვოს საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით. აღზარდოს პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატრად გამოყენების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანი“. სკოლა აღნიშნულის მიღწევას გეგმავს ახალი სასკოლო კურიკულუმის შექმნით, არაფორმალური განათლების მიმართულების ხელშეწყობით, კლუბების ჩამოყალიბებით, სხვადასხვა პროექტების განხორციელებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, შემოქმედებითი უნარების განვითარებას და შესაბამისად იგი წარმატებული იქნება როგორც ადგილობრივ ისე გლობალურ გარემოში.

სკოლას სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან (2023-2030 სასწავლო წელი) გეგმაში (პროექტი) წარმოდგენილი აქვს სკოლის ხედვა, კერძოდ: ,,ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა მოსწავლეების განსხვავებული საწყისი მონაცემების, უნარების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეების გაზრდა“. 2022-2023 ს/წ მისია სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად დამტკიცებულია **პედაგოგიურ საბჭოზე 2022 წლის 5 სექტემბრის N 1 სხდომაზე** და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 2022 წლის 5 სექტემბრის N 1 სხდომაზე. ახალი მისიისა და ხედვის დამტკიცება სტრატეგიულ გეგმასთან ერთად მოხდება 2023-2024 ს/წლის დასაწყისში შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ.
ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი, რათა მოხდეს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება. აღნიშნულის მისაღწევად სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს ოჯახის, სკოლისა და სოფლის საზოგადოების კოორდინირებულ საქმიანობას. მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად სკოლა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროექტებში. თავადაც სთავაზობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მოსწავლეებს არაერთ აქტივობას, როგორიცაა: საქველმოქმედო ღონისძიებების გამართვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა-კასპის მერიასთან ერთად თურქეთში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის შეაგროვეს პირველადი საჭიროების საგნები. სკოლაში ფუნქციონირებს ,,მწვანე კლუბი“, რომელიც ატარებს სხვადასხვა აქტივობებს გარემოს დაბინძურების, ნარჩენების სეპარირებასა და გამწვანებასთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტში ,,წიგნიერების ამაღლება“. სკოლაში საშუალო საფეხურის მოსწავლეებში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით: ,,კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა“. სკოლის მოსწავლეები ჩართულნი არიან INTEl-ის პროექტში ბიოლოგიის, ქიმიისა და ინგლისური ენის მიმართულებით.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.** აღნიშნული ხორციელდებოდა მოსწავლეთა თვითმართველობასთან და საგნობრივ კათედრებზე შეხვედრებით, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს კრებებზე ზეპირი გასაუბრებით. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გამოკითხვებში აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. თუმცა სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს ადმინისტრაციის წევრები აფიქსირებენ, რომ **მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ნაკლებია და ძირითადად შემოიფარგლებიან ინფორმაციის მიღებით,** ხოლო უკუკავშირისგან თავს იკავებენ. სასურველია სკოლამ სამომავლოდ შეუიმუშავოს სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვის და პროცესებში ჩართულობის რაიმე ფორმა/მექანიზმი, რომლითაც უფრო აქტიურად მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათგან სათანადო სათანადო უკუკავშირის მიღება.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზირება სასკოლო საზოგადოების მიერ ხდება სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის გაერთიანებულ კრებებზე. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებიან მშობლებიც. ეცნობიან სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით ნაკლებად ხდება მათგან უკუკავშირის მიღება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო განხილვის უზრუნველყოფასა და სასკოლო საზოგადოებიდან უკუკავშირის მიღებას.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას უზრუნველყოფილი აქვს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა. იგი განთავსებულია სკოლის მთავარ შესასვლელში (ფოიეში) და მისი ნახვა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განთავსებას სკოლის სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/profile.php?id=100068664109440).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6. სკოლის სახელწოდებაა - სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა. იგი შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს/წ.
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2017-2023 სასწავლო წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2023-2030 სასწავლო წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი);
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია** და მასში ასახულია ის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პროორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების როგორც ექვსწლიანი (2017-2023 წ.წ.) გეგმა, ისე შვიდწლიანი გეგმის პროექტი (2023-2030 წ.წ.), ასევე სკოლის განვითარების ერთწლიანი (2022-2023 წ.წ.) სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემულია სკოლის განვითარების ექვსი მიმართულება, კერძოდ: სწავლის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციოლინური გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობა, ორგანიზაციული განვითარება.

ექსპერტებთან გასაუბრების დროს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავებაში ნაკლებად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება, მათგან იღებდნენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირებს. აქედან გამომდინარე მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შექმნას სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის წარმომადგენელი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია დაეფუძნება გუნდურ მუშაობას და ყველა სასკოლო რგოლის ჩართვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლზე მორგებული კითხვარები, რომლებიც სამომავლოდ დაეხმარება სკოლის SWOT (ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზში, კერძოდ: კითხვარი მასწავლებელთა ფოკუსჯგუფებისთვის, კითხვარი მშობელთა ფოკუსჯგუფებისთვის და მოსწავლის კითხვარი.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების როგორც ექვსწლიანი (2017-2023 წ.წ.) გეგმა, ისე შვიდწლიანი გეგმის პროექტი (2023-2030 წ.წ.). სკოლის სტრატეგიული განვითარების **შვიდწლიანი გეგმა ასახავს სკოლის საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს. მასში გაწერილია სკოლის მისიასთან შესაბამისი მიზნები და მიზნების და აღნიშნული მიზნების მისაღწევი ამოცანები,** როგორიცაა: ორგანიზაციული განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა, მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კლასგარეშე აქტივობების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ზრდის მოტივაცია, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება. გარდა ამისა სკოლას სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში წარმოდგენილი აქვს კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალი ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული მიზნის მისაღწევად. **სკოლას წარმოდგენილი აქვს ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობებისა და რისკების ანალიზი.** უნდა აღინიშნოს, სტრატეგიული განვითარების გეგმაში პირდაპირ ნარატივის სახითაა უკვე ჩამოთვლილი ანალიზის შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები), თუმცა ნაკლებადაა წარმოდგენილი თუ რა ინსტრუმენტებით მოხდა აღნიშნულის ანალიზი და შედეგების გამოკვეთა. **ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.** შესაბამისად არც სტრატეგიული მიზნები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. **შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2022-2023 წ.წ.) სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან (2017-2023წ.წ.) გეგმასთან.** სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში ყურადღება მახვილდება ისეთ მიმართულებებზე როგორიცაა: სკოლის მართვის დემოკრატიული სისტემის განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, ხოლო **სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში კი მოცემულია ექვსი მიმართულება:** სწავლის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობა, ორგანიზაციული განვითარება. ექსპერტებთან ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შედგა სკოლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, თუმცა აღნიშნულს ჰქონდა ზეპირსიტყვიერი სახე და დოკუმენტურად არ არის დადასტურებული.
ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.
რჩევა - სასურველია სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ანალიზს არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი ხასიათი და სკოლამ შეიმუშაოს ანალიზის რაიმე ფორმა, რომლითაც უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუ რაზე უნდა გაამახვილოს სკოლამ ყურადღება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს ექვსი სტრატეგიული მიზანი (სწავლის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობა, ორგანიზაციული განვითარება) და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს: შესაბამისი აქტივობები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.
ვიზიტის პერიოდში სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს არ ჰქონდა განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები). ინდიკატორი 1.2.1.4. შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 10.07.2023წ. 07.09.2023წ. პერიოდში შეიმუშავა 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სტრატეგიული მიზნებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2017-2023 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2023-2030 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა; (პროექტი);
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სოფელ თვალადის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.** ექსპერტებთან ინტერვიუს დროს სკოლის ადმინსტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამ ეტაპისთვის სკოლაში ნაკლებად მიმდინარეობდა სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, თუმცა გეგმავენ ახალი სასწავლო წლიდან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მიმართულება, კერძოდ კი სასწავლო ხარისხის ამაღლება, რომელიც ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი საგაკვეთილო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პროცესზე დასწრების საშუალებით, სკოლას გარკვეულწილად განხორციელებული აქვს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვიტარების ჯგუფის დებულება რომელშიც ნათლადაა გაწერილი ხარისხის განვითარების ჯგუფის მიზნები და ამოცანები, მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრების მიერ ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და პედაგოგებისთვის უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი სკოლის მიერ ძირითადად კათედრების დონეზე ხდება, საგაკვეთილო დაკვირვებასა და ცალკეული სეგმენტების საქმიანობაზე დაკვირვებით. სკოლა, შემუშავებული სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სამომავლოდ გეგმავს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის გამო აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.**

3. ექსპერტთა ვიზიტის დროს ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საჯაროობის გაზრდის მიზნით, სკოლა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს, დეტალურად ასახოს შედეგები სკოლის სოციალურ გვერდსა (https://www.facebook.com/profile.php?id=100068664109440) და ვებგვერდზე, რომელიც ამ ეტაპისთვის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გაზიარებული აქვს სამეურვეო საბჭოსთან დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშში. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის გამო აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.**

4. ექსპერტებთან ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან გაკეთდება სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი რის შედეგადაც გამოიკვეთება კონკრეტული პრობლემა და შემუშავდება მათი გადაჭრის გზები. **სკოლის პირველადი ავტორიზაციის გამო აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2017-2023 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2023-2030 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა; (პროექტი);
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ივლისის N2-57 ბრძანება სასკოლო გეგმის განხორციელების შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ივლისის N2-58 ბრძანება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ივლისის N2-56 ბრძანება სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულ;ირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ივლისის N2-52 ბრძანება სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის მიშაობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისის MES 8 23 0000797023 წერილი სკოლის ვებ. გვერდის შექმნის შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მართვა ხორციელდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სკოლაში შემუშავებული მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

სკოლას წარმოდგენილი აქვს **სკოლის სტრუქტურა** „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის" სახით, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს, ტექნიკურ პერსონალს. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც **დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-56 03.07.2023წ.** სტრუქტურის შემადგენელი ერთეულების ფუნქციები და ურთიერთმიმართებები მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელ დოკუმენტის მუხლებში.

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სამეურვეო საბჭოს, დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების და მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები. კერძოდ:

სკოლის სამეურვეო საბჭო - სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც არჩეულია 2022 წლის 20 ივნისს. საბჭო შედგება 3 მასწავლებლისა და 3 მშობლისაგან (პირველი, მეორე და მესამე საფეხურის თითო-თითო მშობელი). საბჭოს ფუნქციები შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მოთხოვნებთან სამურვეო საბჭოს ფუნქციების შესახებ. **სკოლას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი ოქმი - „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამაბელი ოქმი 20.06.2022წ.

სკოლის პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები: ა) პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმის დამტკიცება; ბ) სკოლის მისიის განხილვა; გ) სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმების გაცნობა/განხილვა; დ) სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმების განხილვა; ე) საფეხურებისა და საგნების შესაბამისად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან კათედრების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება; ვ) სწავლა-სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად გადაწყვეტილებების მიღება; ზ) სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხების განხილვა; თ) მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხის განხილვა; ი) ისგ ჯგუფის მუშაობის შედეგების განხილვა. პედსაბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის ყველა პედაგოგი - სულ 21 მასწავლებელი.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია ამ დებულებითა და შრომითი ხელშეკრულებით. **დირექტორს არ ჰყავს მოადგილე (სკოლა მცირეკონტიგენტიანია)** და თავად ასრულებს დირექტორის მოადგილის ფუნქციებს. სკოლის მოქმედი ხელმძღვანელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია 2020 წლის 21 თებერვლიდან. ის რეგისტრირებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას **მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ბრძანება #1.2/70** 21.02.2020წ. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - გულნარ ოთიაშვილის უფლებამოსილების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტარციის შესახებ“. მოცემული დებულების მიხედვით, სკოლის დირექტორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობას და სკოლის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვადასხვა უფლებამოსილებებს. კერძოდ, დირექტორი ამტკიცებს სკოლის სამოქმედო გეგმას, განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურას, ამტკიცებს სკოლის განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიან) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზედამხედველობს სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს და სხვა. **მიმდინარე ს/წელს დირექტორის საათობრივი დატვირთვა შეადგენს 16 საგაკვეთილო საათს, რაც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.** მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს კასპის **რესურსცენტრის წერილი MES 0 22 0001009326 06.09.2022წ.** რომლითაც გაცემულია თანხმობა თვალადის სკოლის დირექტორისათვის გამოკალისის სახით კვირაში 16 საათით დატვირთვის შესახებ. ნებართვის გაცემის საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების“ მე-11 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

დირექციის წევრია ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. ბუღალტერი უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული საფინანსო ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას, ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვის სწორ ორგანიზებას; აწარმოებს ანგარიშსწორებას ბანკთან, საგადასახადო ორგანოებთან, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან; ახორციელებს ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვასა და რეგისტრაციას ელექტრონულ პროგრამაში; ასევე, ბუღალტრული დოკუმენტების შენახვას და არქივაციას; დირექტორის დავალებით მონაწილეობს ინვენტარიზაციაში, გამოავლენს და აღრიცხავს შედეგებს, რომელსაც ასახავს შედარების უწყისში.

ადმინისტრაციაში შედის 2 პირი - საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი. სტრუქტურის დოკუმენტის თანახმად, საქმისმწარმოებელი თავის საქმიანობას წარმართავს სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. დოკუმენტით განსაზღვრულია საქმისმწარმოებლის ფუნქციები და ვალდებულებები. ამასთან, სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს **საქმისწარმოების წესი - დირექტორის ბრძანება #2-38 01.09.2021წ. სკოლაში საქმისწარმოების განსხვავებული წესის დადგენის შესახებ.** თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს წესი არეგულირებს საქმისწარმოებას „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების გათვალისწინებით. სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების პროცედურები/წესები სკოლას აღწერილი აქვს საავტორიზაციო განაცხადში, თუმცა ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს შემუშავებული საქმისწარმოების მარეგულირებელი ერთიანი წესების დოკუმენტი. **მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს საქმისწარმოების ერთიანი წესების დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს მაგალითად მოსწავლისა და თანამშრომლის საქმეების წარმოების პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს და სხვა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. საინფორმაციო მენეჯერის ფუნქციას ასრულებს ისტ-ის და ტექნოლოგიების მასწავლებელი. მტუკ-ის ფუნქციები შეთავსებული აქვს დირექტორის მ/შ-ს.

სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მისი პედაგოგიური პერსონალი შედგება - 21 მასწავლებლისაგან.

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 ს/წ საშტატო განრიგი (#2914-23-04-7223), რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან რომლითაც განსაზღვრულია 25 საშტატო ერთეული მასწავლებლების ჩათვლით და 8 შტატგარეშე ერთეული - სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა. აღნიშნული ნუსხის მიხედვით, სკოლის ტექნიკური და სხვა მომსახურე შტატგარეშე პერსონალში შედის სკოლის ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები - ერთი ფსიქოლოგი, ერთი ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი და ერთი ცეცხლფარეში.

სკოლაში მოქმედი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სტრუქტურული რგოლია ასევე მრჩეველთა საბჭო.

გარდა ამისა, სკოლას ჰყავს **დისციპლინური კომიტეტი. მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 20.10.2022წ**. რომლითაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს მიერ დისციპლინური კომიტეტის ფორმირება. კომიტეტის შემადგენლობაში შედის 6 წევრი - 2 მშობელი, 2 მასწავლებელი, 2 მოსწავლე საშუალო საფეხურის თვითმმართველობიდან.

სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა. 1. სახელმწიფო ენის, რომლის შემადგენლობაში შედიან ქართული ენა და ლიტერატურის და უცხოური ენების მასწავლებლები. 2. მათემატიკის, ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა. 3. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაში შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებლები. 4. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაში შედიან მუსიკის, ხელოვნების, სპორტის და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფღთხოების მასწავლებლები. **დოკუმენტში მე-5 კათედრა მოხსენებული არ არის, თუმცა სკოლაში ფაქტობრივად ფუნქციონირებს დაწყებითი კლასების კათედრა. მიზანშეწონილია სკოლამ ასახოს შესაბამის დოკუმენტში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კათედრების საქმიანობას არეგულირებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი და 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა. კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (სემესტრში ორჯერ). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. **სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კათედრის ოქმები, მათ შორის ოქმი სასწავლო წლის დასაწყისში.**

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას მტკიცებულებებად წარმოდგენილი აქვს დირექტორის **ბრძანება #2-13 07.10.2022წ. „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.** ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები ნიმუშის სახით, საიდანაც დასტურდება თავმჯდომარის არჩევა. **სკოლას აქვს თვითმმართველობის დებულება,** სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქციები და საქმიანობის წესი.

სკოლაში ფუქნციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის ჯგუფის დებულებით. მტკიცებულება - ხარიხის ჯგუფი დამტკიცებულია - სკოლის დირექტორის ბრძანებით.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო - დირექტორის ბრძანება #2-04 13.02.2020წ. მის შემადგენლობაში შედის სკოლის დირექტორი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.

წარმოდგენილი მასალებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და საქმიანობები მკაფიოდაა განსაზღვრული. ამავე დროს, სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს რჩევა, კერძოდ **მიზანშეწონილია სკოლას წარმოდგენილი ჰქონდეს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახითაც, სადაც თვალსაჩინოდ გამოჩნდებოდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ურთიერთმიმართებები. ამასთან, სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის ვერსიაში სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში არ არის ნახსენები დისციპლინურ კომიტეტი, რომელიც სკოლის სტრუქტურის სავალდებულო კომპონენტია სხვა კოლეგიურ ორგანოებთან ერთად (მაგ. სამეურვეო საბჭო, პედსაბჭო).** „ზოგადი განათლების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, დირექციას, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს.

ამავე კანონის 35-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საჯარო სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. წარმოდგენილი მასალებით მკაფიოდ არ ჩანს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები ერთმანეთის მიმართ როგორ არიან ანგარიშვალდებული. **მიზანშეწონილია, დოკუმენტურად (დებულებაში, შრომით ხელშეკრულებაში) იყოს გაწერილი რომელი სტრუქტურული ერთული თუ თანამდებობის პირი რაზეა პასუხისმგებელი და ვის წინაშეა ანგარიშვალდებული.** მაგ. დირექტორი, რომელიც იმავდროულად ასრულებს მოადგილის ფუნქციას და თავად ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, კათედრების მუშაობას, სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული და რა ფორმით და სიხშირით. ვის წარუდგენს სემესტრულ ანგარიშებს (პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს თუ სხვა). ვის წინაშეა ანგარიშვალდებული ბუღალტერი და რა ფორმით გამოიხატება ეს ანგარიშვალდებულება და სხვა. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების მსგავსად სკოლაში შემუშავებული იყოს პედსაბჭოს და კათედრის დებულებები.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის პერსონალისთვის ფუნქციების და პასუხისმგებლობის განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობას.** სკოლის განმარტებით, სკოლის დირექცის და ტექნიკური პერსონალის გამოცხადება სკოლაში ხდება 8სთ.30 წთ. მოწმდება უსაფრთხოება, გათბობა, ელექტროენერგიის მიწოდება და მოსწავლეთა შემოსვლა სკოლის შენობაში. თითოეული დამრიგებელი, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში ხვდება და მიაცილებს მოსწავლეებს საკლასო ოთახში და გაკვეთილების დაწყებამდე უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. მორიგე მასწავლებლები დღეების და სართულების მიხედვით განაწილებული არიან, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას.

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიოცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N06 ბრძანების, N167 ბრძანების, ასევე, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების, ანგარიშვალდებულების სასკოლო პრაქტიკა ასეთია: დირექტორი ანაწილებს ფუნქციურ მოვალეობებს დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს; განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, იღებს გადაწყვეტილებას სკოლის პერსონალის შრომის ხელშეკრულებების დადება/შეწყვეტის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი ფაქტობრივად ასრულებს დირექტორის მოადგილის მოვალეობას სკოლაში, რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია და დირექტორს არ ჰყავს მოადგილე.

სკოლას შემუშვებული აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება 2023-2024 ს/წლისათვის - დირექტორის ბრძანება #2-52 03.07.2023წ. ამ დებულების მიხედვით, სკოლაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების მიზნით საჭირო წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება.

ჯგუფის ფუნქციებია: ა) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა სტანდარტების მოთხოვნებთან სკოლის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით. ბ) სკოლის რესურსების, მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და დამხმარე რესურსების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციისა სტანდარტებთან; გ) თვითშეფასების პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა მასწავლებლებთან თანამშრომლობით; დ) სასკოლო საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით მათი პერიოდული შეფასებისა და რევიზიის ორგანიზება მშობლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობით; ე) სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სოციალური კვლევის ჩატარება. მოსწავლეებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ორგანიზება, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავება, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება და სხვა.

სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სადამრიგებლო საქმიანობას. სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამები 2022-2023 ს/წლისათვის, საიდანაც ჩანს სააღმზრდელო მიმართულებით დაგეგმილი საქმიანობები სადამრიგებლო საათის ფორმატის ფარგლებში. ასევე წარმოდგენილია რამდენიმე კლასის დამრიგებლის ანგარიში/ანალიზი 20220-2023 ს.წ. I სემესტრის, რომელშიც იკითხება კლასში განხორიელებული საქმიანობები. მაგ. მე-6 კლასის სადამრიგებლო პროგრამა, სადამრიგებლო საქმიანობის ანალიზი.

ინდიკატორი 3.1.1.2. - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი #2914-23-04-7223
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-56 03.07.2023წ.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 20.10.2022წ. დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ.
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ბრძანება #1.2/70 21.02.2020წ. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - გულნარ ოთიაშვილის უფლებამოსილების ზოგადი განათლების მართვის საინფორამციო სისტემაში რეგისტარციის შესახებ“.
- „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი 20.06.2022წ.
- დირექტორის ბრძანება #2-38 01.09.2021წ. სკოლაში საქმისწარმოების განსხვავებული წესის დადგენის შესახებ.
- დირექტორის ბრძანება #2-13 07.10.2022წ. „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ - დირექტორის ბრძანება #2-04 13.02.2020წ.
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება და დირექტორის ბრძანება ##2-52 03.07.2023წ.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი - დირექტორის ბრძანება.
- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის ოქმი.
- 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა.
- მე-6 კლასის სადამრიგებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის განცხადებით, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სოფელ თვალადის საჯარო სკოლაში 31 თანამშრომელია, აქედან 20 საგნის მასწავლებელი, ერთი სპეც. მასწავლებელი, ერთი ფსიქოლოგი, ერთი ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ორი დამლაგებელი, ორი დარაჯი, ერთი ექიმი, ერთი ბიბლიოთეკარი, ერთი ბუღალტერი, ერთი საქმისმწარმოებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. 20 მასწავლებლიდან 14 მასწავლებელი უფროსია, ორი - წამყვანი, ხოლო ოთხი პედაგოგი უსტატუსოა. ერთი უფროსი სტატუსის მქონე სპეც. მასწავლებელია. მასწავლებელთა დატვირთვა შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დატვირთვას.

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და ადგილზე ექსპერტა ვიზიტით დადგინდა შემდეგი: სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი, ცალკეული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების მიზნით დირექტორს გარკვეული უფლებამოსილებები განაწილებული აქვს ხარისხის მართვის ჯგუფისაა და ასევე კოლეგიური ორგანოებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კანონმდებლობის დაცვით იქმნება სხვადასხვა კოლეგიური ორგანო (პედაგოგიური საბჭო, სამეურვო საბჭო, მრჩეველთა საბჭო), რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი ერთ-ერთი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 5 სექტემბრის N 1 სხდომაზე. სკოლის შინაგანაწესის მე-2 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის ქცევის მარეგულიერებლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წესები, კერძოდ სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი.

შინაგანაწესის მე-6-7-8 მუხლები აწესრიგებს სკოლის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხებს და პირობებს: გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო.

ის რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დასტურდება სკოლის მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესით. კერძოდ: სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება **კონკურსის წესით.** გათვალისწინებულია შიდა კონკურსი და ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში ღია კოკურსის გამოცხადება. განსაზღვრულია კონკურსის დროს ინფორმაციის განთავსების წესი/პირობები. ასევე კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრულია სკოლის **დირექტორის ბრძანებით #2-55 03.07.2023წ. - სკოლის პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.**

დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მიზანია პერსონალის ერთობლივი, წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფა, მათი ძლიერი მხარეების გამოვლენა და სუსტი მხარეების გამოსწორებაში ხელის შეწყობა. სკოლას მიაჩნია, რომ ორგანიზაციის წარმატება პირდაპირ კავშირშია პერსონალის სწორ მართვასთან. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა.

სკოლას წარმოდგენილი აქვს **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.** დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელიც გულისხმობს მთლი რიგი ამოცანების განხორციელებას. ამ დოკუმენტის სამართლებრივი წესით დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი არაა წარმოდგენილი. დოკუმენტი შაბლონური და ზოგადია და ნაკლებად შეესაბამება მოცემული სკოლის კონკრეტულ საჭიროებებს. **მიზანშეწონილია მსგავსი ტიპის დოკუმენტი უფრო მეტად იყოს მორგებული ადგილობრივ კონტექსტს.**

შინაგანაწესი (მე-10 მუხლი) ითვალისწინებს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესს. მე-9 მუხლი ითვალისწინებს შრომის პირობების დაცვის უსაფრთხოების ინსტრუქციას. 21-ე მუხლი არეგულირებს დასაქმებულის მატერიალურ პასუხისმგებლობას. მე-12 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომლების დისციპლინურ გადაცდომებს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს/სახდელებს. ასევე დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს და დისციპლინური წარმოების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სასკოლო პროცესების ხარისხის მართვის მექანიზმებს. განსაზღვრავს, თუ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვა. კერძოდ, ითვალისწინებს სკოლის თვითშფასებას - სტრატეგიულ ანალიზს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით. ასევე სკოლის საქმიანობის შესაფასებლად დამაჯერებელი მტკიცებულებების მოპოვებას და მონაცემთა ბაზის შემუშავებას. განსაზღვრავს ხარისხის მაჩვენებს, განსაზღვარს ყოველწლიური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს (ცხრილები, კითხვარები და სხვა). ადგენს დირექტორის უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს სკოლის განვითარების კუთხით. **განსაზღვრულია სწავლის ხარისხის მონიტორინგის ფორმები** - სასწავლო პროგრამების/სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა დირექციისა და კათედრის ხელმძღვანელების ერთობლივი მონაწილეობით. მასწავლებელთა პროფესული საჭიროებების დადგენა, მისი ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება.
ინდიკატორი 3.1.2.1. - დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ დაკისრებული აქვთ კვალიფიკაციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები,** რომლის ხარისხიანი შესრულება მათი პასუხისმგებლობაა. სკოლის დირექტორის განმარტებით, მის მიერ ყოველდღიურად ხორციელდება პერსონალის მართვის კონტროლი, თუმცა ამ ეტაპისთვის სკოლას მონიტორინგის წინასწარ გაწერილი სისტემა არ აქვს. აღნიშნულის შემუშავებას და განხორციელებას სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.

სკოლას უკვე შემუშვებული აქვს რიგი დოკუმენტები საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის მიმართულებით, რაც მოცემულ ეტაპზე გამოიხატება შემდეგში: **სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,** რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლა დასახული მიზნების მიღწევისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივ მონიტორინგს, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პერსონალის ვაკანსიის განსაზღვრა ხდება საჭიროებების მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვას, ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებები. ეს პოლიტიკა ეხმარება სკოლას საკუთარი პერსონალის პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენებაში, მოსწავლეების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილების დონის გაზრდაში, მის შენარჩუნებასა და განვითარებაში. სკოლა პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით.

პრევენციული მართვის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად **სკოლაში შემუშავებულია უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების საფუძველზე. დებულებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #2 20.10.2022წ.
ასევე სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. **დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-51 03.07.2023წ.**

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს, **სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ხარისხის ჯგუფის რამდენიმე ოქმი,** საიდანაც ჩანს საგაკვეთილო დასწრების საკითხები და გაცემული უკუკავშირები და რეკომენდაციები. ადგილზე ვიზიტის დროს გავესაუბრეთ ხარისხის ჯგუფის წევრებს - სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რომლებმაც აღწერეს სკოლაში დამკვიდრებული საგაკვეთილო მონიტორინგის პრაქტიკა, მოიყვანეს საგაკვეთილო დაკვირვების ფარგლებში მიღებული თუ გაცემული უკუკავშირების მაგალითები. მართალია სკოლაში პრქტიკულად დ ხორციელდება საგაკვეთილო დაკვირვება, თუმცა სკოლას მოცემულ ეტაპზე არა აქვს ხარისხის მონიტორინგის დოკუმენტური სახით წარმოების პრაქტიკა. მიზანშეწონილია წინასწარ შემუშავდეს საგაკვეთილო დაკვირვების ფორმები, უკუკავშირისა და რეფლექსიის ფორმები.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორი 3.1.2.2. - დაკმაყოფილებულია.**

3. **მასწავლებლების შერჩევა ხდება მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნების დაცით.** სკოლის საქმიანობა მიმართულია იმისაკენ, რათა პერსონალის შერჩევის პროცედურებმა უზრუნველყოს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა აცხადებს ვაკანსიას teachers.gob.ge, აცხადებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ადგენს საკონკურსო კომისიას, რომელშიც ჩართულები არიან როგორც შესაბამისი კათედრის მასწავლებლები, ასევე რესურსცენტრის წარმომადგენლები, მასწავლებლის სახლის და პროფკავშირის წარმომადგენლები. გამოქვეყნებულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მისი ნახვა შეუძლია ნებისმიერ პირს.

ღია კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დარეგულირებულია სკოლის დირექტორის ბრძანების #2-55 03.07.2023წ. საფუძველზე, რომლითაც შემუშავებულია პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, დოკუმენტით განსაზღვრული და განმარტებულია ის ძირითადი პრინციპები, რასაც ემყარება სკოლის დასაქმების პოლიტიკა: ესენია სამართლიანობა, თანასწორობა, მრავალფეროვნება და გამჭვირვალობა. ასევე განსაზღვრულია დასაქმების საფეხურები: საშტატო ერთეულების ანალიზის საფუძველზე საჭიროებების განსაზღვრა და კანდიდატების შერჩევა. ასევე განსაზღვრულია პერსონალის კონკრეტული პოზიციის შესაბამისად საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (განათლება და კვალიფიკაცია; მინიმალური სამუშაო გამოცდილება; სამუშაოს შსრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები). განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცედურები და ეტაპები, თანამშრომელთა სამსახურში მიღების წეი და **ახალი თანამშრომლების საორიენტაციო პროგრამა.**

სკოლას ჩატარებული აქვს რამდენიმე ღია კონკურსი, ბოლო წლებში გამოცხადებული აქვს ვაკანსია ისტორიის მასწავლებელისა და საქმისმწარმოებლის პოზიციებზე.

სკოლამ საკონკურსო წესით შეარჩია საქმისმწარმოებელი. სკოლის დირექტორის მ/შ გამოაცხადა **ღია კონკურსი ბრძანების საფუძველზე (ბრძანება #1კ-11 24.01.2023წ.** „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლაში საქმისმწარმოებლის მიღების მიზნით საჯარო კონკურსის გამოცხადების, საკონკუროს კომისიის შექმნისა და აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალისა და მონაცემების განსაზღვრის შესახებ, რომელსაც უნდა შეიცავდეს კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება“). აღნიშნული ბრძანებით სკოლამ შექმნა საკონკურსო კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით, მათ შორის ერთ-ერთი კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტი. განსაზღვრა საკვალიფიკაციო და დამატებითი მოთხოვნები აპლიკანტებისათვის, დეტალურად განსაზღვრა საქმისმწარმოებლის სამუშაო აღწერილობა, კონკურსის ვადები და ეტაპები, აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტები, მათ შორის ცნობა ნასამართლეობის და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საკონკურსო კომისიის ოქმები: ოქმი #1 26.01.2023წ. რომელიც ითვალისწინებს საქმისმწარმოებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევას. სულ შემოსული იყო 2 განაცხადი და ორივე აპლიკანტი გადავიდა გასაუბრების მე-2 ეტაპზე. **ოქმი #2 27.01.2023წ.** რომელიც ითვალისწინებს საქმისმწარმოებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად შესაბამისი პირის შერჩევას. გასაუბრებაზე გამოცხადა ერთი აპლიკანტი, რომელიც შეირჩა კომისიის მიერ. სკოლის განმარტებით, სკოლა სატელეფონო შეტყობინებით დაუკავშირდა აპლიკანტს და აცნობა კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასვლის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლამ ასევე ჩაატარა ღია კონკურსი ისტორიის მასწავლებლის ვაკანტური პოზიციაზე. სკოლამ ღია კონკურსი გამოაცხადა teacherjobs.ge-ზე 14.12.2021წ. და აპლიკანტების განაცხადების მიღების ვადად განსაზღვრა 18.12.2021წ. მიუთითა რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლობის კანდიდატი, ასევე განაცხადების მისაღებად მიუთითა სკოლის ელექტრონული ფოსტა tvaladi@mes.gov.ge. სულ განაცხადი შემოიტანა 9 აპლიკანტმა, მათ შორის ერთმა აპლიკანტმა განაცხადი გამოგზავნა სკოლის ფოსტაზე tvaladi@mes.gov.ge. და არა teacherjobs.ge-ზე. გასაუბრების ეტაპზე საკონკუროს კომიისი გადაწყვეტილებით გადავიდა 9 აპლიკანტიდან 5 აპლიკანტი. მათგან გასაუბრებაზე გამოცხადაა 4 აპლიკანტი. **სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს დირექტორის ბრძანება 13.12.2021წ.** ისტორიის მასწავლებლის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, ასევე **კომისიის ოქმი #1 27.12.2021წ.** (კანდიდატების განაცხადების გადარჩევის შესახებ) **და ოქმი #2 27.12.2021წ.** (ისტორიის ვაკანტური საათების შესავსებად შესაბამისი პირის შერჩევა). საკონკურსო კომისიამ შეარჩია სწორედ ის კანდიდატი, რომელსაც განაცხადი შემოტანილი ჰქონდა სკოლის ფოსტაზე და არა teacherjobs.ge-ზე. შესაბამისად, სკოლების ვაკანსიების ელექტრონულ პორტალზე teacherjobs.ge-ზე შერჩევის პროცესი დასრულებული ჩანს, მაგრამ არაა ასახული კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატი (რადგან მას ვაკანსიების გვერდზე განაცხადი შემოტანილი არ ჰქონია).

ადგილზე ვიზიტის დროს teachers.jobs.ge-ზე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის რამდენიმე განაცხადი (ისტორიის მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის), რომლითაც დადასტურდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლებით. დაცულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მასწავლებელთა პირადი საქმეები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. პირად საქმეში იდო შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100), მასწავლებლის სერტიფიკატი, სერთიფიკატები გავლილი ტრენინგების შესახებ, CV, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ცნობები ნარკოლოგიური შემოწმების, ნასამართლობის შესახებ.

ვიზიტის პერიოდში 2020 წლის შემდეგ სკოლაში დასაქმებული ზოგიერთი დასაქმებულის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ყველა თანამშრომლის ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ღია კონკურსის დროს აპლიკანტს განაცხადი შემოტანილი აქვს სკოლის ფოსტაზე და არა სკოლების ვაკანსიების პორტალზე teachers.gob.ge-ზე, რითაც არ არის უზრუნველყოფილი კონკურსის ობიექტურობა და გამჭვირვალეობა. სკოლას არა ჰქონდა შემუშავებული კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი ქულებით, რაც უნდა გახდეს საფუძველი კანდიდატის შერჩევისას. კონკურსის დროს აპლიკანტებთან კომუნიკაცია არ ხდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციით ხდება), შესაბამისად თითოეულ აპლიკანტთან ვერ იგზავნება სათანადო ტექსტური შეტყობინება უკუკავშირის სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნებოდა გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 01.09.2023წ. 17.10.2023წ. პერიოდში შეიმუშავა სათანადო სასკოლო რეგულაცია - სკოლის დირექტორის ბრძანებით (#2-79 16.10.2023წ.) შეიმუშავა სკოლის პერსონალის შერჩევის და შეფასების კრიტერიუმები. რასაც სკოლა გაითვალისწინებს შემდგომში კონკურსების ჩატარების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თავდაპირველად ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებულია 33 თანამშრომელი, ამათგან 21 მასწავლებელი, დირექციის 2 წევრი (დირექტორი და ბუღალტერი), ადმინისტრაციის 2 წევრი (საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი), 8 შტატგარეშე თანამშრომელი (სკოლის ექიმი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში).
21-დან 14 უფროსი მასწავლებელია, ორი წამყვანი მასწავლებელია, ოთხი უსტატუსო მასწავლებელია.

სკოლის განმარტებით, 16 მასწავლებლის და ასევე ერთი სპეც. მასწავლებელის, ექიმის, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ხოლო 4 უსტატუსო მასწავლებლიდან ერთს აქვს ჩაბარებული საგნის გამოცდა, ორს პროფესიული უნარების გამოცდა, ერთ მასწავლებელს დიპლომით აქვს მინიჭებული კვალიფიკაცია. სკოლამ გამოაცხადა ვაკანსიები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ასევე მუსიკის მასწავლებლების პოზიციაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვის მიზნით, სამწუხაროდ კონკურსი არ შედგა. სასწავლო პროცესს ხელი რომ არ შეშლოდა, აღნიშნულ მასწავლებლებს სკოლამ გაუფორმა დროებითი ხელშეკრულებები ახალი ვაკანსიის გამოცხადებამდე. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს კადრების განახლება.

სკოლა მასწავლებლების შერჩევისთვის ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, სკოლის ექიმის შერჩევის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია თანამშრომელთა **კადრების აღრიცხვის ფურცლები.** ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები.
უფროს და წამყვან მასწავლებლებთან სკოლას გაფორმებული აქვს განსხვავებული ხელშეკრულებები, ხელეკრულებებში მითითებულია რომელი სტატუსის მასწავლებელთანაა გაფორმებული - წამყვან თუ უფროს მასწავლებელთან. შესაბამისად ასახულია განსხვავებული მოთხოვნები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები: ხელშეკრულება #5 15.09.2022წ. მათემატიკისა და ფიზიკის უფროს მასწავლებელთან (უვადო). ხელშეკრულება #2 15.09.2022წ. მათემატიკის წამყვან მასწავლებელთან (უვადო). ხელშკრულება #9 15.08.2022წ. დამლაგებელთან ერთი წლის ვადით (სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად ტექნიკურ პერსონალთან ფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულებები). ხელშეკრულება #20 15.09.2022წ. დარაჯთან ერთი წლის ვადით. ხელშეკრულება #17 15.09.2022წ. ბიბლიოთეკართან ერთი წლის ვადით. ხელშეკრულება #4 17.01.2022წ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უსტატუსო მასწავლებელთან. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია ვაკანსიის ახალი კონკურსის გამოცხადება. თუმცა სკოლას ამ ეტაპისათვის ჯერ არ გამოუცხადებია აღნიშნულ პოზიციაზე ახალი კონკურსი. ხელშეკრულება 15.09.2022წ. ფსიქოლოგთან ერთი წლის ვადით. ხელშეკრულებას არა აქვს მინიჭებული ნომერი.

სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. მიზანშეწონილია ხელშეკრულებების რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში, რაც უფროე დაზუსტებულად უზრუნველყოფს ხელშეკრულებებისათვის სათანადო ნომრის მინიჭებას. გარდა ამისა, **მიზანშეწონილია ახალი კონკურსის გამოცხადება უსტატუსო მასწავლებლის მიერ დაკავებულ შტატზე** -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების #174/ნ 20.08.2019წ. „მასწავლებლის საქმიანობის დაწეყბისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს გადაამოწმა ექიმის პირადი საქმე. ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება #5-31 30.12.2022წ. მას აქვს ზოგადი პროფილის ექიმის კვალიფიკაცია (წინარე გამოცდილება სასწრაფოს ექიმი) და აღნიშნულ სკოლაში დასაქმებულია 2019 წლიდან. ექიმის პირადი საქმე შეესაბამება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებას (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი).

შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა განმარტავს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის ყველა თანამშრომელს გაზიარებული აქვს გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. სკოლაში მასწავლებლები კომპეტენციიდან გამომდინარე საჭიროებისდა მიხედვით ითავსებენ ერთმანეთის ფუნქციებს, თანამშრომლობენ კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლას დაგეგმილი აქვს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება. წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **კოლეგიური** სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობენ მასწავლებლები. **გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა დასტურდება სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანოს - პედსაბჭოს მასალებით.** კერძოდ, ოქმებიდან ჩანს მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, აკადემიური მოსწრების შედეგების განხილვა და სხვა. პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. **მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმები: ოქმი #5 16.06.2022წ.** განსახილველი საკითხი - 2021-2022 სასწავლო წელს სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლაში საბაზო საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ საკითხის განხილვა; **ოქმი #1 06.09.2022წ. და ოქმი #2 07.09.2022წ.** სადაც მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე. #1 პედსაბჭოზე განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა პედსაბჭოს წლიური სამუშო გეგმის დამტკიცება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება ასევე დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევის საკითხი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოხსენიებულია როგორც ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა, რაც არასწორია, მიზანშეწონილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების არსი მკაფიოდ იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან). ამასთან, პედსაბჭოს ბოლო საკითხად ოქმში მინიშნებულია სხვა მიმდინარე საკითხები, თუმცა არსად არაა განმარტებული რა იგულისხმება ამ საკითხებში და რაზე იყო მსჯელობა. მიზანშეწონილი არაა ასეთი ზოგადი საკითხის მინიშნება დღის წესრიგში კონკრეტიკის გარეშე.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით. საილუსტრაციო მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #1 05.09.2022წ.** სადაც დღის წესრიგში მოცემულია ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კოლეგიურ მიდგომას საჭიროებს: კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა, სასწავლო რესურსების შერჩევა. კათედრის სამოქმედო გეგმა დანართის სახით უნდა იყოს მოცემული, მაგრამ დანართი არ ახლავს. ოქმს ასევე არ ახლავს სასწავლო რესურსების დანართი, რომლებიც შერჩეულია კათედრის საერთო გადაწყვეტილებით. სასურველია კათედრაზე განიხილებოდეს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. მიზანშეწონილია ასეთი ტიპის დოკუმენტაცია სრულყოფილი სახით იყოს წარმოდგენილი როგორც შინაარსობრივი, ისე დანართების კუთხით, რათა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას კათედრის საქმიანობაზე. მიზანშეწონილია სკოლას შემუშავებული ჰქოდეს პედსაჭოს და კათედრების დებულებები.

გარდა ამისა, მონაწილეობა და გუნდურობა დასტურდება სკოლაში მოქმედი **სამეურვეო საბჭოს** წარმოდეგნილი ოქმებით **#1 05.09.2022წ.** სადაც განხილულია საკითხები: სასკოლო საწავლო გეგმის შეთანხება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვა (აქაც სამოქმედო გეგმაზე წერია სტრატეგიული გეგმაო, რაც არასწორია), თვითმმართველობის არჩევნების თარიღის დანიშვნა, დისციპლინურ კომიტეტში მშობელთ წარმომადგენლის კანდიდატის არჩევის საკითხი. საკითხები გადაწყვეტილია ხმათა უმრავლესობით. ასევე **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #2 20.10.2022წ.** რომელზეც განიხილეს დისციპლინური კომიტეტის არჩევა და სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება. აღსანიშნავია, რომ სხდომის დღის წესრიგში და კენჭისყრის შედეგებში მითითებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დისციპლინური კომიტეტის დამტკიცება. „ზოგადი განათლების შსახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის (სამეურვეო საბჭოს ფუნქციები) პირველი პუქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს მიერ დისციპლინური კომიტეტის არჩევა და არა დამტკიცება.

სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და **პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლას წარმოდგენილი აქვს ჯგუფის სხდომების** ოქმები: ოქმი #1 24.02.2023წ. ოქმი #2 01.06.2023წ. სადაც ასახულია 2022-2023 ს/წ განმავლობაში ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, კერძოდ მოსმენილი გაკვეთილების განხილვა. დასწრება მოხდა მათემატიკის, მუსიკის, ბუნებისმეტყველების, ქართულის, სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიის გაკვეთილებზე. სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი ყველა მასწავლებლის მიერ გაკვეთილების ჩატარების თაობაზე. „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #390 დადგენილების 26.06.2020წ. თანახმად, წამყვანი და უფროსი მასწავლებლები ვალდებული არიან სასწავლო წლის განმავლობაში ჩაატარონ სქემით განსაზღვრული გაკვეთილების გარკვეული რაოდენობა. მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს განრიგი, რომელიც ასახავს მასწავლებლების მიერ ხარისხის მართვის ჯგუფის დასწრების ფორმატში ჩასატარებელი გაკვეთილების ნუსხას სასწავლო წლის განმავლობაში შესაბამისი საორიენტაციო თარიღის მითითებით.

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მასალები წარმოდგენილია სკოლის მიერ. მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 09.12.2022წ. საკითხი სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით I სემესტრის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა მონაწილეობითი და გუნდურად მიღების პრინციპი.

ინდიკატორი 3.1.2.5 - დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა იზიარებს იმ მიდგომას, რომ ძალზე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების გაზიარება, მათი აზრის გათვალისწინება და პრაქტიკაში გამოყენება. ამ მიზნით კათედრებზე პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, სემესტრში ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. აკეთებენ მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს. ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პროცესში მასწავლებლები კურიკულუმის შედგენის დროს ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, ეს პროცესი ძალიან წაადგა თითოეულ მასწავლებელს და სკოლას, რაც მომდევნო სასწავლო წლიდან უფრო დაიხვეწება.

სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმად ასახელებს შემდეგს: სკოლა აფასებს თანამშრომელთა და მასწავლებელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს როგორიცაა ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა, მადლობის გამოცხადება და ა.შ. სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის ბრძანება. თუმცა ამ ბრძანებით პრემია ეძლევა ყველა მასწავლებელს. ასევე წარამატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმად სკოლა ასახელებს სოციალურს ქსელს, სადაც მუდმივად ხდება მონაცემების განახლება და მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

ინდიკატორი 3.1.2.6. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა კადრების აღრიცხვის ფურცლები.
- ექიმის ხელშეკრულება #5-31 30.12.2022წ.
- ხელშეკრულება ენისა და მეტყველების სპეციალისტთან #--- 15.09.2022წ.
- ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან #5 15.09.2022წ.
- ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან #2 15.09.2022წ.
- ხელშეკრულება ბიბლიოთკართან #17 15.09.2023წ.
- ხელშეკრულება დარაჯთან #20 15.09.2022წ.
- ხელშეკრულება #4 17.01.2022წ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უსტატუსო მასწავლებელთან.
- ხელშეკრულება 15.09.2022წ. ფსიქოლოგთან.
- ხარისხის ჯგუფის ოქმი #1
- ხარისხის ჰგუფის ოქმი #2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- **ბრძანება #1კ-11 24.01.2023წ.** „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლაში საქმისმწარმოებლის მიღების მიზნით საჯარო კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალისა და მონაცემების განსაზღვრის შესახებ, რომელსაც უნდა შეიცავდეს კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება“.
- **ოქმი #2 27.12.2021წ.** რომლითაც დასტურდება ისტორიის ვაკანტური საათების შესავსებად შესაბამისი პირის შერჩევა.
- **ოქმი #1 26.01.2023წ.** - საქმისმწარმოებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევის შესახებ.
- **ოქმი #2 27.01.2023წ.** - საქმისმწარმოებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად შესაბამისი პირის შერჩევის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვის, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მნიშვნელობა სკოლის განვითარებისათვის. ამ ეტაპზე საჭიროებების დადგენა რაიმე წინასწარ განსაზღვრული მექანიზმით არ დასტურდება (სკოლას საჭიროებებს ადგენს მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ერთმანეთთან თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში და არა აქვს დოკუმენტურად ასახული), თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან წინასწარ შემუშავებული კითხვარის ანალიზის საფუძველზე გეგმავს საჭიროებების დადგენის მექანიზმების შემუშავებას და განხორციელებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა საორიენტაციო ინსტრუმენტი, მათ შორის ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები. ასეთია სხვადასხვა სახის კითხვარის ვერსიები. ასევე 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაგეგმილი სკოლის თვითშეფასება 3 მიმართულებით: სასწავლო პროცესის, სასკოლო პროგრამებისა და სკოლის საორგანიზაციო კულტურის. ამ თვითშეფასების ფორმატით განსაზღვრულია საკვანძო შეკითხვები, რომლებზე ორიენტირებაც სასკოლო საზოგადოების წევრებს ავტორიზაციის პროცესის გააზრებისა და ერონული სასწავლო გეგმის დანერგვამდე მიიყვანს. **სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - „სკოლის თვითშეფასება 2023 წელი“.** გარდა ამისა, **ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში შემუშავებული მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფების კითხვები.**

საჭიროებების დადგენის ერთ-ერთ ინსტრუმენტად სკოლა განიხილავს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას და სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. **მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი** - მონიტორინგის ჯგუფის მიერ სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია მონიტორინგის ჯგუფის მიერ სემესტრის განმავლობაში მონიტორინგის განხორციელება წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად (გაკვეთილზე ფოკუსირებული დაკვირვების რუბრიკისა და მონაცემთა ანალიზის ფორმების მიხედვით). მონაცემთა შეგროვების შემდეგ მონიტორინგის ჯგუფი გაანალიზებს მონიტორინგის შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა. სკოლა ეტაპობრივად გეგმავს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული აქტივობების სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებას და გამოყენებას. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის გათვალისწინებულია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი 3.2.1.1. - დაკმაყოფილებულია.**

2. თითოეულ მასწავლებელზე დაკვირვების მიხედვით სკოლა ადგენს პერსონალს რა მიმართულებით სჭირდება განვითარება. სკოლას მნიშვნელოვანად მიაჩნია ისეთი ტრენინგების გავლა, როგორიცაა სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ინკლუზიური განათლება, ბულინგის პრევენციის მართვა, აგრეთვე საგნობრივი მიმართულებები. სკოლამ წარმოადგინა ცხრილი, რომელშიც ასახულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რეგისტრაცია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტრენინგ-მოდილებზე.

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანაა სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ კუთხით სკოლა გეგმავს ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას, ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზისა და შეფასების გაკეთებას, ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვასა და განხორციელებას.

პერსონალის განვითარების მიზნით, დირექტორის და ხარისხის განვითარების ჯგუფის ჩართულობით ხორციელდება შიდასასკოლო ღონისძიებების დაგეგმვა, ტრენინგების შეთავაზება, ინფორმაციის მიწოდება. მასწავლებლები ესწრებიან მასწავლებელთა სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგ კურსებს. ასევე, ურთიერთდასწრების ფარგლებში ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და უზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს. სკოლა, ასევე, უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხარდაჭერას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგ კურსების შესახებ და ხელს უწყობს მათზე დასწრებას.

ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარების ხელშეწყობას. მუდმივად ეცნობა სიახლეებს, ახდენს დასაქმებულთა ინფორმირებას და უზრუნველყოფს სიახლეების დანერგვას, კანონმდებლობის ცვლილებების გათვალისწინებით. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნების შესაბამისად, პედაგოგები ყოველ სასწავლო წელს გადიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ სავალდებულო ტრენინგებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე, როგორც საგნობრივ ასევე გამჭოლი კომპეტენციის ფარგლებში - უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგები 20 საათიან კურსს, ხოლო წამყვანი მასწავლებლები 12 საათიან ტრენინგს. მონაწილეობას იღებენ კონფერენციაში, კერძოდ, ინგლისური ენის პედაგოგმა მონაწილეობა მიიღო რაიონულ კონფერენციაში. უფროსი სტატუსის მქონე სპეც. მასწავლებელმა გაიარა 120 სთ. ტრენინგ-მოდული. სკოლის განცხადებით, მომავალი სასწავლო წლიდან მასწავლებელთა დატრენინგება მოხდება,არა მარტო სავალდებულო ტრენინგების, არამედ დამატებითი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4. სკოლის განმარტებით, იგი უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლა ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად. სკოლა მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ მასწავლებლებად. მასწავლებლობაში ინტერგრაციაში მნიშვნელოვანი როლი აქვს საგნობრივი კათედრის წევრებსა და სკოლის დირექტორს. ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში გამოცდილი მასწავლებლები კონსულტირებას უწევენ მას. უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ეხმარებებიან როგორც კლასის მართვაში, ასევე გაკვეთილების დაგეგმვაში, ელექტრონული ჟურნალის შევსებაში. (სკოლას აქვს გათვალისწინებული საკვალიფკაციო მოთხოვნების წესში - ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხები). ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით (სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მდებარეობს სოფელში, ყველა თანამშრომელი ერთამენთს ახლოს იცნობს), ნაკლებად არის დამახასიათებელი ახალი კადრების შემოდინება. შესაბამისად ეს პროცესი ნაკლებად ხორციელდება. მიმდინარე ს/წელს ასეთი პრაქტიკის არსებობა რაიმე მასალებით არ დასტურდება.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით (მატერიალური რესუსრსი, სათანადო სივრცის შექმნით. სკოლის განმარტებით, საგნობრივი კათედრების მასწავლებლების ორგანიზებით და ძალისხმევით განხორციელდა რამდენიმე პროექტი: ნიკო კეცხოველის ეკოკლუბის კონკურსი, 2022 წელს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევისა და თვალადის საჯარო სკოლების ერთობლივი პროექტი „მწვანე გუნდი“. 2023 წელს სამოქალაქო კლუბის პროექტი, წარდგენილია „საზოგადოება ბილიკის“ მიერ USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტების მასალები.

სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია თანამშრომლების წახალისების ფორმები: ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემიის გაცემა) წინასაახალწლოდ გაიცა ფულადი ჯილდო ყველა თანამშრომელზე წახალისების მიზნით, სიტყვიერი ფორმით ხდება მადლობის გამოცხადება. მომავალი სასწავლო წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფულადი ჯილდოთი თანამშრომელთა წახალისება.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სკოლის თვითშეფასება 2023 წელი“.
- ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში შემუშავებული მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფების კითხვარები.
- დოკუმენტი - მონიტორინგის ჯგუფის მიერ სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესების მონიტორინგი და შეფასება.
- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევისა და თვალადის საჯარო სკოლების ერთობლივი პროექტი - მწვანე გუნდი.
- სამოქალაქო კლუბის პროექტი, წარდგენილია „საზოგადოება ბილიკის“ მიერ - USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭო, სკოლის თვითმართველობა, მოსწავლეთა მსობლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის დაფუძნება პროცესულ მიდგომაზე გამოიხატება იმაში, რომ სკოლას შემუშავებული აქვს **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მაჩვენებლებს ისეთი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მოსწავლეთა განვითარებაზე.

სკოლა ეფექტური საქმიანობის წინაპირობად მიიჩნევს მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შეფასების კარგად ორგანიზებული სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრავს ამ მონაცემების მოპოვების წყაროებს:

- მიმდინარე მიღწევების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები მოსწავლეთა ჯგუფების ან საგნების მიხედვით,
- მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების შეხედულებების შეგროვება სკოლის საქმიანობის შესახებ და მათი გათვალისწინება;
- მოსწავლეების, თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი პირების პროფესიული მიზნებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება;
- თითოეული მოსწავლის აკადემიური განვითარებისა და მიღწევების აღრიცხვა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის იმის შეფასება, თუ რამდენად კარგად გამოიყენება მოპოვებული მონაცემები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- ფინანსების, საკადრო საკითხების, დასწრებისა და გარიცხვის ადგილობრივი და ეროვნული მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი;
- მოსწავლის განათლებასა და მის უსაფრთხოებაზე სკოლის გახანგრძლივებული პროგრამების ზეგავლენის შეფასება;
- სკოლის საზოგადოების ან სკოლის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის თვითშეფასების ანგარიშის შემდეგ სკოლას გათვალისწინებული აქვს შეიმუშაოს ან განაახლოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გეგმავს თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტების ასახვას. შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებულია სკოლის ზოგადი მახასიათებლების შედგენა წინასწარ შთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით (მაგ. მოსწავლეთა ძირითადი მახასიათებლების აღწერა, სკოლის სპეციფიკური მახასიათებლების აღწერა, მოსწავლეებისა და მათი ოჯახების/დაინტერესებული პირების შეხედულებების აღწერა, სწავლის პროცესში მოსწავლეების მიღწევებისა და სტანდარტების განსაზღვრა და სხვა). საბოლოოდ სკოლა ადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტი უფრო შაბლონურია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას და დაახლოებას სკოლის კონტექსტთან, სასურველია ზუსტად განისაზღვროს აქტივობები, რომელთა განხორციელებითაც სკოლა შეძლებს დასახული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელებული დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ **სწავლა-სწავლების პროცესში მთავარ როლს ასრულებს დირექტორი, რომელსაც არ ჰყავს მოადგილე** და ის წარმართავს სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობას და მონიტორინგს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ ეტაპზე დირექტორი მოვალეობის შემსრულებელია სკოლის ყოფილი დირექტორის გადადგომის შემდეგ. ასევე, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, დანერგვისა და მონიტორინგისა შეფასების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგნობრივი კათედრები და ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფი. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია და დასაქმებულია მხოლოდ 21 მასწავლებელი, მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სკოლის შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს შ ი , სამოქმედო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და ცალკეულ მარეგულირებელ წესებში გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი და ძირითადი პროცესები და ამ პროცესებში ჩართულო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის ფუნქციები. მაგ. სკოლის 2022-2023 ს/წ სამოქმედო გეგმა დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას. სკოლის ძირითადი სამოქმედო მიზნებია: 1. სასწავლო ხარისხის ამაღლება, 2. ადამიანური რესურსების განვითარება, 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა, 5. მშობელთა ჩართულობის გაზრდა, 6. ასევე ორგანიზაციული განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები) ასახულია სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელ დოკუმეტში და შრომით ხელსეკრულებებში მოცემულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ადგილზე ვიზიტის დროს ელექტრონულ ბაზაში დავათვალიერეთ მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა, რომელიც განხორციელდა 2022 წლის ოქტომბერში. სტატუსის შეჩერების საფუძველი გახდა მშობლის განცხადება საზღვარგარეთ ოჯახის წასვლასთან დაკავშირებით. თუმცა მშობლის განცხადება არასწორადაა შედგენილი, რადგან განცხადებით მშობელი ითხოვს ბავშვის ამორიცხვას კლასიდან და არა სტატუსის შეჩერებას. სკოლას ბაზაში მოსწავლისათვის სტატუსი ჰქონდა შეჩერებული და დირექტორის ბრძანების მიხედვითაც მოსწავლეს სტატუსი აქვს შეჩერებული. **მიზანშეწონილია სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით ჰქონდეს გაწერილი პროცედურები, წესები, მათ შორის განცხადების ფორმები/ნიმუშები ისეთი მმართველობითი პროცესების დროს, როგორიცაა მოსწავლის სტატუსის შეჩერება, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა და ა.შ.**

შინაგანაწესის მე-12 და მე-13 მუხლები არეგულირებს დისციპლინურ დევნას. განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისგებლობის სახეები. მე-14 მუხლი განსაზღვრავს დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლებისა) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს და ადგენს დისციპლინური წარმოების წესს. მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. **შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი.** სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები.

დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვა დოკუმენტებში. საკადრო პოლიტიკა განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. ამ ეტაპზე სკოლაში არაა საქმისწარმოების ერთიანი წესები და პროცესები დოკუმენტური სახით დარეგულირებელი, რადგან საქმისწარმოების მარეგულირებელ დოკუმენტად სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის ბრძანება #3-28 01.09.2021წ. სკოლაში საქმისწარმოების განსხვავებული წესის დადგენის შესახებ.** აღნიშნული წესი შეეხება პანდემიის პერიოდში საქაღტევლოს მთავრობის მიერ დაწესებულ რეგულაციას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დროებით შემოღების შესახებ, რაც დღევამდელ სიტუაციაში ნაწილობრივაა რელევანტური და არ მოიცავს/ვერ ფარავს საქმისწარმოების ყველა მიმართულებას.

მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს საქმისწარმოების ერთიანი წესების დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს არა მხოლოდ შემოსული და გასული დოკუმენტაციის ბრუნვისა და წარმოების წესებს, არამედ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა მოსწავლის პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საქმეების წარმოების წესი/პროცედურები, თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების წესი, სკოლაში საჭირო სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი, სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის დამუშავების წესებს და სხვა. მიზანშეწონილია საქმისწარმოების წესში დეტალურად იყოს გაწერილი თანამშრომლისა და მოსწავლის პირად საქმეში რა დოკუმენტები უნდა იყოს განთავსებული. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების ნიმუშები. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს #113/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“ შესაბამისად. თანამშრომელთა საქმეების დათვალიერებით დადგინდა, რომ მათი წარმოებისას დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მექანიზმებით.
ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ ელექტრონული ჟურნალი, რომლის სარგებლობის წესი შეესაბამება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ რეგულაციებს. კერძოდ, სკოლა მოსწავლეებს უფიქსირებს განმსაზღვრელი შეფასების გარდა განმავითარებელი შეფასებას სემესტრის ბოლოს სათანადო გრაფაში, აფიქსირებს არებს მოსწავლის გაცდენის შემთხვევაში.

შინაგანაწესით მოწესრიგებულია დამხმარე პროცესები - საკადრო საკითხები: შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.
ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება **სკოლის შინაგანაწესს,** სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია კანონისშესაბამისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, 22-ე მუხლი - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი - ითვალისწინებს სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარის რეგისტრაციაში გატარებას და მათზე რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესით. შინაგანაწესში არაფერია ნათქვამი საჩივრის განხილვის წესზე, თუმცა სკოლამ წარმოადგინა საჩივრების მარეგულირებელი რამდენიმე სხვა დოკუმენტი, კერძოდ, გასაჩივრების დეტალური პროცედურები და განცხადების/საჩივრის ფორმა დანართების სახით. **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-53 03.07.2023წ.** "სკოლის გასაჩივრების დეტალური პროცედურების და საჩვრის ფორმის დამტკიცების შესახებ".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს **სკოლის დისციპლინური კომიტეტი,** რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. სკოლის განმარტებით, თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების განცხადების შეტანის საფუძველზე საჩივარს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არსებობს არჩეული დისციპლინური კომიტეტი 6 წევრის შემადგენლობით, თუმცა მოცემულ ეტაპზე სკოლას არა აქვს დისციპლინურ კომიტეტში საქმისწარმოების პრაქტიკა. სკოლის დირექტორის განმარტებით, დისციპლინურ საქმეებს აწესრიგებს თავად დირექტორი და სკოლაში არ დამდგარა დისციპლინური კომიტეტის შეკრებისა და რაიმე საკითხის განხილვის საჭიროება.

სკოლის დირექტორი აქტიურადაა ჩართული საჩივრების განხილვის პროცესში იმ შემთხვევებში, რომელთა განხილვაც არ განეკუთვნება დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას. დირექტორი განიხილავს და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. დირექტორის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, არ ხასიათდება დისციპლინური გადაცდომების სიხშირითა და სირთულით, მით უმეტეს ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს და ეს ფაქტორი სკოლის სასიკეთოდ მუშაობს. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.
მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში რაიმე ტიპის საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებას ადგილი არ ჰქონია, არც დისციპლინური კომიტეტის შეკრების საჭიროება დამდგარა. შესაბამისად, სკოლაში მოცემულ მომენტში არ არსებობს ზემოაღნიშნულ მექანიზმთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედი პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის გამოხატულებაა სკოლის შინაგანაწესში გაწერილი პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები.

- სკოლამ წარმოადგინა **„სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის მასწავლებლების და მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი“,** რომელიც დეტალურად აღწერს მასწავლებლების კანონიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უფლებებს და ახდენს მათ განმარტებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს დოკუმენტი უფრო შაბლონურია, დეკლარაციული ხასიათისაა და ნაკლებადაა მორგებული სკოლის კონკრეტულ რეალობას. კარგი იქნება, თუ სკოლა რეალურად შეძლებს ამ დოკუმენტით გაცხადებული პრინციპების სასკოლო პრაქტიკაში განხორციელების საშუალებებს.

- სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული **ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. მტკიცებულება დირექტორის ბრძანება #2-36 19.10.2016წ.** შესაბამისი დანართით. მოცემულ მომენტში სკოლას არ ჰყავს ამ წესით რეფერირებული მოსწავლე. სკოლას საჭიროების არარსებობიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ ჰყავს აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე გამოყოფილი ცალკე პასუხისმგებელი პირი.
- სკოლაში არაა დამონტაჟებული **ვიდეო კამერები,** რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.
- სკოლაში ფუნქციონირებს **მრჩეველთა საბჭო,** რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას.
- სკოლას შემუშავებული აქვს **მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია),** რომელიც აწესრიგებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები დეტალურად გაწერს იმ მექანიზმებს, რომლებსაც სკოლა იყენებს/შემდგომში გამოიყენებს მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაციისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირების მიზნით. გაწერილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. განსაზღვრულია მშობლის ინფორმირების წესი, მოწესრიგებულია მშობლის უფლებები და ვალდებულებები.
- პერსონალური მონაცემების დაცას აწესრიგებს სკოლის მიერ შემუშავებული **პერსონალური მონაცემების დაცვის წესი** და მონიტორინგის მექანიზმები. წესი აწესრიგებს მონაცემების დამუშავების, გამოყენების და გავრცელების პირობებს. წესი დამტკიცებულია სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის **დირექტორის 2023 წლის 3 ივლისის №2-51 ბრძანებით** „სსიპ - სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- **დამრიგებლის საქმიანობა მოწესრიგებულია სადამრიგებლო პროგრამით,** რომელიც 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. თუმცა ეს სადამრიგებლო პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ჩანაწერის კოპირებული ვერსიაა, მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს სადამრიგებლო საქმიანობის მარეგულირებელი საკუთარ რეალობასა და საჭიროებებზე მორგებული დოკუმენტი.
- სკოლას წარმოდგენილი აქვს **სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში,** რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის გაფრთხილების წესი და სხვა, რაც უზრუნველყოფს მშობლის უფლებების დაცვას. წარმოდგენილი დოკუმენტი შაბლონია, ამ ეტაპზე სკოლას მშობლებთან გაფორმებული არა აქვს ხელშეკრულება და გეგმავს მომავალი სასწავალო წლისათვის.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- დირექტორის 2023 წლის 3 ივლისის №2-51 ბრძანება „სსიპ - სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“.
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-53 03.07.2023წ. "სკოლის გასაჩივრების დეტალური პროცედურების და საჩვრის ფორმის დამტკიცების შესახებ".
- სადამრიგებლო პროგრამები - სასკოლო საწავლო გეგმით.
- სკოლის ხელშეკრულების შაბლონი მშობელთან.
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).
- ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. მტკიცებულება დირექტორის ბრძანება #2-36 19.10.2016წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის მასწავლებლების და მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი“,

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად იწვევს სკოლის მოსწავლეთა მშობლების გაერთიანებულ კრებას, სადაც აწვდის ინფორმაციას სკოლის მზადყოფნის შესახებ სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. სკოლის განმარტებით, ყოველი კვირის პარასკევს მოსწავლის მშობელს შეუძლია სკოლაში მოსვლა და მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, კლასის დამრიგებლები ყოველდღიურ რეჟიმში როგორც პირისპირ, ასევე ტელეფონით და ონლაინ teams საშუალებით აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით და მათგანაც იღებენ უკუკავშირს. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სადამრიგებლო პროგრამას. თუმცა მშობლებთან საერთო შეხვედრების დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია, რადგან დირექტორის განმარტებით ასეთი პრაქტიკის საჭიროება სკოლაში აქამდე არ ყოფილა, მშობელთა კრებების ოქმები შედგენილი აქვთ კლასის დამრიგებლებს. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან შეხვედრების დაოქმებას საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სოციალურ ქსელს სახელწოდებით „თვალადის საჯარო სკოლა“, სადაც განათავსებს ინფორმაციებს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებით, თუმცა ეს ქსელი ნაკლებად გამოიყენება მართვის პროცესებთან დაკავშრებული ინფორმაციების მიწოდებისა და უკუკავშირების მისღებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს წინასწარ გაწერილი მექანიზმები სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირებისათვის; მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შექმნას სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც შეიმუშავებენ სპეციალურ კითხვარებს, რომლის საშუალებითაც დაადგენენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრების ინფორმირებულობის დონეს და მიიღებენ სათანადო უკუკავშირებს.

მშობლები ინფორმაციას შვილების აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ იღებენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ამასთანავე დამრიგებლები აწვდიან მშობლებს ინფორმაციას კლასებში არსებულ სიტუაციაზე. აღნიშნული დასტურდება ადგილზე ვიზიტის დროს ელექტრონული ჟურნალის დათვალიერებით, საიდანაც ჩანს მოსწავლის დასწრებისა და მოსწრების შესახებ ინფორმაციების ასახვა. **ასევე სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმები,** კერძოდ მე-4, მე-5, მე-6 კლასების მშობელთა კრების ოქმები #1 22-23.09.2022წ. რომლის დღის წესრიგიც მოიცავს სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის, სადამრიგებლო პროგრამის, სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემის და სხვა ინფორმაციების გაცნობას მშობლებისათვის. ასევე მშობელთა საკონტაქტო მონაცემების დაზუსტებას. ასევე წარმოდგენილია **მე-4 კლასის #2 კრების ოქმის ნიმუში 30.12.2022წ.** რომლის დღის წესრიგიც მოიცავს პირველი სემესტრის მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებებისა და გაცდენების გაცობას. აღსანიშნავია, რომ ოქმებს თან არ ერთვის დამსწრე მშობლების მონაცემები და ხელმოწერები. მიზანშეწონილია კრების ოქმში იკითხებოდეს არა მხოლოდ დასწრე მშობელთა რიცხოვნება, არამედ შესაძლებელი იყოს დამსწრე პირების იდენტიფიცირებაც.

სკოლას შემუშავებული აქვს და მოქმედებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების და მშობელთან ურთიერთობის დებულება. დებულება ითვალისწინებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმებს.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. თუმცა მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს ვებ-გვერდი, რომელიც გააუმჯობესებს აღნიშნულ კომუნიკაციას. სკოლის განცხადებით, დაგეგმილია ვებ-გვერდის გაკეთება.

ინდიკატორი 3.3.2.1. - დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში, მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა გამოიხატება მოქმედი კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში ჩართულობით. კერძოდ, **სკოლის სამეურვეო საბჭოში გაერთიანებულია სამივე საფეხურიდან თითო მშობელი, სამი მასწავლებელი და მოსწავლეთა თვითმართველობიდან ერთი მოსწავლე,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წარმომადგენელი, რომლებიც მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში პერიოდულად მოიწვევა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სხდომები, რომლებზეც განიხილება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა საკითხები. ამავე დროს, ყველა კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში აწვდის მშობლებს დეტალურ ინფორმაციას სკოლის სამოქმედო გეგმის შესახებ. სკოლის განცხადებით, ამ დრომდე მშობლებს ჩართულობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ მათ აცნობდნენ სკოლის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს პროცესების გააქტიურებას და სასკოლო საზოგადოების ყველა მონაწილის თანაბრად აქტიურად ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, სწავლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების შეკრებას და გეგმების განხილვას. მოხდება ანალიზი, სკოლის ადმინისტრაცია მიიღებს მათგან სათანადო უკუკავშირს, მოხდება მოსაზრებების გაზიარება და შეჯერებული გეგმის შეთანხმება.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი პროპორციით 2-2- მშობელი, მასწავლებელი და საშუალო საფეხურის 2 მოსწავლე. **დისციპლინური კომიტეტის ოქმი** #1 18.10.2022წ. რომელიც ეხება კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევას. სკოლაში შექმნილია **ისგ ჯგუფები,** რომელთა საქმიანობაში მონაწილეობას იღებს მშობელი. მტკიცებულება დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს **მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).** სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებებში: მაგ. სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების და სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა-მომზადებაში.

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება,** რომელიც არეგულირებს თვითმმართველობის საქმიანობას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ დისციპლინური კომიტეტის შკრების საჭიროება სკოლაში არ დამდგარა დისციპლინური გადაცდომის გამო, რადგან დირექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აწესრიგებს დისციპლინის საკითხებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს ოქმები, საიდანაც დასტურდება კოლეგიურ ორგანოებში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის მიღებაში ჩართულობა, დისციპლინური კომიტეტის შედგენაში მონაწილეობა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წარმოდგენილი მასალებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში, მართვის კოლეგიურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალურ ქსელი სახელწოდებით „თვალადის საჯარო სკოლა“.
- მე-4 კლასის #2 კრების ოქმის ნიმუში 30.12.2022წ.
- მე-4, მე-5, მე-6 კლასების მშობელთა კრების ოქმები #1 22-23.09.2022წ.
- ელექტრონული ჟურნალის დათვალიერების მასალები.
- დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ #2-07 28.09.2022წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლის შენობა აშენებულია 2017 წელს, 2 სართულიანია და შედგება ორი ერთმანეთისაგან იზოლირებული კორპუსისაგან. ძირითადი შენობა სასწავლო დანიშნულებისაა, დამხმარე შენობაში კი განთავსებულია სპორტული დარბაზი. სკოლაში მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვას ემსახურება თვალსაჩინო ადგილზე, სკოლის დერეფნებში გამოკრული ევაკუაციის გეგმები, სახანძრო სტენდები, თითოეული სართულის დერეფნებში განთავსებულია ორ-ორი ცეცხლმაქრი, რომელთა რაოდენობა 10 ცალია. სკოლის შენობას და სპორტულ დარბაზს, აგრეთვე სკოლის ეზოს აქვს სამ-სამი გასასვლელი კარი. სკოლის ეზოში შესვლა-გამოსვლა და გადაადგილება უსაფრთხოა, სკოლის მთელი პერიმეტრი შემოღობილია კაპიტალური ღობით.

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 2022წ. 20 ოქტომბრის #2 სხდომაზე. **სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.** ინსტრუქცია შედგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების #06 29.01.2019წ. საფუძველზე და იგი განსაზღვრავს ფუნქცია-მოვალეობებს სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლისათვის უსაფრთხოების მიმართულებით (ადმინისტრაციისათვის, მორიგე მასწავლებლისათვის, მასწავლებლის/კლასის დამრიგებლის/გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელისათვის, სკოლის ექიმისათვის, დამლაგებლისათვის, დარაჯისათვის). გათვალისწინებულია საკლასო ოთახებსა და დერეფნებში უსაფრთხოების ზომები, ასევე უსაფრთხოების ზომები სპორტული და სხვა სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებების ორგანიზებისას, უსაფრთხოების ზომები საგანგებო სიტუაციების დროს და ა.შ.

შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების წესები, სკოლას დერეფნებში, ყოველი კიბის უჯრედის მიმდებარედ განთავსებული აქვს **ცეცხლმაქრები** დამუხტულ მდგომარეობაში (დაიმუხტა 2022წ. აპრილში), ცენტრალურ ფოიეში პირველ სართულზე კედლეზე დამონტაჟებულია სახანძრო სტენდი ორი ცეცხლმაქრით. თითოეულ დერეფანში ორ ადგილზე განთავსებულია **საევაკუაციო გეგმები,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რომლებიც შეესააბემება შენობის შესაბამისი ფლიგელის რეალურ მდგომარეობას. გეგმაზე მონიშნულია საევაკუაციო გასასვლელები კიბის უჯრედებში. შენობის ჭერზე დამონტაჟებულია შესაბამისი გასასვლელის მანიშნებლები.

2023 წლის 28 თებერვალს მოხდა სკოლის ს ა ხ ა ნ ძ რ ო - ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი შემოწმება, რის საფუძველზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები - სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე **ზედამხედველობის მიწერილობა #140**. რეკომენდაციების ნაწილი სკოლამ ამ ეტაპისთვის უკვე გამოასწორა და ზოგიერთის გამოსწორებას საკუთარი ძალებით გეგმავს დასკვნაში მითითებული ვადების შესაბამისად. კერძოდ, **სკოლას 29.06. 2023 წ. საგანგებო სიტუაციების დაცვის სამსახურთან გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N-T151/06** საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებების შესახებ (CPV 71600000). მომსახურება უნდა განხორციელდეს 20 სამუშაო დღის ვადაში მ/წლის ივლისის ბოლომდე. სკოლას საგანგებო სიტუაციების სამსახურთან 30 ივნისს 2023წ. გაფორმებული აქვს **სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N160/06(N7)** საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებების შესახებ, რაც ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის **დაცვის საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაციას 10 სამუშაო დღის ვადაში.**

სკოლას აქვს მიწერილობა შპს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომლითაც ითხოვს დასკვნის მომზადებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

სკოლას შენობის მდგრადობის დასადგენად გაკეთებული აქვს **განაცხადი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში 28.06.2023წ.** საინჟინრო ექსპერტიზის - შენობის ტექნიკური მდგომარეობის - ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის მიზნით. მტკიცებულება დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება **შრომის პირობების დაცვის წესები.** ელექტროგაყვანილობის სისტემა გამართულია. სკოლას ცალკე არ ჰყავს გამოყოფილი ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი,** რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო საშუალებებით, მათ შორის ცალკეული მედიკამენტებით. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით ექიმი მუდმივ რეჟიმში დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. აღნიშნული **დასტურდება ექიმის მიერ წარმოებული ჩანაწერებით,** სადაც დაფიქსირებულია რა საჩივრით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მიმართა მოსწავლემ ექიმს, როდის და რა რეაგირება მოახდინა ამაზე ექიმმა, რა მედიკამენტი გასცა. **მტკიცებულება - 2022-2023წ სასწავლო პროცესის დროს ჩატარებული მანიპულაციები.** სასწრაფოს გამოძახების შემთხვევები არ ფიქსირდება, საჭიროების შემთხვევაში სკოლა უკავშირდება მშობელს, რომელიც თავად უზრუნველყოფს ბავშვის გაყვანას სახლში.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 ივნისის #2-49 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო **სკოლის საგანგებო შტაბის შექმნა“.** შტაბის შემადგენლობაში შედის 5 წევრი - სკოლის დირექტორის მ/შ სკოლის ორი დარაჯი, საქმისმწარმოებელი და ერთი მასწავლებელი (უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი).

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**, თუმცა დაწყებული აქვს მუშაობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესამუშავებლად,** კერძოდ წარმოდგენილი აქვს **განცხადება 29.06.2023წ. საგანგებო სიტაუციების მართვის სამსახურის სახელზე,** რომლითაც ითხოვს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაციას.

სკოლაში დაწესებულია ასევე მასწავლებელთა **მორიგეობა, შედგენილია მორიგეობის გრაფიკი,** რომლის მეშვეობითაც დამატებით ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მორიგეობის ცხრილები გამოკრულია ყველა დერფანში თვალსაჩინო ადგილებზე.

„ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29.01. ბრძანების თანახმად **შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლას წარმოდგენილი აქვს მრჩველთა საბჭოს ომების ნიმუშები.**

სკოლის ტერიტორიაზე არაა განთავსებული ვიდეო სათვალთვალო კამერები არც შიდა და არც გარე პერიმეტრზე. სკოლას დაწყებული აქვს კამერების დამონტაჟების სამუშაოები. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 2 ღამის დარაჯი (ცენტრალურ ფოიეში გამოყოფილია დაცვის ოთახი), დარაჯის სამსახურებრივი ინსტრუქციები და ვალდებულებები განსაზღვრულია მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #1კ-12 10.09.2021წ.) **გამოყოფილია უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის სახით.** ბრძანების საფუძველია „ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #06 29.01.2019წ. **მიზანშეწონილია სკოლაში მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნისა და სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სრული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კონტროლის მიზნით დამონტაჟდეს ვიდეოკამერები, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს გავლილი ჰქონდეს შესაბამისი გადამზადება.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული გეგმა, არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ. *ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება.* არგუმენტირებული პოზიციის წრამოდგენისას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (26.07.2023წ. - 16.10.2023წ.) სკოლამ წარმოადგინა 12.07.2023წ. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ასევე წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ცნობა შენობის მდგრადობის შესახებ #5005914523 14.09.2023წ. *ასევე წარმოადგინა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც მითითებულია რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს დასკვნით განსაზღვრული სკოლის მიერ შესასრულებელი გარკვეული ვალდებულებები.* *ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია.*

2. **სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,** აგრეთვე სკოლის პერსონალიდან მორიგე მასწავლებლები, დარაჯი, დირექცია. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს უსაფრთხოების ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომლის დამონტაჟებაც უახლოეს მომავალში იგეგმება. სკოლა დაცულია უცხო/გარეშე პირთა უკონტროლო გადაადგილებისაგან, სკოლის შენობა განთავსებულია სოფლის დასახლებიდან მოშორებით.

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას შემდეგი მექანიზმების საშუალებით. **ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო,** რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით ეწყობა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში ტარდება მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლას 2021 წელს განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლასთან ერთად „ძლიერი თაობა-გზა გამარჯვებისკენ". გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამ ეტაპზე სკოლა არ აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს, სადაც დაფიქსირდება ვიზიტორის ვინაობა და მონაცემები, რადგან ასეთი საჭიროება არა აქვს მცირეკონტიგენტიანობის ფაქტორის გამო. მიზანშეწონილია სკოლის შენობაში შესვლა გარეშე პირებისათვის მოხდეს საშვების სისტემის მეშვეობით. ინდიკატორი 3.4.1.2. - დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში დირექციასთან ერთად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფენ სკოლის პედაგოგები, ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი, სპეც. მასწავლებელი. **სკოლის დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია „ბავშთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“**. ამასთანავე სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება **სადამრიგებლო საათის ფარგლებში** მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას უსაფრთოების მიმართულებით.

ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გარდა სსსმ მოსწავლეებისა, ცალკეულ შემთხვევებში ის ემსახურება ტიპიური განვითარების მოსწავლეებსაც სხვადასხვა სირთულის გამოვლენის შემთხვევაში, რისი საჭიროებაც პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო გაოიკვეთა. ის სათანადო რეკომენდაციებს აძლევს მოსწვალეს და მასწავლებელს.

ინდიკატორი 3.4.1.3. - დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ დაცვას ახორციელებს სკოლის ორი დამლაგებელი და სკოლის ექიმი.** დირექცია უზრუნველყოფს ყველა საჭირო ნივთების და ჰიგიენის საშუალებების შემოტანას. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებულია ხელის სანიტაიზერები. აგრეთვე სახელმწიფოს მიერ შემოტანილია საკლასო ოთახებშიდასადგმელი ხელის სადეზინფექციო სითხეები, სკოლის დამლაგებლები ყოველდღიურად ახორციელებენ საკლასო ოთახების და სველი წერტილების დეზინფექციას სპეციალური ხსნარის საშუალებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ტუალეტებში დევს თხევადი საპნები, ხელის გასამშრალებელი საშუალებები, ყველა საკლასო ოთახში, ტუალეტებსა და დერეფნებში დგას სატერფულიანი ნაგვის ურნები. ყოველდღიურად ამ პროცესს მონიტორინგს უწევს როგორც სკოლის დირექცია, ექიმი, ასევე რეგულარულად ხდება კასპის რესურსცენტრიდან შემოწმება, რომლებიც გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს.

სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული არა აქვს **დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია,** დამლაგებლის საქმიანობების აღწერა მოცემულია დამლაგებლის ხელშეკრულებაში. დამლაგებელს ევალება დაასუფთაოს სკოლის შენობა და გარე პერიმეტრი, ყოველდღიურად დაალაგოს შენობის დერეფანი, სველი წერტილები, საკლასო ოთახები სველი წესით. პერიოდულად ჩაატაროს სადეზინფექციო სამუშაოები, უზრუნველყოფდეს მასზე განპირობებული ფართის სისუფთავეს სანიტარულ-ჰიგიენურ გამართულობას. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება** #9 15.09.2022წ. თუმცა ხელშეკრულებაში დამლაგებელთან მიმართებაში ნახსენებია მტუკ-ი, რომელიც სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს და შესაბამისად მტუკ-ი ვერ იქნება სანიტარული წესების დაცვის მონაწილე.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე, მათ შორის სველ წერტლებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შეიძლება ითქვას, სანიტარული ნორმების დაცვა სკოლის ძლიერი მხარეა.

ინდიკატორი 3.4.1.4. - დაკმაყოფილებულია.

5. **დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები,** რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. აღნიშნულით დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მატერიალური თუ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მონაცემების დაცვის წესი შენობაში შესვლისა და გასვლის დროს მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული ფოსტისა, თუ ტელეფონის ნომრის გამოყენების დროს, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

განსაზღვრულია მონაცემების დაცვის წესი პირადი საქმეებისა თუ ელექტრონული ბაზების წარმოების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-51 03.07.2023წ.** "სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ".

მართალია სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი წერილობითი დოკუმენტის სახით, თუმცა ვერ წარმოადგინა წერილობითი თანხმობა მშობლებისაგან მოსწავლის ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით (აქვს მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება). შესაბამისად **მიზანშეწონილია სკოლას მშობლებისაგან ჰქონდეს წერილობითი თანხმობა მოსწავლეების ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით, რათა სკოლამ სასკოლო დროს და სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლისათვის გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალა განათავსოს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე სკოლის დანიშნულებისათვის.**

ინდიკატორი 3.4.1.5. - დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რაც გამოიხატება სკოლაში ორი დოკუმენტის არსებობით:** პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები და სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული მოსწავლეთა საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება. მათი გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ნორმა, რომელიც არეგულირებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენებას.

7. სკოლის განმარტებით, დირექციის მხრიდან მუდმივად ხორციელდება მეთვალყურეობა მოსწავლეთა უსაფრთხოების შეფასების მიზნით, მათ შორის უსაფრთხოების მონიტორინგს მუდმივად ახორციელებს როგორც უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე დირექცია, კლასის დამრიგებლები, მორიგე მასწავლებლები, რომლებიც ანალიზს უკეთებენ ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. ამ ეტაპზე აღნიშნული განხორციელებული მეთვალყურეობის დადასტურება წერილობითი ფორმით არ ხდება, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია დამატებითი მექანიზმების შემუშავება.

სკოლის დირექტორის მ/შ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე შეიმუშავოს საგანგებო სიტუაციების მართვის რელევანტური გეგმა. სკოლას შექმნილი ჰყავს საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სიტუაციებზე რეაგირების მართვის ჯგუფი. სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება #1კ-12 10.09.2021წ. უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ.
- უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია - სამეურვეო საბჭოს 2022წ. 20 ოქტომბრის #2 სხდომის ოქმი.
- 2023 წლის 28 თებერვალს ზედამხედველობის მიწერილობა #140.
- განაცხადის რეგისტრაციის ბარათი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში 28.06.2023წ. საინჟინრო ექსპერტიზის - შენობის ტექნიკური მდგომარეობის - ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის მიზნით.
- 2022-2023წ სასწავლო პროცესის დროს ჩატარებული ექიმის მანიპულაციები.
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 ივნისის #2-49 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის საგანგებო შტაბის შექმნა“.
- მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
- **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-51 03.07.2023წ.** "სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ".

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით აშენდა ახალი ორ სართულიანი სკოლის შენობა, რომლიც მორგებულია სკოლის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სკოლა არის მაღალმთიანი სტატუსის მქონე, რომელიც გათვლილია 120 მოსწავლეზე. ამჟამად სკოლაში 15 საკლასო ოთახია, რომელშიც სწავლობს 91 მოსწავლე და ასწავლის 21 პედაგოგი. სულ 31 თანამშრომელი. სკოლა გაშენებულია 17012 კვ.მ ფართობზე, აქვს რეკრეაციული ზონა, ღია ტიპის სპორტული მოედანი - 665 კვ.მ, დახურული ტიპის სკოლის შენობის გარეთ მდგომი სპორტ-დარბაზი - 686კვ.მ. შენობა აღჭურვილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით - შიდა ადაპტირებული ტუალეტები, საშხაპეები, კალათბუთის ფარები, ლეიბები, მხიარული სტარტების ჩასატარებლათ საჭირო ინვენტარი, ფეხბურთის/კალათბურთის/ რაგბის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ბურთები, ტენისის მაგიდა, სპორტული ფორმები. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა - ცალკე მდგომისაქვაბე, რომელსაც ემსახურება ცეცხლფარეში. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, მასწავლებლის მაგიდით, სასწავლო პლაკატებით, რომელიც გაკრულია კედლებზე.

პირველი სართულზე განთავსებულია ექვსი საკლასო ოთახი დაწყებითი საფეხურის (I-VI) კლასებისათვის. პირველ სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, დაცვის ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი.

მეორე სართულის ოთახების განლაგება და წყობა პირველი სართულის იდენტურია. მე-2 სართულზე განთავსებულია ექვსი საკლასო ოთახი საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებისათვის. სკოლა მცირერიცხოვანია და პარალელური კლასები არ არსებობს - პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით თითო პარალელია. მე-2 სართულზეა ასევე კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს-ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას ცალკე არა აქვს სააქტო დარბაზი, მის ფუნქციას ასრულებს სკოლის დერეფანი/ფოიე, კეთილმოწყობილი ეზო და სპორტული დარბაზი.

საკლასო ოთახები მოვლილი და კეთილმოწყობილია, ყველა ოთახში არის გამართული ელექტროგანათება.

ცალკე შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი 250 კვ.მ. რომელსაც აქვს გასახდელები ვაჟებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე. სპორტ-დარბაზის მიმდებარედ მოწყობილია მოქმედი სველი წერტილი. სპორტ-დარბაზში კედელზე დამონტაჟებულია შვედური კედელი, ცალკე სივრცეში დგას ხელის ჩოგბურთის მაგიდა, სათავსოში განთავსებულია სპორტული ინვენტარი (ლეიბები და სხვა), დარბაზის გასწვრივ მოწყობილია სკამები მაყურებლისათვის.

პირველ სართულზე არის დიდი დერეფანი და ფოიე, რომელიც ასრულებს სოციალიზაციისაათვის და დასვენებისათვის ხელშემწყობი სივრცის ფუნქციას შენობაში. დიდი და ნათელი დერეფანი არის შენობის მეორე სართულზეც.

კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტ-ქსელში ჩართული 10 კომპიუტერით, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორია და შემოწმდა კომპიუტერების ინტერნეტ ქსელში ჩართულობა. ოთახში გამოკრულია კლასების მიერ ლაბორტაორიით სარგებლობის განრიგი კვირის დღეების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სველი წერტილები განლაგებულია ორივე სართულზე. ერთ-ერთ სართულზე დამონტაჟებულია პისუარები ვაჟებისათვის, მოწყობილია ინდივიდულური კაბინები ჩამკეტი კარით. კაბინის კარებები, ხელსაბანები/ონკანები გამართულ მდგომარეობაშია.

ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია წიგნების კარადები. წიგნადი ფონდი მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, მეთოდურ ლიტერატურას და შეადგენს 4706 წიგნს. ბიბლიოთეკში მოწყობილია ელექტრონული კატალოგი ანბანური პრინციპით, ადგილზე ვიზიტის დროს გავეცანით წიგნების დამუშავების წესს, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (წიგნები დანომრილი და დაშტამპულია სკოლის შტამპით). ბიბლიოთეკას აქვს მცირე სამკითხველო სივრცე. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია- ლაბორატორიის კომპლექტის ცალკეული მასალებით, რომლებიც სკოლის მიერაა შეძენილი და განთავსებულია ოთახის მომიჯნავე სათავსოში. მასწავლებლები იყენებენ საჭირო რესურსებს სხვადასხვა კლასებში. კერძოდ, ქიმიური და ფიზიკური მოვლენების ამსახველი თვალსაჩინოებებით, ქიმიის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი, რომლითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული ცდები. ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით. ლაბორატორიაში არის ხელსაბანი. კედელზე გამოკრულია ბიოლოგიის სასწავლო თვალსაჩინოებები, ლაბორატორიით სარგებლობის წესები. თვალსაჩინოებების საცავში არის ქიმიური რეაქტივებისა და ჭურჭლის ნუსხა. ლაბორატორიაში არ დგას საექსპერიმენტო მაგიდა. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

პირველ სართულზეა სამედიცინო კაბინეტი 15 კვ.მ. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით, მედიკამენტებით, სადაც ხორციელდება სამედიცინო მომსახურების გაწევა. კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ ინვენტარით, რომლითაც სკოლა მოამარაგა ინფრასტრუქტურის სააგენტომ.

შენობაში ყველა სართულზე მოწყობილია **საევაკუაციო გასასვლელები** და დამონტაჟებულია შესაბამისი მიმანიშნებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის ეზოში არის მავთულბადის ღობით გამოყოფილი ღია სპორტული მოედანი. მოედანი იზოლირებულია დასახლებული პუნქტისაგან და მოსწავლეების მიერ მისი სარგებლობა უსაფრთხოა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მისიით და მიზნებით განსაზღვრული და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად **სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის სასწავლო ინვენტარი - მერხები, სკამები, რაც შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.**

სკოლის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი: კლასების უმეტესობაში მოსწავლეთა რიცხოვნება 10-ს არ აღემატება. შესაბამისად კლასების უმეტესობაში დგას 10 მერხი და სკამი. ყველა კლასში დამონტაჟებულია დაფა, დგას მასწავლებლის მაგიდა. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც გაწერილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიის, სპორტული ინფრასტრუქტურის, მუსიკის კაბინეტის, ბიბლიოთკისა და რესურს-ოთახის მასალებით სარგებლობის წესები. **მატერიალური რესურსების განკარგვის წესი** არეგულირებს სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის პირობებს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.სკოლამ წარმოადგინა მერხებისა და სკამების მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა მიხედვითაც სკოლას აქვს 189 მერხი/სკამი: II დონის - 38 ცალი, III დონის - 38 ცალი, IV დონის - 113 ცალი. საკლასო ინვენტარი კარგადაა მოვლილი. აღნიშნული ინვენტარი საკმარისია 125 მოსწავლისათვის.

სკოლაში ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2022 წლის დეკემბერში - სკოლის დირექტორის ბრძანება #2-26-ის 22.11.2022წ. საფუძველზე. სკოალს წარმოდგენილი აქვს ინვენტარიზაციის ოქმები, თუმცა დოკუმენტებზე ხელმოწერები არაა გაკეთებული.

სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით მოსწავლეთა არსებული რაოდენობისათვის, ბავშვთა ზღვრული რაოდენობისათვის (240 მოსწავლე) კი საჭირო იქნება სკოლის მიმართვა დამატებითი ინვენტარის გამოყოფისათვის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის განმარტებით,** სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; კერძოდ სკოლის ყველა მოსწავლე და თანამშრომლისთვის ყოველთვის ღიაა ექიმის კაბინეტი, ასევე ბიბლიოთეკა, სადაც შეუძლიათ მოსწავლეებს როგორც წიგნების გამოწერა, ასევე ბიბლიოთეკაში წაკითხვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპიუტერების გამოყენება. სხვადასხვა დავალების შესასრულებლად-ინფორმაციის მოსაძიებლად, ასევე კომპლექსური დავალების შესაქმნელად, ტექსტების და რესურსების ამოსაბეჭდად.

სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც მოსწავლეებს, ამასთანავე მასწავლებლებს, შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერულ ლაბორატორიას საკუთარი ინიციატივების წარმოდგენისა და რეალიზებისათვის. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ამასთანავე, სკოლის მატერიალური ბაზით. სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსებით, ლაბორატორიებით სარგებლობის წესები, ბიბლიოთკის დებულება, რაც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოებას გამოიყენოს მატერიალური რესურების საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული დებულებების შესაბამისად. მოსწავლეები გაკვეთილებს შორის შესვენებების პერიოდში დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის სარგებლობენ შენობაში არსებული დერეფნებით, სკოლის ეზოში არსებული მოსასვენებელი სივრცეებიით, ხოლო სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის სპორტული დარბაზით.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად სკოლას აქვს პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირის შესვლას საკლაო ოთახსა და საპირფარეშოში. ასევე სსსმ მოსწავლისათვის 3 ადაპტირებული საპირფარეშო, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლში სწავლობს 3 სსსმ მოსწავლე, ამ მოსწავლეთა მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისგ-ს გეგმები, ჰყავს სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი. აქვს რესურსოთახი, რომელშიც არის სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის კინეტიკური ქვიშა, კომპიუტერი, სახატავი საშუალებები, საანგარიშო, სხვადასხვა ლიტერატურა, რომელიც შეძენილია მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. მომავალში სკოლას შეუძლია სპეც. მასწავლებელთან კონსულტაციის შედეგად დამატებითი რესურსების შეძენა.

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს ტიპიური განვითარების მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მოსწავლეები ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სასწავლო წიგნებით, საგნობრივი თვალსაჩინოებებით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, კეთილმოწყობილი საპირფარეშოებით.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა სკოლის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების დანერგვა, მათ შორის სპორტული ღონისძიებების გამართვა, საახალწლო ღონისძიებების ჩატარება, პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი თავისუფალი ოთახი, რომელშიც ამჟამად სწავლა არ მიმდინარეობს, ასევე შეუძლიათ სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენება, კომპიუტერული ოთახის, სპორტდარბაზის, მუსიკალური ცენტრის და სხვადასხვა რესურსების. ექსპერტ ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის სოციალური ქსელი, საიდანაც დასტურდება სხვადასხვა კლასების მოსწავლეთა მონაწილეობა კლასგარეშე საახალწლო ღონისძიებებში, ასევე საგანმანათლებლო პროეტებში.

შენობაში და ეზოში საკმარისადაა თავისუფალი სივრცეები მოსწავლეთა შეხვედრებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობისათვის. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის, ამ დანიშნულებას ასრულებს საკლასო ოთახები და სკოლის დერეფანი. იმართება პროექტების პრეზენტაციები, შეხვედრები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. გეგმავენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა და თამაშებს. სკოლაში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები-კომპიუტერები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატრული ლიტერატურა, რომელშიც შესულია სოფელ თვალადის სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, პლაკატები, ფლომასტერები, სხვადასხვა ტიპის ფლიპჩარტები, ქსეროქსები, ფოტოაპარატები, მუსიკალური ცენტრი, მიკროფონები, ტელევიზორი, სპორტული ინვენტარი და ა.შ. სკოლაში უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებზე წვდომა. სკოლის ბიბლიოთეკა და ისტ-ის ოთახი ყოველ დღე ღიაა და პასუხისმგებელი პირები ყველა მოსწავლეს საჭირო დახმარებას უწევენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, სკოლის აქვს ბიბლიოთეკა, რომლებშიც განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნადი ფონდი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შენობის აზომვითი ნახაზი.
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- დირექტორის ბრძანება #2-26 22.11.2022წ. ინვენტარიზაციის ჩატარებაზე.
- ინვენტარიზაციის ოქმები.
- ისგ გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს სულ 23 კომპიუტერი, მათგან 20 მუშა მდგომაროებაში. 10 დესკტოპ კომპიუტერი მიღებულია 2017 წელს, 5 ლეპტოპი 2019 წელს და 4 ლეპტოპი 2021 წელს ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში. მუშა მდგომარეობაშია 9 დესკტოპ კომპიუტერი და 8 ლეპტოპი.

სკოლას აქვს 4 პროექტორი (მუშა მდგომარეობაში), მათ შორის ერთი საკუთარი სახსრებით შეძენილი აქვს, ერთი „ნიკო კეცხოველის“ პროექტის ფარგლებში, 2 პროექტორი - „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებშია მიღებული.

სკოლაში არის 2 პრინტერი, ციფრული ფოტოაპარატი და ერთი ფოტოაპარატი ნიკო კეცხოველის პროექტის ფარგლებში. სკოლის შენობა სრულად არის დაფარული Wi-Fi-ით. ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის ოთახებში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახში და საკლასო ოთახებში.

სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც მობილიზებულია საჭირო რაოდენობის ტექნიკა, რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. სკოლის განცხადებით, მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პირადი პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. **სამასწავლებლოში მოწყობილია მასწავლებლების სამუშაო სივრცე,** რისთვისაც სკოლამ დამატებით დაამონატაჟა ელექტრო-ქსელში ჩამრთველები და დაამზადა კომპიუტერების ჩასალაგებელი კარადა. ამ სივრცით სარგებლობა მასწავლებლებს შეუძლიათ როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებში ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით. სკოლამ მასწავლებლებისათვის გამოყო ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული ლეპტოპები, რომლებსაც იყენებენ საგაკვეთილო პროცესისათვის. ადგილზე ვიზიტის დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა სასკოლო სივრცეში. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირები არიან IT მენეჯერი და ისტ-ის მასწავლებელი, რომელსაც შეთავსებული აქვს საინფორმაციო მენეჯერის ფუნქციები.

მოსწავლეებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც მათ შეუძლიათ მუშაობა წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით (საგაკვეთილო პროცესის შემდეგ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით). განრიგი გამოკრულია ლაბორატორიაში. ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით შესაძლებელია სივრცის გამოყენება შაბათ-კვირის დღეებშიც, რაზეც პასუხისმგებელია ისტ-ის მასწავლებელი და IT მენეჯერი. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა კომპიუტერების გამართულობა და ინტერნეტ-ქსელთან წვდომა ლაბორატორიაში, რაც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

კომპიუტერული ტექნიკის ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში. მათ შორის რამდენიმე კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. ლეპტოპების გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები (მაგ. კომპიუტერულ ლაბორატორიაში), 2 პროექტორის გამოყენება სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი 2017 წელი
- ადგილზე ვიზიტს დროს ინვენტარის დათვალიერება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოების განხორციელების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ დოკუმენტის და ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლა ავტორიზაციის განაცხადში დეტალურად აღწერს საქმისწარმოების პროცედურებს და წესებს:

- დოკუმენტების მიღება და გაგზავნა შესაძლებელია სკოლის ელექტრონული ფოსტის tvaladi@mes.gov.ge გამოყენებით, ან მატერიალური ფორმით (მათ შორის, „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით).
- ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული დოკუმენტების მიღება ხორციელდება სკოლის დირექტორის ან საქმისმწარმოებლის მიერ დოკუმენტების ჩამოტვირთვისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის – eflow-ს სისტემაში დარეგისტრირების გზით.
- ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული განცხადებები/წერილები და თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს დასკანერებული (ხელმოწერილი), გამოგზავნილ შეტყობინებაზე მიბმული სახით და თან უნდა ახლდეს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/პასპორტის ასლი. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია არ დარეგისტრირდება.
- ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული იურიდიული პირების განცხადებები/წერილები და თანდართული დოკუმენტაცია შესრულებული და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი იურიდიული პირის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე/ბლანკზე.
- ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის - eflow - სისტემაში მომზადებული პასუხები სკოლის დირექტორის ან საქმისმწარმოებლის მიერ ჩამოიტვირთება და იგზავნება სათანადო ადრესატთან შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე.
- სკოლაში მატერიალური ფორმით, მათ შორის, „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით შემოსული დოკუმენტები მიიღება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რეგისტრირდება და მათზე პასუხები მატერიალური ფორმით გაიცემა მხოლოდ ხუთშაბათს, ხოლო თუ აღნიშნული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეს – მომდევნო სამუშაო დღეს.

- მოკითხვამდე და „საქართველოს ფოსტის“ მიერ დაბრუნებულ დოკუმენტებზე განმცხადებლებთან SMS შეტყობინებები სკოლის დირექტორის ან საქმის მწარმოებელისმიერ გაიგზავნება მხოლოდ ხუთშაბათს, ხოლო თუ აღნიშნული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეს – მომდევნო სამუშაო დღეს.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის Eflow-ს და Eschool-ის სისტემები და მისი წარმოების პროცედურები, რომელსაც ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რითაც დადასტურდა მათი წარმოება სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობთ, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება და ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც სპეციალურ საქაღალდეში. სკოლაში ცალ-ცალკეა გაყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები, სადაც რიგითობის მიხედვით ენიჭება თითოეულ ბრძანებას ინდივიდულური ნომერი. საკადრო ბრძანებები დანომრილია #1/კ პრინციპით, საერთო ბრძანებები #2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებული სპეციალური მოდულის მეშვეობით სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **მშობლის განცხადება პირველ კლასში მოსწავლეთა მიღებაზე. ასევე მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები,** რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ რეგისტრირდება შესაბამის სარეგისტარციო ჟურნალში. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #113/ნ 2013 წლის 22.08. საფუძველზე, თუმცა სკოლას არა აქვს გაწერილი აღნიშნული პროცედურები საქმისწარმოების წესში დოკუმენტური სახით. მიზანშწონილია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს საქმისწარმოების ერთიანი წესები. დირექტორის ბრძანებით #1/კ-06 25.11.2022წ. განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი საქმისმწარმოებლის სახით.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის.

კერძოდ, **საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით.** სამდივნოში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელსაც საქმისწარმოების დროს იყენებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში მოქმედებს Eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება ასევე, იტვირთება დირექტორის თითოეული ბრძანება. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცემების ასახვა, მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება, მაძიებელ მასწავლებელთათვის ინფორმაციის აღწერა და ა.შ. eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. ადგილზე ვიზიტის დროს eschool-იდან ამოვიღეთ თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი.** მასში სრულადა ასახულია მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე ასახულია საგაკვეთილო ცხრილები, არჩეული სახელმძღვანელოები, საგნების განაწილება მასწავლებლებზე და კლასებზე. პროფილის განახლება ხდება საჭიროებების შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი გზა.** კერძოდ, სკოლის დირექტორი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ. ამასთანავე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს წერილი 10 დეკემბრის ანგარიშის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლეთა და თანამშრომელთა პორტირებული სია ემისის ბაზიდან.
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.
- დირექტორის ბრძანება #1/კ-06 25.11.2022წ. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სოციალური ქსელი გვერდი „თვალადის საჯარო სკოლა“, სადაც ხდება სკოლაში მიმდინარე აქტივობების გამოქვეყნება, ინფორმაციის მიწოდებას მშობლებისთვის სკოლა უზრუნველყოფს ელ.ფოსტით tvaladi@mes.gov.ge, და სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ცენტრალურ ფოიეში განთავსებული საინფორმაციო სტენდით. მოცემულ ეტაპზე სკოლა ეფექტურად იყენებს სოციალურ ქსელს საზოგადოების ინფორმირებისათვის.

აგრეთვე სკოლა იყენებს teams პლატფორმას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი და დაგეგმილი ჰქონდა მისი ამოქმედება 2023-2024 სასწავლო წლიდან. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა ვებ-გვერდი, რომელშიც შეტანილია ინფორმაციები სკოლის შესახებ და რომლის დათვალიერებაც შესაძლებელია შესაბამისობის გეგმაში მითითებული ბმულის მეშვეობით.

მოქმედი ვებ-გვერდის არ ქონის გამო ინდიკატორი 3.6.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. განსაზღვრულ პერიოდში (20.07.2023წ. - 15.10.2023წ.) სკოლამ აამოქმედა ვებ-გვერდი. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი 3.6.3.1. სრულად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სოციალურ გვერდზე ინფორმაციის გავრცელება და გამოქვეყნება ევალება ისტ-ის პედაგოგს, რომელიც ამოწმებს ინფორმაციის უტყუარობას და შემდეგ ხდება მისი გამოქვეყნება. სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებ. გვერდის შექმნის შემდეგ სკოლა გეგმავს ინფორმაციის განთავსების განსხვავებული წესის შემუშავებას. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არა ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი და მის ფუნქციებს ითავსებს ისტ-ის მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამოქვეყნების შედეგად ხელს უწყობს საკუთარი ღირებულებების, საქმიანობის, მისიის პოპულარიზაციას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას. უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი იმიჯის გაზრდისთვის. სკოლის განცხადებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულება ვერ მოიძებნა. **ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4. სკოლას ამჟამად არ აქვს ვებგვერდი და სარგებლობს მხოლოდ სოციალური გვერდით, რომელზეც თავსდება ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე საგანმანათლებლო პროცესების შესახებ. **ინდიკატორი 3.6.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოადგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა სამოქმედო პერიოდი (20.07.2023წ. - 15.10.2023წ.). შესაბამისად წარმოადგინა ვებ-გვერდის ლინკი, რომლითაც შესაძლებელია ვებ-გვერდის დათვალიერება. ვებ-გვერდზე შეტანილია ინფორმაცია სკოლის შესახებ ქართულ ენაზე. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი 3.6.3.4. სრულად დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას სოციალურ ქსელში განთავსებული აქვს მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების, მუსიკალური საღამოების ამსახველი ვიდეოები, დასუფთავების და გამწვანების აქციების ამსახველი ინფორმაცია, სპორტული ღონისძიებები, თურქეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების აქცია. მომავალი სასწავლო წლიდან დეტალურად მოხდება ყველა იმ ინფორმაციის გავრცელება, რაც სასწავლო პროცესს უკავშირდება, რისი საშუალებას მ ი ს ცემს ვებ. გვერდი.

ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი და შესაბამისად არ ჰქონდა განთავსებული ინფორმაცია - სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროგრამები და მათზე ჩარიცხვის პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა სამოქმედო პერიოდი (20.07.2023წ. - 15.10.2023წ.). გეგმაში მოცემულია ლინკი სკოლის მოქმედი ვებ გვერდის შესახებ. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია - სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, ასევე ინფორმაციები სასწავლო პროგრამების და მათზე ჩარიცხვის პროცედურების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები.

შესაბამისად ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის სოციალური ქსელი** https://www.facebook.com/profile.php?id=100068664109440
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით და ბანკიდან მიღებული სარგებლით (ლიბერთი ბანკი).
სკოლას აქვს წლების განმავლობაში დაზოგილი თანხა 2015 წლიდან, რომელიც მიღებულია ბანკის სარგებლით/პროცენტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

(როცა მიმდინარეობდა სკოლის მშენებლობა მისი ავარიულობის გამო და სკოლას არ უწევდა დამატებითი ფინანანსების გაღება). სკოლის ფინანსებით შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ფინანსური პრობლემა როგორც მასწავლებელთა ხელფასების გასაცემად, ასევე სხვადასხვა კომუნალური ხარჯის დასაფარად, ასევე საჭირო ინვენტარის და რესურსების შესაძენად. ამ ეტაპზე სკოლას დაგეგმილი აქვს შემდეგი შესყიდვები: ქიმიის ლაბორატორიის მოწყობა საჭირო ავეჯითა და რეაქტივებით, სკოლის შენობის და ეზოს აღჭურვა ვიდეო სათვალთვალო კამერებით საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მონიტორინგის შედეგად სკოლისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებით, სკოლის ტერიტორიაზე ბუნებრივი სასმელი წყლის შემოყვანა, აგრეთვე კვების ბლოკის (ბუფეტის) შექმნა, კომპიუტერებისა და პრინტერის შესყიდვა.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ფინანსური რესურსების განკარგვა ხდება საჭიროებებიდან გამომდინარე, წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლას აქვს **დამტკიცებული ბიუჯეტი,** რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. სკოლის ბიუჯეტი შედგენილია და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. დამტკიცებულ ბიუჯეტში ბიუჯეტის ზრდისა თუ შემცირების შემთხვევაში ხდება სათანადო ცვლილებების შეტანა სკოლის დირექტორის შემუშავებითა და წარდგინებით. სკოლის ბიუჯეტში ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

ფინანსური რესურსების განკარგვას მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. დეკემბრის თვეში სკოლა დირექტორის სახით დეტალურ ანგარიშს წარუდგენს მას.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ბუღალტერს. იგი მონაწილეობს ბიუჯეტირების პროცესში, ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას ასევე იღებენ მასწავლებლები (ბუღალტერს სიტყვიერად აწვდიან ინფორმაციას საჭიროებების შესახებ) და დირექტორი. ბუღალტერი მონაწილეობს შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ბუღალტერის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს (ბუღალტრის სპეციალობა). მას აქვს სკოლაში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. ბუღალტერთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახულია მისი, როგორც შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციები.

ბიუჯეტის შედგენა ხდება შემოსავლების განაწილებით. **სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი,** რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის დეკემბერში. ბიუჯეტში ასახულია შემოსავლები, ხარჯები, ნაშთი. გასავალია: კომუნალურები, შრომის ანაზღაურება, სატრენინგო მომსახურებისთვის, სპორტული ინვენტარის შეძენა, საკანცელარიო ნივთები და სხვა. ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება ხდება კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად.

სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექტორის ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული **შესყიდვების წლიური გეგმა,** რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი წლის 20 ნოემბრამდე. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით ხორციელდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ელექტრნულ ბაზაში EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #2-08 04.10.2022წ. "2021 წლის 12 ნოემბრის "სკოლის 2022 წლის სკოლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ #2-49 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ". **გასაუბრებით გაირკვა, რომ წინასწარ შესყიდვების გეგმის შემუშავებამდე სკოლა არ ახორციელებს ბაზრის კვლევას, რადგან ამის შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის რეალობაში არ არის.** ბაზრის კვლევა ხორციელდება ცალკეული შესყიდვების დროს.

მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს შესყიდვების განხორციელების წესი „სახელმწიფო შესაყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, **ასევე შესყიდვების გეგმა უფრო კონკრეტულად ასახავდეს შესასყიდი საქონლის დასახელებას (სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის შესყიდვების წლიური გეგმა მოიცავს მხოლოდ შესასყიდი საქონლის CPV კოდს და ვერ ხდება იმ საქონლის იდენტიფიცირება, რის შსყიდვასაც გეგმავს სკოლა).** ასევე მიზანშეწონილია შესყიდვების გეგმის შედგენის დროს სკოლამ ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რომელიც საშუალებას მისცემს მას რელევანტურად დაგეგმოს შესასყიდი საქონელი წლის განმავლობაში. ასევე კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს სკოლის დირექტორმა გამოსცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოხდება შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული შესყიდვის დაზუსტება (გეგმის განხორციელება). მიზანშეწონილია ბუღალტერმა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სკოლასთან პერიოდულად სამსახურებრივი ბარათების მეშვეობით შესყიდვების ოპერაციების განხორციელების დროს.

ავტორიზაციის მომენტისთვის სკოლა ფინანსურად მდგრადია. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი შეუფერხებელი.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი
- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს 2022 წლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.
- 2023 წლის შესყიდვების გეგმა.
- დირექტორის ბრძანება შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ნიმუში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის„ზოგადი განათლების შესახებ“. სადაც განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც საფუძვლად უდევს სკოლის შინაგანაწესს. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე, ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეებს შეუქმნას უსაფრთხო გარემო, გეგმავს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო აქტივობებს, ახორციელებს სკოლის სასწავლო რესურსებით აღჭურვას. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლის შინაგანაწეს, სადაც გაწერილია თუ რა უფლებებით სარგებლობენ მოსწავლე. სკოლაში ასევე დაცულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების უფლებები. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გარდა ამისა სკოლას დირექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს რეფერირების წესი. სკოლის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს დისციპლინური კომიტეტი, რომელიცვ თავის მხრივ (საჭიროების შემთხვევაში) განიხილავს მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის შემთხვევებს. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროექტებს, როგორიცაა მაგალითად ბულინგთან დაკავშირებული აქტივობები სახელწოდებით: ,,არა ძალადობას“, ტოლერანტობასთან დაკავშირებული აქტივობა სახელწოდებით: ,,თავისუფლება მრავალფეროვნებაშია“.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე. კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან უმოკლეს ვადაში გააცნონ სკოლის შინაგანაწესი როგორც მოსწავლეებს ისე მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ასევე ხორციელდება შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სკოლის შინაგანაწესი განათავსოს სკოლის სოციალურ გვერდზე და ვებ. გვერდზე, რათა უფრო მარტივად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას თითოეული მოსწავლის მშობელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი ორივე მხრის უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- ბრძანება თვითმართველობის არჩევნების კომიისიის შექმნაზე;
- თვითმართველობის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინარული კომიტეტის შექმნის შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება ბავშვთამიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სკოლის შიდა ინსტრუქციების შესახებ;
- განხორციელებული აქტივობის დამადასტურბელი ფოტომასალა, პლაკატი - ,,არა ძალადობას“;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი ფოტომასალა: საინფორმაციო დაფა;
- განხორციელებული აქტივობის დამადასტურბელი ფოტომასალა, პლაკატი: ტოლერანტობა - თავისუფლება მრავალფეროვნებაშია;“
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის ბრძანება მშობლებთან ერთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დეგულება;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 ივლისის N 2-53 ბრძანება გასაჩივრების დეტალური პროცედურებისა და საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას და შეწყვეტას სოფელ თვალადის საჯარო სკოლა ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის დროს გამოიცემა სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. კლასის დაძლევა ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე. მშობელთა განცხადები რეგისტრირდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით. eschool-ის საინფორმაციო სისტემაში არის ასახული მოსწავლეთა მონაცემები. სკოლის დირექტორის განმარტებით ჰყავთ ერთი სტატუსშეჩერებული მოსწავლე, რომლის სტატუსის შეჩერება მოხდა მშობლის განცხადების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ აქვს დოკუმენტურად გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები სასკოლო დოკუმენტის სახით, თუმცა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან აღნიშნული დოკუმენტის შექმნასა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფას. მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს ერთი მარეგულირებელი დოკუმენტი აღნიშნული საკითხების მოსაწესრიგებლად.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. აღნიშნული ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების წესის შესაბამისად. სკოლა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მოსწავლეთა მიერ კლასის დაძლევა კი ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე და შემდგომ აისახება eschool-ის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ მკაფიოდ არის განსაზღვრული მომსახურების სახეები და პროგრამები, რაც ძირითადად სავალდებულო საგნების სწავლებაში გამოიხატება სწავლების სამივე საფეხურზე შესაბამისი კურიკულუმით. ამ ეტაპზე სკოლას მოსწავლეებისთვის ფასიანი მომსახურება არ აქვს შეთავაზებული. 2022-2023 სასწავლო წლის მე-2 სემესტრიდან სკოლის სპორტდარბაზში ფუნქციონირებს ჭიდაობის წრე. სკოლამ კასპის სპორტულ გაერთიანებას უფასო წრისათვის უზუფრუქტის წესით გადასცა სპორტული დარბაზი. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობენ როგორც სკოლის ისე თემის მოზარდები. ინფორმაციის მიწოდება მოხდება სადამრიგებლო საათზე, სოციალური ქსელით, საინფორმაციო დაფის მეშვეობით. სკოლაში მეოთხე კლასის დასასრულს ჩატარდება დამრიგებლისა და ენის სპეციალისტების მიერ ერთობლივი საინფორმაციო კამპანია ენის არჩევასთან დაკავშირებით. არჩევანის გაკეთების პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა (მშობელთა) ინტერესები და სკოლის შესაძლებლობები, როგორც ადამიანური რესურსის, ასევე სასწავლო რესურსებისა და ფინანსური შესაძლებლობის ჩათვლით. მშობელთა არჩევანის შედეგად მეორე უცხო ენა სოფელ თვალადის საჯარო სკოლაში გახლავთ რუსული. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმის ნიმუში.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული აქტით სკოლას ჰყავს განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სკოლის ვებ. გვერდის შექმნა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება განახლებული ინფორმაციის საჯაროობა. ამასთან დაკავშირებით სკოლას უკვე დაწყებული აქვს გარკვეული აქტივობები, კერძოდ კი გაგზავნილი აქვს კორესპონდენცია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. თუმცა საუბრისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სოფელში არ არის შემოყვანილი ინტერნეტი და მოსახლეობისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ინტერნეტი. სკოლა აღნიშნულს ძირითადად სიტყვიერად, ზეპირი მითითებების საფუძველზე ახორციელებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მოქნილი მექანიზმის შექმნას, რითაც ყველა აუცილებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება და გავრცელდება ეთიკის და კონკრეტული პირების უფლებების დაცვით.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023 – 2024 სასწავლო წლის პროექტი;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 23 მაისის N 2-55 ბრძანება საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 05 მაისის N 2-54 ბრძანება მე-9 კლასის მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანის შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის N 1/კ-06 ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ თვალადის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და კლასის ხელმძღვანელები ზრუნავენ მოსწავლეების გარემოსთან შეგუების პროცესის წარმართვაზე. ეს ძირითადად მათი ქმედებებით გამოიხატება: სკოლა/კლასის ხელმძღვანელი ეცნობა ახალ მოსწავლეს, მის კანონიერ წარმომადგენელს, იდება ხელშეკრულება სკოლასა და კანონიერ წარმომადგენელს შორის, განმარტებულია ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. იცვლება საკონტაქტო ინფორმაცია. კლასის ხელმძღვანელი აცნობს გაკვეთილების ცხრილს, სასკოლო სივრცეში არსებულ ობიექტებს, ასევე გასაცნობად შესაბამისი სოციუმის წინაშე წარადგენს. სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამი მოსწავლე. სასწავლო გარემოში მათი უკეთ ადაპტაციისთვის სკოლაში მოწყობილია რესურს ოთახი. სკოლას დოკუმენტის სახით გაწერილი მექანიზმი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობასთან დაკავშირებით არ გააჩნია, თუმცა გეგმავს მის შემუშავებას.
ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების გარემოსთან შეგუების პროცესს. ეს ფუნქცია ძირითადად კლასის დამრიგებელს ეკისრებათ. ისინი მოსწავლეებს აცნობენ საკლასო ოთახს, ათვალიერებინებს სკოლას, ბიბლიოთეკას, ეზოს, აცნობენ სკოლაში ქცევის სკოლა სამომავლოდ გეგმავს საბავშვო ბაღის აღსაზრდელების, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებთან ერთად მოწვევას და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან ერთობლივ აქტივობას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო მზაობის დახვეწას და ადაპტაციის გაადვილებას. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის თვალადის საჯარო სკოლა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით გამართულია, რაც მოსწავლეებს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში უწყობს ხელს. სკოლაში არის: სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, ადაპტირებული საპირფარეშოები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი და სხვა. **ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. საგნის მასწავლებლები მოსწავლეებთან გრძელვადიანი მიზნის - შესაბამისი სტანდარტის შედეგის მისაღწევად ნერგავენ მოკლევადიანი მიზნების განსახორციელებელ შემაჯამებელ დავალებას, სკოლაში 2019 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა სწავლა -სწავლების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები მოსწავლეებს ამუშავებენ კომპლექსურ დავალებებზე, აძლევენ ზეპირ უკუკავშირს. საგნის მასწავლებლები ახდენენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს და ტიპური შეცდომების განხილვას კათედრის სხდომებზე. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებებს, აღწერენ მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. კურიკულუმის სამუშაო ვერსიაში მასწავლებლების უმრავლესობა განმავითარებელი შეფასების ანალიზს საკუთარ თვითრეფლექსიაზე დაყრდნობით გეგმავს. საჭიროებისამებრ გამოცდების პერიოდში ნიშნავს კონსულტაციებს და დამატებითი მეცადინეობის განრიგს, რის მტკიცებულება ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ სოფელში არ არის ინტერნეტი და სკოლის მშობლების გარკვეულ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ელექტრონულ ჟურნალზე კლასის დამრიგებლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, სისტემატურად აწვდიან მათ ინფორმაციას შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. თვალადის საჯარო სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი (საჭიროებიდან გამომდინარე) უწევს მოსწავლეს მხარდაჭერას მისი უფლებების რეალიზებაში. სკოლის ადმინისტრაცია კანცელარიისა და პედაგოგების ჩართულობით, საინფორმაციო დაფაზე განცხადებების განთავსებით მოსწავლეებს აცნობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების საშუალებას, მაგალითად ინფორმაციას თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, საგნობრივი და სხვადასხვა ტიპის ოლიმპიადების შესახებ, ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის თემისთვის ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენს ამიტომ სკოლის ადმინისტრაციის მითითებით სკოლის წარმომადგენლები ეხმარებიან აბიტურიენტებს და მოსწავლეებს ინტერნეტთან ხელმისაწვდომობაში და ასევე უწევთ კომპენტენტურ კონსულტაციას.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. თვალადის საჯარო სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა,** რომელიც მუშაობას წარმართავს დებულების მიხედვით. მოსწავლეებს აქვთ საკლუბო მუშაობის შესაძებლობა. სკოლას აქვს გამოცდილება დამატებითი აქტივობების დანერგვის მიმართულებით. სკიოლაში ხორციელდება არაერთი აქტივობა, მაგალითად: „თავისუფალი გაკვეთილების“ და სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

აქტივობების პროექტი „ცნობილი სახეები და სახელები“ Unicef- ის მხარდაჭერილ პროექტი „მწვანე კინო-კლუბი“, რომლის განხორციელების ერთ-ერთი კომპონენტი იყო ნარჩენების სეპარირებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება. სკოლა ჩართუ იყო ნიკო კეცხოველის სახელობის კონკურსი. მეზობელ სკოლასთან ერთად განახორციელა პროექტები გარემოს დაცვაზე და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. სკოლისთვის მოსწავლეთა მხარდაჭერა არაფორმალური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სკოლა ახორციელებს ისეთ სასკოლო პროექტი, როგორიცაა: ,,მიზანი, სწრაფვა, შესაძლებლობა - მოსწავლეებში წიგნიერების ასამაღლებლად“. სკოლას მე-10 კლასში ახორციელებდა პროექტებით სწავლებას. განხორციელდა პროექტი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კვლევა. ასევე მოეწყო „მხიარული სტარტები“, სკოლის გამწვანების აქცია, მუზეუმში ვიზიტი და სხვა. სკოლას აქვს გამოცდილება სოფლის თემთან და მუნიციპალურ სამსახურთან თანამშრომლობის ნარჩენების სეპარირებასთან დაკავშირებული. სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა წახალისებას სიგელების გადაცემით ახორციელებს.
ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. ამ ეტაპზე მოსწავლეებისა სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისგან სკოლა უკუკავშირს მხოლოდ სიტყვიერად იღებს. მოსწავლეები სკოლის წარმომადგენლებს უზიარებენ თავიანთ სურვილებსა და მოსაზრებებს. მომავალში სკოლა აპირებს ამ მიმართულებით დოკუმენტურად აღრიცხოს უკუკავშირი: მოსწავლეებისა და მშობლების ფოკუსჯგუფის გამოკითხვით, შთაბეჭდილების წიგნის შექმნით. სასურველია სკოლამ შეიმუშავოს სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირების მიღების ეფექტიანი მექანიზმები და აღნიშნული გამოიყენოს მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებალდ. **ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2022-23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100068664109440**
- **სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (პროექტი);**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022 – 2023 სასწავლო წლის;**
- **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;**
- **სხვადასხვა აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი ფოტომასალა;**
- **გასაუბრება ადმინისტრაციასთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ თვალადის საჯარო სკოლა ყოველწლიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებელთან (მაგ. გორის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თავდაცვის აკადემია, კასპის პროფესიული კოლეჯი დასხვ). მათი წარმომადგენლები ვერბალურად, პოსტერების თუ პრეზენტაციების საშუალებით მოსწავლეებს აცნობენ სასწავლო პროგრამებს და დასაქმების პერსპექტივებს. კასპის ტექნოპარკის მიერ ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელდა აქტივობა, რომელშიც სკოლის სსსმ მოსწავლეც იყო ჩართული. სკოლაში არჩევით საგნად თავის მოსწავლეებს სთავაზობს მე-10 კლასში „მეწარმეობის საფუძვლები“. აღნიშნული საგნის ფარგლებში მოსწავლეები პროფესიაში შესვლისთვის საჭირო უნარებს ივითარებენ. სკოლას აქვს აქვს პროფ. ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის კურსის ჩატარების გამოცდილება საბაზო საფეხურზე. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უკეთესად დააორგანიზოს მსგავსი შეხვედრები და მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმავს შეხვედრებს პროფესიაში წარმატებულ ადამიანებთან. **ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. თვალადის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგაც გააგრძელონ სწავლა მათთვის სასურველ პროფესიულ პროგრამაზე. საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ კი როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. სკოლის გავლით შემოსული ყველა ინფორმაცია გაცნობის სახით მიეწოდებათ ადმინისტრაციის ან დამრიგებლების მეშვეობით მოსწავლეებს და დაინტერესების შემთხვევაში უფრო უწევენ დეტალურ კონსულტაციას. სკოლა სამომავლოდ გეგმავს საჯარო ინფორმაციის აგვრცელების უფრო მოქნილი მექანიზმის შექმნას.
ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ამ ეტაპისთვის სკოლის მიერ გაწეული მომსახურების შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერი უკუკავშირების საფუძველზე. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს გაწეული მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გაუმჯობესებას. სკოლის ადმინისტაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავს ჩატარდეს სკოლადამთავრებული მოსწავლეების გამოკითხვა, თუ რა პროფესია აირჩია და როგორ დაეხმარა მას სკოლა.
ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა პროფორიენტაციასთან დაკავშირებით;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100068664109440
- თბილისის თავისუფალ აკადემიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი);
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022 – 2023 სასწავლო წელი);
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან (2023-2030) გეგმასა (პროექტი) და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (პროექტი) გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების განხორციელება და ხელშეწყობა. სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება სკოლის საჭიროებებზე მორგებული ინკლუზიური განათლების მექანიზმი რეგულირდება. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა 3 სსსმ მოსწავლე. სკოლის საშტატო განრიგით დამტკიცებულია სპეციალურ თანამშრომელთა ნუსხა. ამ ეტაპზე საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლას კონკურსის საფუძველზე შერჩეული ყავს სპეც. მასწავლებელი, ფსიქოლოგი და ენისა და მეტყველების სპეციალისტი. სკოლა ადაპტირებულია აგრეთვე შშმ პირებისთვის: პანდუსითა და სველი წერტილებით. სკოლაში გამოყოფილია ცალკე რესურს ოთახი, სადაც არსებული გარემო შესაბამისი რესურსებით ემსახურება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის რელევანტურ წარმართვას. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაციისთვის გამოიყენება სკოლის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტები ისგ შემუშავების ჯგუფის შექმნის თაობაზე და ისგ შემუშავების ჯგუფის სამოქმედო გეგმა. ისგ შემუშავების ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წევრები ადგენენ სსსმ მოსწავლისათვის გეგმას სპეციფიკის შესაბამისად. იკრიბებიან დასახული გეგმის მიმდინარეობის განსახილველად, რეკომენდაციების მისაღებად. სკოლის ფსიქოლოგი სამი მოსწავლიდან მხოლოდ ერთთან მუშაობს. მესამეკლასელთან. რესურსოთახში აჰყავს და 40 წუთის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებენ. რესურსოთახი აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. სკოლას არ აქვს ასისტენტის ყოლის აუცილებლობა. აქტიურად ხდება თანამშრომლობა მშობელთან, როგორც ინლაინ ისე ოფლაინ. სკოლის ფსიქოლოგის მომსახურებით სარგებლობენ უფროსკლასელებიც, ძირითადად კონსულტირების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მოსწავლის გადამისამართება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში. სპეც. მასწავლებელი მუშაობს სამივე სსსმ მოსწავლესთან. მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ რესურს ოთახით. მოტორული უნარების განვითარება ესაჭიროება მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეებს. სპეც. მასწავლებელი თავადაც უქმნის საჭირო რესურსებს მოსწავლეებს. მე-10 კლასელი სსსმ მოსწავლე ძირითადა დასვენებაზე შედის რესურსოთახში. მეტყველების თერაპევტი მუშაობს მხოლოდ მესამეკლასელთან. მოსწავლე საერთოდ არ მეტყველებდა. ბავშვის მდგომარეობა გამოუსწორდა. ეხლა მხოლოდ მარცვლებზეღა დარჩათ სამუშაო. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა (აგრეთვე სკოლის ფსიქოლოგმა და სპეც. მასწავლებელმა) გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სხვა მოსწავლეებსაც ესაჭიროევბათ შეფასება, მაგრამ მშობლები არ არიან თანახმანი და განცხადებას არ წერენ. ფსიქოლოგს გავლილი აქვს რთული ქცევის მართვის ტრენინგი. სპეც. მასწავლებელსა და ფსიქოლოგს ჩაბარებული აქვთ გამოცდა და 120 სატიანი ტრენინგიც აქვთ გავლილი.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექტორის სამართლებრივი აქტით სკოლაში შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი , სადაც გაერთიანებულია ყველა ის მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს, მშობლები და შესაბამისი კლასის დამრიგებლები. სკოლა ინკლუზიურ მუშაობას წარმართავს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ისგ ყველა საგანში და თითოეული მასწავლებელი პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე . დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ასევე შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ისგ მ ო მ უ შ ა ვ ე ჯგუფის მუშაობას. სპეც.მასწავლებელს შემუშავებული აქვს განრიგი თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურად სამეცადინოდ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და გაზიარებული პასუხისმგებლობა ხელს უწყობს საუკეთესო მიმართულებით სამიზნე ჯგუფის წევრების განვითარებას. სკოლაში მომუშავე პედაგოგების ნაწილს გავლილი აქვს ინკლუზიური განათლების ტრენინგები. სკოლაში ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება აჩვენებს, რომ მშობელთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, სსსმ სტატუსის მინიჭება ზოგისთვის სტერეოტიპულად არასასურველია, თუმცა ზოგიერთი მშობელი ამავე დროს შესაძლებლობას ხედავს. სკოლა თანამშრომლობს რაიონში არსებული დღის ცენტრის წარმომადგენელთან. სამომავლოდ ინკლუზიური მხარდაჭერის მთელი გუნდი გეგმავს მშობელთა ცნობიერების ამაღლებას (ტრენინგი, საინფორმაციო ბროშურები).

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (პროექტი);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სპეც. მასწავლების სამოქმედო გეგმა;
- ინდ გეგმები;
- ენისა და მეტყველების თერაპევტის ანგარიში;
- სპეც.მასწავლებლის ანგარიში;
- სკოლის ფსიქოლოგის ანგარიში;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებულია დამატებითი, არასავალდებულო ხასიათისმომსახურება, კერძოდ ტრანსპორტირების სერვისი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლაში სწავლობენ სამი სოფლის მცხოვრები ბავშვები, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაცილებულია 2-7 კმ-ით. კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია აღნიშნული მოსწავლეების უფასო ტრანსპორტით მგზავრობა. ამ სერვისით ამჟამად 60 მოსწავლე სარგებლობს. სკოლის სპორტდარბაზში ფუნქციონირებს ჭიდაობის წრე. სკოლამ კასპის სპორტულ გაერთიანებას უფასო წრისათვის უზუფრუქტის წესით გადასცა სპორტული დარბაზი. ამ ეტაპისთვის სკოლას მოსწავლეებისთვის სხვა დამატებითი მომსახურება შეთავაზებული არ აქვს. სკოლა სამუშაო გეგმის ფარგლებში სამომავლოდ აპირებს სკოლის ბაზაზე სასკოლო კლუბების შექმნა-აქტიურობას, რითაც მხარდაჭერილი იქნება მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენა და არაფორმალური განათლების აქტივობებში ინიციატივების განხორციელება. **ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება (ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ჭიდაობის წრე) ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მაღალმთიან სოფელ გუდალეთიდან ხორციელდება ორი მოსწავლის ტრანსპორტირება მსუბუქი ავტომობილით. სოფელ გუდალეთის საბაზო სკოლის კურსდამთავრებულები აღნიშნული სერვისით უკვე 5 წელია სარგებლობენ. მათ ეძლევათ საშუალო საფეხურის დასრულების შესაძლებლობა და შემდგომში სწავლის გაგრძელების შანსი. **ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ყველა სახის მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.მოსწავლეების ტრანსპორტირება ხორციელდება ტექნიკურად გამართული ტრანსპორტი. სისტემატურად ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების მონიტორინგი.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგის ტაბელი;
- რესურსცენტრის წერილი სკოლის სპორტული დარბაზის უზურფრუქტით გადაცემასთან დაკავშირებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტში აღწერილი პროცესები პედაგოგებმა დაადასტურეს გასაუბრებისას. უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს. სკოლას აქვს უკვე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის უხოური ენის, ინგლისური და რუსული ენების საგნის კურიკულუმები, თუმცა სექტემბრადე გეგმავენ, კვლავ ერთობლივად დახვეწონ უკვე არსებული კურუკულუმები. ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმა სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, სადაც აისახა დიდწილად სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები.

სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; დამტკიცებული აქვს სათანადო ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს: ა) კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს: ბ) პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; გ)კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). სკოლის ადმინისტრაციას/პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ შემდეგი: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ჩანს, რომ 2023-2024 ს/წლის დაწყებითი კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული იქნება ფუნქციები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში. გააზრებულად მსჯელობენ, რომ კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ა) შუალედური სასწავლო მიზნების განხილვა; ბ) სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტება. ასევე დაწყებითი საფეხურის კათედრა საგნობრივ კურიკულუმებს შეიმუშავებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მისი პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნი კათედრის წევრები, რომლებიც გასული სასწავლო წლის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და სასკოლო თემის ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოს, ასევე, მშობლები, რომლებსაც ეგზავნებათ ბარათები და მოსწავლეები, რომელთა ინტერესები დგინდება გამოკითხვის საშუალებით.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის განაცხადში მითითებულია, რომ გასულ წელს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი არ განხორციელებულა, თუმცა, განაცხადის მომენტში შეიქმნა 2023-2024 სასწავლო წლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კურიკულუმის სამუშაო ვერსია, სადაც კარგად ჩანს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედეგებთან ერთად განსაზღვრული სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო, კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში). კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და სკოლის შესაძლებლობები. არსებული ინფრასტრუქტურით სკოლას სრულად შეუძლია მხარი დაუჭიროს შექმნილი კურიკულუმების განხორციელებას. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მზად არიან მომდევნო სასწავლო წელს მეტად იმუშაონ კომპლექსური დავალებებით, რაც განსაზღვრავს შუალედურ და მათზე დაყრდნობით გრძელვადიან მიზანს.

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის განმარტებით სკოლაში დოკუმენტის შექმნაზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს, მტკიცებულების სახით კი მიუთითებს ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე, რომლებიც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, სკოლამ ახალი სასწავლო წლისათვის შეიმუშავა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ცალკე თავად გამოტანილი აქვს სასკოლო კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია. (ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, XV თავი). ასევე მომავალი სასწავლო წლისათვის დასამტკიცებლად შექმნილია კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩო.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ჩანს**, რომ კურიკულუმში აისახება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლებმა შექმნეს 2023-2024 სასწ. წლის კურიკულუმის სამუშაო ვერსია. მისი საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე მოხდება მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის, სამეურვეო საბჭოსთვის, სკოლის თვითმმართველობისთვის, პედსაბჭოსთვის, ადგილობრივი თემისთვის წარდგენა-გაცნობა.სკოლის დირექტორი შექმნის ჯგუფს ,რომელიც იმუშავებს ამ მიმართულებით . მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმს განიხილავენ კათედრაზე, განსახორციელებელი კომპლექსური დავალების ადაპტირებაზე სსსმ მოსწავლისთვის და მისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში ჩართულია სპეცმასწავლებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა კურიკულუმებს განავითარებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით.

უცხოური ენები - სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებითი კლასების მშობელთა კრების ოქმი, რომელშიც განსახილველი საკითხი არის ენის არჩევანი. მე-5 კლასის მოსწავლეების მშობლებს სთავაზობენ მე-2 უცხო ენის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გერმანულსა და რუსულ ენებს შორის. სხდომის ოქმიდან იკვეთება მშობელთა ჩართულობა და მათი ინტერესის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებაში. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგთა ჩართულობით დაწყებითი საფეხურისთვის უცხოური ენის კათედრაზე გასული წლის შედეგების ვერბალური ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დაგეგმეს მომავალი წლის კურიკულუმები. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების შედეგად, მათი წარმატებების თუ პრობლემების გათვალისწინებით ქმნიან ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. ერთად გეგმავენ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დაფიქსირებული პრობლემური საკითხების გამოსწორებას. ასევე დაწყებითი კლასების უცხო ენების კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური სახის დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები. ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ცდილობენ მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებების მორგების მიზნით დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ რომ, სკოლა აპირებს ითანამშრომლოს და გაითვალისწინოს ყველა ჩართული მხარის ინტერესები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე აპირებს: მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის, სამეურვეო საბჭოსთვის, სკოლის თვითმმართველობისთვის , პედსაბჭოსთვის ,ადგილობრივი თემისთვის წარდგენა- გაცნობას. სკოლა **აკმაყოფილებს** ამ კრიტერიუმს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები - სასკოლო საზოგადეობის ინტერესების ასასახად და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე სკოლა დოკუმენტს გააცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს. ამისათვის სკოლა გეგმავს შექმნას სამუშაო ჯგუფები. (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, 2.1.1.2) როგორც პედაგოგთან ინტერვიუთი გაირკვა ანალოგიური ჯგუფების შექმნა იგეგმება Teams-ის პლატფორმაზეც და საჭიროების შემთხვევაში შეხვედრები გაიმართება ონლაინ. აღნიშნულით დასტურდება რომ სკოლას აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ტექნოლოგიები კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასასახად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სკოლა გეგმავს, ავტორიზაციის მომენტისათვის დაწყებითი საფეხურის კათედრაზე შექმნილი კურიკულუმის სამუშაო ვერსია გააცნოს სასკოლო საზოგადოებას: მოსწავლეებს, მოსწავლეებს, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის თვითმმართველობას, პედსაბჭოს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპლექსური დავალებისთვის მომზადდება მშობლებისათვის გასაგზავნი ბარათები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია კომპლექსური დვალების პირობისა და შხეფასების კრიტერიუმების შესახებ. ასევე, ინტერესების დასადგენად გამოიკითხავს მოსწავლეებს კითხვარების საშუალებით. განხილვის შემდეგ სკოლა გაითვალისწინებს ყველა ჩართული მხარის ინტერესებს და დაამტკიცებს საბოლოო ვერსიას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება საგნობრივი გეგმების წარდგენა მოსწავლეების, მშობლების, სკოლის თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოსათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხდება აზრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეჯერება/შეთანხმება. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის, სკოლის მისიასა და ხედვასტან შესაბამისობის დადგენის პროცედურები. ამ ეტაპზე პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - როგორც აღნიშნეს, ზაფხულის პერიოდში სკოლა შექმნის საფეხურების მიხედვით სამუშაო ჯგუფებს, სადაც შესული იქნებიან მასწავლებლები , მშობლები და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებლები ,ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.გააცნობენ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. მიიღებენ უკუკავშირს,რისი გათვალისწინებითაც მოხდება სამუშაო ვერსიის მოდიფიცირება და დამტკიცება.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები და განაწილებული აქვს ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისასი იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა - თვითშეფასების კითხვარში არის ჩანაწერი, რომ კურიკულუმის შემუშავებაში მხოლოდ მასწავლებლები და დირექცია იყო ჩართული. ზაფხულის პერიოდში აპირებენ რომ შექმნან სამუშაო ჯგუფები საფეხურების მიხედვით სადაც ჩართული იქნებიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. შეიმუშავებენ კურიკულუმის საბოლოო ვერსიას, მიიღებენ უკუკავშირს ყველა მხარისაგან რისი გათვალისწინებითაც მოხდება სამუშაო ვერსიის მოდიფიცირება და დამტკიცება.

ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს. კათედრა ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** ამ კრიტერიუმს.

ტექნოლოგიები - მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმში ასახოს ზემოთ ნახსენები ჯგუფებიდან მიღებული უკუკავშირი და მოახდინოს კურიკულუმის სამუშაო ვერსიის მოდიფიცირება. (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, 2.1.1.3). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის არსებული ვერსია შეიმუშავეს მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ. სკოლა გეგმავს, ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება. ამისათვის ზაფხულის პერიოდში სკოლა შექმნის სამუშაო ჯგუფებს მასწავლებლების, მშობლებისა და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რომლებსაც გააცნობენ კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. ყველა მხარის უკუკავშირის გათვალისწინებით მოდიფიცირდება და დამტკიცდება საბოლოო ვერსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის პროექტის შემუშავებაში ამ ეტაპისთვის მონაწილეობდნენ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგები. კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება საგნობრივი გეგმების წარდგენა მოსწავლეების, მშობლების, სკოლის თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოსათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხდება აზრების შეჯერება/შეთანხმება. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები. ამ ეტაპზე პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სოციუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსახეხებელია სოციალური/ღრუბლოვანი სივრცის გამოყენება კურიკულუმის გაზიარებისთვის, ხშირია ინტერნეტის წვდომასთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე მისი გამოყენების უნარებიც კითხვის ნისნის ქვეშ არის მშობელთა მხრიდან. ამის გამო კურიკულუმის საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე, მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის , სამეურვეო საბჭოსთვის, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გეგმავს საერთო კრების ჩატარებას კურიკულუმის დეტალური განხილვისთვის, დამრიგებლის პროგრამის, განსახორციელებელი პროექტების , კლუბების,წრეების სამუშაო გეგმების გაცნობა/გაზიარებისთვის. შესაბამისად უკუკავშირის მიღების საფუძველზე მოხდება მათი მოდიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები დიდწილად საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. ამასვე ადასტურებს პედაგოგთა გასაუბრება,კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ უცხო ენის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. გარდა ამისა დოკუმენტაციაში ფიქსირდება ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი, სადაც სწორედ კურიკულუმის გაზიარებასა და შედეგებზეა საუბარი.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ , რიგ შემთხვევებში ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და მშობელთა ჩართულობისათვის სახლში ატანდნენ მოსწავლეებს შესასრულებლად. მშობელთა ჩართულობაზე მიუთითებს კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა, სადაც წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმი და განხილულია მეორე სემესტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დაგეგმვის პროცესი. აქვე გამოთქვეს მზაობა რომ, სამომავლოდ მოაწყობენ შეხვედრებს, ღია გაკვეთილებს და უფრო გასაგებს გახდიან მშობელთა ბარათებში აღბეჭდილ მასალას. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

ტექნოლოგიები - როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ შემუშავებული კურიკულუმის გაზიარება ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, კერძოდ: ელ. ფოტსა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები. ასევე ინტერვიუს დროს ტექნოლოგიების პედაგოგმა ისაუბრა Teams-ის ჯგუფების შექმნაზე, რომლებსაც სკოლა გამოიყენებს საჭიროებისამბერ. (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ინტერვიუ). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის დეტალური განხილვის შემდგომ სკოლა დაამტკიცებს საბოლოო ვერსიას (საგნობრივი პროგრამები, დამრიგებლის პროგრამის, განსახორციელებელი პროექტების, კლუბების, წრეების სამუშაო გეგმები), რომელსაც გაუზიარებს მთლიანად სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტები, რომლებშიც ჩადებულია კურიკულუმის შესახებ კითხვებიც, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოკვლეულ იქნას რამდენად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმები . გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაგეგმილია მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა, რომლებშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სავალდებულო თემების,დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; (პროექტი)
- სასკოლო სასწავლო გეგმა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.
- მე-3 კლასის ბარათი-ბუნებისმეტყველების-დავალებისთვის-.docx
- კათედრის/პედსაბჭოს ოქმები

საზოგადოებრივი

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები

- ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- „მე-5 კლასის მშობელთა კრების ოქმი“.
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ოქმი.
- ინგლისური ენის (1-6) კლასების კურუკულუმები
- რუსული ენის (5-6) კლასების კურუკულუმები
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ოქმი.
- მე-5 კლასის მშბელთა კრების ოქმი.

ესთეტიკური აღზრდა

- ავტორიზაციის განაცხადის ფორმა
- კურიკულუმი
- კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა

ტექნოლოგიები

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, 2.1.1.3
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ინტერვიუ

სახელმწიფო ენა

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები (I-VI კლასები)
- კათედრის შეხვედრის ოქმი

მათემატიკა

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- მასწავლებელთა და მშობელთა ფოკუსჯგუფების კითხვარები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 2023-2024 სასწ. წლის ბუნებისმეტყველების** კურიკულუმები (1-6 კლ) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ამ ეტაპზე სრული სახე არ აქვს კურიკულუმის ჩარჩოებს, არ ჩანს, რომ იფარება სრულად ყველა თემაში სამიზნე ცნებები, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე შეიქმნება სრულყოფილი ვერსიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება დიდწილად ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მაგ. მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნების შემთხვევაში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და დაგეგმილია გარკვეული საკითხების, ცნებების დამუშავება კომპლექსური დავალებებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - დაწყებითი საფეხურის უცხო ენების -ინგლისური ენის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმებში და რუსული ენის მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. როგორც ინგლისური ენის კათედრის ერთ-ერთი შეხვედრის ოქმშია აღწერილი ,სკოლაში ჯერ ოფიციალურად არ განხორციელებულა კომპლექსური შემაჯამებელი დავალება, თუმცა პედაგოგები აქტიურად მუშაობენ იმაზე ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან ოფიციალურად განახორციელონ კომპლექსური შემაჯამბელი დავალებები. გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, განხორცილებეული აქტივობები, არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარებათ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება. აქედან გამომდინარე ჩანს სკოლის მზაობა და სურვილი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის, კონკრეტულად მუსიკის საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. მუსიკის კურიკულუმში კომპლექსური დავალებები განხილულია როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. ხელოვნების მიმართულებით კურიკულუმი არ არის სწორი ფორმით წარმოდგენილი. თუმცა ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ პედაგოგები გეგმავენ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით კათედრაზე შეიმუშაონ კურიკულუმები რომლის პროცესებში ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). ვფიქრობ ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული, რომლიც აჩვენებს თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. მაგალითად მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩო იმგვარად არის აგებული რომ მოსწავლე ეტაპობრივად იღებს ცოდნას სხვადასხვა სამიზნე ცნებებზე. კერძოდ: ჯერ მოსწავლე გადის სამიზნე ცნება „კომპიუტერულ ტექნოლოგიებს“, სადაც სწავლობს კომპიუტერის ძირითად და დამხმარე მოწყობილობებს, შემდეგ სამზნე ცნება „ინფორმაციაში“ სწავლობს როგორ მოიძიოს ინტერნეტში ინფორმაცია და ქმნის პრეზენტაციას საოფისე პროგრამა PPT-ს დახმარებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობა დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებებით, რაც ხელ უწყობს მოწავლის შემოქმედებითობას შექმნას სხვადასხვა სახის ნამუშევრები. (სტანდარტი 2, დანართი N3, კომპიუტერული ტექნოლოგიები). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში,
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმების (1-6 კლასი) მიხედვით ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. საგნობრივი კურიკულუმები დამუშავების პროცესშია, თუმცა კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, სრულად დაგეგმილია რამდენიმე თემა, 1-4 კლასებში დაგეგმილია თითო კომპლექსური დავალება, ხოლო 5-6 კლასებში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა. წარმოდგენილი კურიკულუმების პროექტები არის პროცესზეორიენტირებული. მტკიცებულებებითა და გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკის პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დაწყებითი საფეხურზე და პროცესები **შეესაბამება** 2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ბუნებისმეტყველებაში შემუშავებული კურიკულუმები გარკვეულწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნება ზუსტად არის მიმართული სამიზნე ცნებასა და საკითხზე. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგს სწორად აქვს გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი მე და საზოგადოების მე-3, მე-4 და ჩვენი საქართველოს მე-5, მე-6 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები, მოაზრებულია თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა და დაგეგმილია გარკვეული საკითხების სწავლება, ცნებებზე მუშაობა კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი ინგლისური და რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპექსური დავალებებისათვის მისადაგებული და მითითებული სამიზნე ცნებები (ქვეცნებები),კურიკულუმის თემები, საკითხები, რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ სასწავლო პროცესი გახდეს ორიენტირებული მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა : კრიტიკული აზროვნება, შემოქმედობითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის მუსიკის კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნება, რესურსები, კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნებისაკენ და იძლევა საშუალებას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში. ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება უზუსტობები, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პედაგოგი გეგმავს სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით კათედრაზე კოლეგებთან ერთად შეიმუშაოს კურიკულუმის საბოლოო ვარიანტი, შეასრულოს კომპლექსური დავალებები.
აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესთეტიკის კათედრა გამოთქვამს მზაობას კურიკულუმის სრულყოფისათვის სადაც წარმოდგენილი იქნება კომპლექსური დავალებები და დამუშავდება ყველა ის უნარი (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნისკენ არის მიმართული. შესაბამისად ეს ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეს განუვითარდეს გლობალური ფუნქცია უნარები. მაგ: მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში სამიზნე ცნება „ციფრულ მოქალაქეობაში“ მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციული ეთიკის ნორმებს, კერძოდ როგორ დაიცვან საკუთარი და სხვისი უფლებები ციფრულ სამყაროში. (საგნობრივი კურიკულუმი მე-6 კლასი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - დაწყებითი საფეხურის საგნის კურიკულიუმი მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. შემუშავებული კურიკულიუმი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაქმნას მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე. მოსწავლეს ეძლევა იმის საშუალება, რომ ის გადაიტანოს და გამოიყენოს ცხოვრებაში სახვადასხვა პრობლემის გადასაწყვეტად და უვითარებს ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია, ხასიათი, მოქალაქეობა, ინიციატივა).
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც წარმოადგენენ შუალედურ სასწავლო მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. წარმოდგენილია მასწავლებლის ფოკუსჯგუფის კითხვარი, რომლითაც კათედრა აპირებს სასწავლო პროცესში კურიკულუმის დანერგვის კვლევას და რომელიც სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში იძლევა პროცესის რეფლექსიის შესაძლებლობას. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები, აგრეთვე გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის დაგეგმვის გამოცდილება. პროცესი **შეესაბამება** სტანდარტის 2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. პედაგოგი საუბრობს რიგ მეთოდებსა და სტრატეგიებზე, რასაც იყენებს სასწავლო პროცესში. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია დიფერენცირება, როგორც შინაარსის, ისე პროცესის, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მუშაობენ ადაპტირებული კომპლექსური დავალებებისს და მათი განხორციელების პროცესის შემუშავებაზე. იკვეთება ისგ გუნდის პროფესიონალიზმი დიფერენცირებულ მიდგომებში.
ინდიკატორი **2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები - ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები, რესურსები, აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. რაც შეეხება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებს დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან და აგროვებენ მონაცემებს, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა რომ სკოლაში არსებობს ჯგუფი რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში ქმნის მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მოწოდებულ მასალებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ რამოდენიმე საგნის მიერ გაწერილი ინდ. სამუშაო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ, სპეც.მასწავლებელთან ერთად შემუშავებული ქონდათ ისგ. სასწავლო პროცესში აქტიურად რთავდნენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეს,რადგან მისი ძლიერი მხარე სიმღერა იყო, ცდილობდნენ ამ კუთხით დაერტვირთათ. აქვე აღნიშნეს რომ, კლასელები აძლევდნენ წამახალისებელ უკუკავშირს მოსწავლეს. ყოველივე ეს მიუთითებს რომ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომა, რაც იმის მაჩვენებელია რომ სკოლას ამ მხვრივ აქვს გამოცდილება.

დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ წლის დასაწყისში შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ეს ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინდივიდუალური მიდგომები. სკოლას ყავს 3 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 2 მოსწავლე დაწყებით საფეხურზეა. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია ი.ს.გ ჯგუფი , აღნიშNული ჯგუფის წევრი გახლავს ასევე ტექნოლოგიების პედაგოგი. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სკოლაში ასევე შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ((სტანდარტი 4.2, 4.2.3 მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები, ი.ს.გ ჯგუფის შექმნის ბრძანება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლაში შექმნილი არის ისგ-ს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი ის.გ.-ს განხორციელების მონიტორინგს. (სტანდარტი 4.2, 4.2.3 მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები, ინკლუზიური შიდა მონიტორინგი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ქმნის ისგ ჯგუფს, რომელიც ახორციელებს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმილ სასწავლო პროცესს. ამ ეტაპისთვის სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია მათი საჭიროებები და შესაძლებლობები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლის ჩართულობისთვის მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. მომავალი წლისთვის სკოლა მზადაა, შექმნას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის რეალიზებისთვის შესაფერისი საგანმანათლებლო გარემო. ასევე, გეგმავს კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, დაგეგმილ თემებში კი გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ისგ, საიდანაც ჩანს, რომ სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მოსწავლის საჭიროებებზე ადაპტაციის გამოცდილება. 2.1.2.3 ინდიკატორში დასტურდება სტანდარტთან **შესაბამისობა** .

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილია რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით . მასწავლებელთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვს, რომ შეფასებამ, გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიღწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოს სწავლის პროცესის გაუმჯობესება. მასწავლებლების მზაობა ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებს დახვეწას. პედაგოგები ინფორმირებულები არიან განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, თუმცა არ აქვთ ჯერ გამოყენებული ; ძირითადად წარმოდგენილი აქვთ ჯგუფური მუშაობის/პრეზენტაციის შეფასების ზოგადი რუბრიკები. სამომავლო გეგმები ითვალისწინებს შეფასების ახალი ინსტრუმენტების აქტიურ დანერგვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი არ აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას სექტემბრამდე, სანამ სკოლა დაამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,რომელშიც ასახული ინგლისური ენის შეხვედრის საკითხები,განხილულია შეფასების სისტემის დეტალები,რომელიც ადასტურებს შეფასების გრძელვადიან მიზნებს.სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, იყენებენ შეფასების შემდეგ რუბრიკებს: შემაჯამებლის, დისკუსიის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკებს.გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ დაწყებით საფეხურზე ამ ეტაპზე სკოლაში განმავითარებელი შეფასება ძირითადად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.მომავალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი შეფასებისთვის სკოლა მოამზადებს შეფასების რუბრიკებს ცნებებთან მიმართებით,რაზე დაყრდნობითაც მოხდება შეფასების განხორციელება.ამავდროულად საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დადგენის მიზნით მასწავლებლები თვითრეფლექსიისა და მოსწავლეების ჩართულობით ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს,დასახავენ სამომავლო გეგმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში, განმსაზღვრელი მოიცავს მე-5კლ მე-2 სემესტრს და მე-6 კლასის სრულ სასწავლო წელს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან . ინტერვიუს დროს გაირკვა რომ, ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ეტაპობრივად შეიმუშაონ კომპლექსურ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), სადაც გათვალისწინებული და დაფარული იქნება ყველა სამიზნე ცნება და მოლოდინები მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ეს ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები -სკოლა მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის ირჩევს შეფასების პირველ მოდელს, შესაბამისად საგანი კომპიუტერული ტექნოლოგიებიც ამ მოდელით იხელმძღვანელებს. განმსაზღვრელი შეფასება იქნება ხუთ დონიანი (10 ქულა) , ხოლო განმავითარებელი შეფასებისათვის პედაგოგები წლის ბოლოს დაწერენ მოკლე წერილობით შეფასებას. როგორც ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა განმავითარებელი შეფასებისათვის მიმდინარე სასწავლო წელს იყენებდა სიტყვიერ კომენტარებს, რომელიც მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებს. (ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, ინტერვიუ). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემას: I - IV და V კლასის პირველ სემესტრში - განმავითარებელს, ხოლო V კლასის მეორე სემესტრიდან როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ახალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს თითოეული კომპლექსური დავალებისათვის შეფასების რუბრიკის შემუსავებას (განმავითარებელი, განმსაზღვრელი), სადაც გათვალისწინებული და დაფარული იქნება ყველა სამიზნე ცნება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის განვითარების დინამიკას და საჭიროებისამებრ შეარჩიოს სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს შეფასების რა ინტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის. კათედრა გეგმავს (კათედრის ოქმი/გადაწყვეტილება ახალი სასწავლო წლისათვის) შექმნას განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობებისათვის მომდევნო სასწავლო წლისათვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში არის განმავითარებელი შეფასების კომპონენტი, წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავიტარებელი შეფასების შეფასების რამდენიმე ნიმუში.

2.1.2.4 ინდიკატორში ჩანს **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გარკვეულწილად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილება, თუმცა ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი . მასწავლებელთან ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მეშვეობით გამოიკვეთა , რომ არსებობს იმის მზაობა, რომ მოახდინოს რეფლექსია და სამომავლოდ ცვლილებები გახდეს მიზანმიმართული. ინდიკატორი **2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს ნაწილობრივ მოხდა წინარე გამოცდილების ასახვა სასკოლო კურიკულუმში, სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს არ განუხორციელებია კომპლექსური დავალებები.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდეგნილ დოკუმენტზე დაყრდნობით (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) და პედაგოგებთან გასაუბრესიას გამოვლენილი ფაქტებზე დაყრდნობით ჩანს ,რომ სასწავლო პროცესისი დაგეგმვისას სკოლა იყენებს წინა წლის შედეგებს. იკრიბება კათედრის სხდომები, სადაც პედაგოგები განიხილავენ განვლილი წლის შედეგებს , გაანალიზებენ და ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რის შედეგაც დაგეგმავენ კონკრეტულ აქტივობებს შედეგის გასაუმჯობესებლად.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. აღნიშნეს რომ, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს ყველა ის წარმატებული კომპლექსური დავალება რაზეც იმუშავეს გასულ წელს. აპირებენ გაუზიარონ ერთმანეთს მთელი წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება და ახალი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ასახონ კურიკულუმში. ამ მიმართულებით ჩანდა მათი მზაობა. შესაბამისად ინდიკატორს **აკმაყოფილებს**.

ტექნოლოგიები -კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას დეტალურად აქვს გაწერილი თუ როგორ აისახება წინარე გამოცდილება დაგეგმვის პროცესში. სკოლა გეგმავს გაანალიზოს წინა წლის პროცესები შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა და კათედრების მუშაობა. მიღებული შედეგების საფუძველზე კი შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი რომელიც გათვალისწინებული იქნება საგნობრივ კურიკულუმებში. აღნიშნული რეკომენდაციები ასევე გათვალისწინებული იქნება ტექნოლოგიების საგნობრი კურიკულუმშიც. (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია)

სახელმწიფო ენა - 2023-2024 წლისათვის სკოლა გეგმავს, დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოავლინოს პრობლემები, წინარე ცოდნის გამოცდილების რეფლექსიაზე დაყრდნობით გადაამუშაოს და სრულყოს კურიკულუმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება და კურიკულუმებზე მუშაობისას აქტიურად თანამშრომლობენ საბუნებისმეტყველო მიმართულებების მასწავლებლბთანაც, რომლებთანაც ერთ კათედრაში არიან გაერთიანებული; მათემატიკის (დაწყებითი საფეხურის) გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ პედაგოგები თვითრეფლექსიასა და პრაქტიკის კვლევაზე დაყრდნობით გეგმავენ კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობას. 2.1.2.5 ინდიკატორში იკვეთება სკოლის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- კურუკულუმები 1-6 კლასისთვის
- ინდ. სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

უცხოური ენები

- დაწებითი კლასების ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალების მაგალითები - მე-6 კლ ინგლისური ენის მატრიცა. მე-5 და მე 6 კლასის რუსული ენის მატრიცა
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწებითი კლასების ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.
- წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მაგალითები - მატრიცები - მე-6 კლ ინგლისური ენის და მე-5 და მე 6 კლასის რუსული ენის.
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი.

ესთეტიკური აღზრდა

- კურიკულუმი
- კურიკულუმი
- ისგ- სხდომის ოქმი
- განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ კათედრის წევრებთან

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმები (I-VI კლასები)
- შეფასების რუბრიკა

ტექნოლოგიები

- სტანდარტი 2 , დანართი N3, კომპიუტერული ტექნოლოგიები.
- საგნობრივი კურიკულუმი მე-6 კლასი
- ი.ს.გ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ინკლუზიური შიდა მონიტორინგი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, ინტერვიუ
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

მათემატიკა

- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- კათედრის შეფასების ფორმა/გადაწყვეტილებაახალი სასწავლო წლისათვის (დანართი#2)
- დამატებით წარმოდგენილი მასალა
- მოსწავლის ისგ გეგმა
- ისგ სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობა არასრულ სურათს იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე, რადგან შუალედურ მიზნები ზოგიერთ თემასთან არის განსაზღვრული კომპლექსური დავალებებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, თუმცა მასწავლებელთან გასაუბრებამ ცხადყო, როგორ ხდება სასწავლო პროცესში გარკვეულწილად მოსწავლეთა თვითეფექტურობისა და შინაგანი მოტივაციის გაზრდა. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და სავალდებულო თემების ფარგლებში დაგეგმილი შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი შესაძლებლობას მოგვცემს მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესებში, მაგ. მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნებში მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასებში დაგეგმილია სხვადასხვა საკითხების შესწავლა კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და შექმნან ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორიცაა - ფოტოკოლაჟი, საკლასო კონსტიტუცია, ინტერვიუ, საინფორმაციო ბუკლეტი, სტატია... და ამ პროდუქტების დახმარებით დაადასტურონ თავისი ცოდნა შესასწავლი საკითხებისადმი. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად სწორედ კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსზე, მიზნებსა და მითითებულ განსახორციელებელ აქტივობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ,რომ სასწავლო პროცესი უზრუნველჰყოფს დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შემოქემედებით პროცესებში ჩართულობას. მაგალითად მე-6 კლასის რუსული ენის კომპექსური დავალება : პოსტერის დამზადება ,, კეთილი სიტყვების შესახებ“ ასევე მე-5 კლასის კომპლექსური სახის დავალება პოსტერი -,, ჩემი სახლი, ჩემი ოთახი“ და სხვა. გარდა ამისა პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ ისინი ცდილობენ დაწყებითი კლასების სხვა პედაგოგებთან ერთად საერთო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას და ამ მხრივადაც ცდილობენ მოსწვლეთა მოტივირებისა და ჩართვას მათივე შესაძლებლობებიდან და ინერესებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია კურიკულუმი რომელიც ძირითადად ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს. (განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმი.) პედაგოგის მიერ წარმოდგენილია 1-ლი კლასის კომპლექსური დავალება. შესრულებული კომპლექსური დავალებიდან ჩანს რომ, მსგავსი ტიპის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ეფუძნება წინარე ცოდნის გამოცდილებას და მიმართულია სამიზნე ცნების გააზრებაზე. ხელოვნების კურიკულუმში არის უზუსტობები, თუმცა რადგან კათედრაზე არის პედაგოგი რომელიც აქტიურად განიხილავს კომპლექსურ დავალებებს, მაფიქრებინებს რომ ერთმანეთის ზრუნვით და მხარდაჭერით ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებული** იქნება.

ტექნოლოგიები - ინტერვიუს დროს პედაგოგმა დაასახელა კომპიუტერული ტექნოლოგიების ერთ-ერთი დავალება „ნაწილი და მთელი“ . აღნიშნული დავალება ინტეგრირებულია მათემატიკასთან . ასევე დავალების საბოლოო პროდუქტად მოსწავლე პროგრამა paint-ში, ფიგურების გამოყენებით ქმნის ნაძვის ხესა და საახალწლო ილუსტრაციას. ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩაერთოს. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა - სკოლა გამოხატავს მზაობას, მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები, შესთავაზოს საინტერესო, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებისათვის იზრუნოს მის პიროვნულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე, მაქსიმალურად დაეხმაროს მოსწავლეს, გამოავლინოს საკუთარი თავი, რისთვისაც შეისწავლის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობას, ფსიქოლოგიურ მახასიათებელს და ინტერესს, შესთავაზებს დაძლევად დავალებებს, რათა ჰქონდეს წარმატების განცდა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად დაგეგმილი მასალები და აქტივობები, აგრეთვე განვლილი სასწავლო წელს შესრულებული მოსწავლეტა ნამუშევრებიადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი აძლევს საშუალებას მოსწავლეს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოკვეთეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის გზები. დასტურდება 2.2.1.1 ონდიკატორის სტანდარტთან **შესაბამისობა**.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელთან ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცხოვრებისეულ პრაქტიკულ მაგალითებზე დამყარებული კონტექსტებით, რასაც ადასტურებს მასწავლებლის მიერ აღწერილი სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები.მაგ: გაკვეთილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საწყის ეტაპზე მოსწავლეს ვასწავლით ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვებას, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას და ამრიგად ცოდნის კონსტრუირება-შენებას.ამას ასევე უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. ინდიკატორი **2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა, მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო პროცესში ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავებისას შექმნას ისეთი მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. სასურველია, სასკოლო კურიკულუმის დანართზე მუშაობის დროს, კომპლექსური დავალებების პირობების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი პრინციპები, რომ მოსწავლემ დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ.

უცხოური ენები - -საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა ადასტურებს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება კონსტრუქტივისტული მიდგომით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ, რომ ახალი ცოდნის აგება,მოხდეს წინარე ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი საგან მუსიკაში, აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს ეს კარგადჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებისაკენ.

უზუსტობა ჩანს ხელოვნების I-VI კლასების კურიკულუმში, არ არის ყველა თემა და შესაბამისად არც კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი სრულყოფილად, რაზეც ინტერვიურებისას პედაგოგმა ახსნა რომ სასწავლო წლის დაწყებამდე განსაზღვრავს თემებს და შეარჩევს კომპლექსურ დავალებებს. ეს ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმით ახალი ცოდნის მიღება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სწორედ ამ პრინციპით არის დავალებები გადანაწილებული მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. მაგ.: მოსწავლე ჯერ ეცნობა კომპიუტერის ძირითად და დამატებით მოწყობილობებს, შემდეგ სწავლოს საოფისე პროგრამას Power Point-ს, შემდეგ იყენებს ინტერნეტს და სწავლობს პირადი ანგარიშის მართვას და ღრუბლოვანი სერვისების გამოყენებას. (მე-3 კლასის კურიკულუმი).

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ ცოდნის უწყვეტობა სასწავლო პროცესის ეფექტურობის საფუძველია. სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას ეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გაკვეთილის საწყის ეტაპზე ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით, ახალი ინფორმაციის შეგროვებით, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირება-შენებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მათ უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. მოსწავლისთვის შეთავაზებული კარგად ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას და ცოდნის ტრანსფერს. დასტურდება 2.2.1.2 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებისთვის დასმულ მეტაკოგნიტურ შეკითხვებს, რითაც ხელს უწყობს მოსწავლეების თვითრეფლექსიას, პროცესის ხელახლა გადააზრებას.
ინდიკატორი **2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას მისცემს დაგეგმონ სასწავლო პროცესი ისე, რომ დაეუფლონ მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა ხერხებსა და მიდგომებს გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას და როგორ წარმოაჩენენ თავის ცოდნას ნამუშევარში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს და მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა -სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა. (ექვსი კომპონენტური უნარი) კერძოდ მე-4 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება „დიორამა საყვარელი ცხოველის საცხოვრებელი პიროებების შესახებ. რუსულ ენის მე-5 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეა- წარადგენე „ჩემი სახლი“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებელი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას.ისინი ცდილობენ რეგულარულად იმუშაონ იმაზე,რომ მოსწავლემ შეძლოს შესრულებულ დავალებაზე საუბარი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. ახდენს რეფლექსიას. ინდიკატორი **2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - მოწოდებული დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, ეს მოცემულობა დაზუსტდა და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით და **აკმაყოფილებს სტანდარტით** გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება-გაანალიზება დაეხმარება მას პიროვნულ განვითარებაში. ამ ეტაპზე სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებში არ ჩანს კითხვები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, თუმცა სკოლას გააზრებული აქვს სწავლის სწავლის მნიშვნელობა მათი განვითარებისათვის და გამოხატავს მზაობას, აქცენტი გააკეთოს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამის გამოცდილება სკოლას აქვს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში იგეგმება სწავლის სწავლაზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, კურიკულუმში არის ჩაშენებული სწავლის სწავლის სტრატეგიები ,წარმოდგენილ 1-6 კლასების კომპლექსური დავალების პირობებში არის კითხვები, რომელიც მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას მოითხოვს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ და კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავებისას აუცილებლად ითვალისწინებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიას. დგინდება 2.2.1.3 ინდიკატორის **შესაბამისობა**.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექტურ დავალებებზე და გასაუბრების შედეგად გამოკვეთილ მათი განხორციელების სავარაუდო ნაბიჯებზე/სტრატეგიებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან პედაგოგი ცდილობს, სასწავლო პროცესში გამოიყენოს ცოდნის სამივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კატეგორიაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც საკითხის/სამიზნე ცნების/მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს საგნების კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას მისცემს დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის აგებაზე იყოს ორიენტირებული. სასურველია, თითოეული საგნის კურიკულუმის დანართებზე მუშაობის დროს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ნაბიჯებად დამუშავდეს შეფასების კრიტერიუმები ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ამ ცოდნის რეალიზება და სხვადასხვა კონტექსტში ადეკვატურად გამოყენება.

უცხოური ენები - კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მაგალითად მე-2 კლასისი ინგლისური ენის კურიკულუმში მოცემული დავალების ფორმულირება ასეთია : ,,გაითამაშეთ როლური თამაში - სიმულაციური დიალოგი პიკნიკზე წაღებული საჭმელებისა და იქ არსებული გარემოს აღწერის მიზნით“ ,ან კიდევ მე-3 კლასისი ინგლისური ენის კურიკულუმში მოცემული დავალება : შექმენი კომიქსი თემაზე "ჩემი საყვარელი ანიმაციური სუპერგმირი”.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადის ფორმაში ვკითხულობთ რომ, სკოლის საგნობრივი პროგრამები მორგებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე: პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. ცოდნა მიემართება მარტივიდან რთულისაკენ.

მუსიკის პედაგოგის შემაჯამებლის ანალიზში განხილულია კომპლექსური დავალება მე-6 კლასისათვის სადაც კარგად ჩანს თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. ინტერვიუს დროს პედაგოგმა უფრო დააკონკრეტა და ნათელი გახადა თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა თემის ფარგლებში შესწავლილი საკითხი -მუსიკა ხმოვან კინოში - კოსტიუმირებულ სანახაობად წარმოედგინათ, გაეცოცხლებინათ პერსონაჟები და სოფელში დარჩენილი მოხუცებისთვის ერთგვარი პერფორმანსი შეეთავაზებინათ. ყოველივე ეს მიუთითებს რომ კათედრა მუშაობს ამ კუთხით და **აკმაყოფილებს** ინდიკატორს.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი პროგრამები მორგებულია ცოდმის სამ კატეგორიაზე: დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. სკოლის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. თემები ისეა შერჩეული, რომ მორგებულია მის ინტერესებსა და საჭიროებებს. მოსწავლე თავს უყრის ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რომლებიც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე და საბოლოო პროდუქტის შექმნზე. მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომლებიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. მაგ., დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათის შექმნილია „მწვანე კლუბი“, რომელიც ახორციელებს პროექტს თემაზე „ნარჩენების სეპარირება“. ასევე, თითოეული კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო საათების თემატიკა, რომელიც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეუწყობს მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებაში. მომავალში სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით უფრო მეტად გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით, პრობლემაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებების დაგეგმვით, რაც პედაგოგებს საშუალებას მისცემს ორიენტაცია აიღოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასკოლო კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში განსაზღვრულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რაც აგრეთვე შეუწყობს ხელს სიღრმისეული სწავლების პრინციპების დანერგვას სკოლაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა პედაგოგთა კომპეტენცია აღნიშნულ საკითხში. დგინდება სტანდარტის მოთხოვნებთან 2.2.1.4 ინდიკატორის **შესაბამისობა.**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში გარკვეულწილად უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიერ მიღებულ/დაგროვებულ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, ასევე გასაუბრებისას აღწერილი სასკოლო პროექტები/სხვადასხვა აქტივობები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას . დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათის შექმნილია „მწვანე კლუბი“, რომელმაც განახორციელა პროექტი თემაზე „ნარჩენების სეპარირება“. ასევე თითოეული კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს ისეთი სადამრიგებლო საათების თემატიკა, რაც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას, მიღებული ცოდნის სხვა კონტექსტში გამოყენებას. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ შემდეგი: ცოდნის საჭიროებაზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას გვაძლევს მოსწავლემ დაინახოს ცოდნის მიღებისა და უნარების განვითარების საჭიროებები, დააკავშიროს სწავლის პროცესი შედეგთან და დასახოს მიზნები საკუთარი შესაძლებლობების შეფასების შემდეგ. დაგეგმილია ინტეგრირებული გაკვეთილები ბუნებასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრული კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს პედაგოგს დავალების განხორციელების პროცესში ორიენტირებული იყოს პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომელიც საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება.
უცხოური ენები - კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილი და შემდგომში პედაგოგებთან ინტერვიუ მაძლევს საშუალებას ვიფიქრო რომ, 2023-2024 წლის კურიკულუმში, კონკრეტულად კი მუსიკის საგანში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები - მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა inetl-ის პროექტი თემაზე „ბედნიერი ხარ? -Are you happy”. პროექტი დაფუძნებული იყო ინგლისური ენისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს შეეძლოთ დაემუშავებინათ ინგლისურის სამიზნე ცნებებთან ერთად საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სამიზნე ცნება „ციფრული წიგნიერიება“ . პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შეასრულეს სხვადასხვა დავალებები, მათ შორის ვიზუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პროგრამირების პლატფორმის Scratch-ის გამოყენებით. (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, 2.2.1.5) აღნიშნულით დასტურდება , რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა მოსწავლეთა ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება.

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე შედგენილი კურიკულუმები იძლევა ესგ-ით განსაზღვრული სტანდარტების რეალიზების საშუალებას. დავალებები აგებულია თემატურად, შერჩეული თემები უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. რადგან საკითხის შინაარსი და პრობლემა მოსწავლისათვის უცხო არ არის, ის იწყებს პრობლემასა და გამოწვევაზე ფიქრს. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რაც ზრდის გაზრების, დამახსოვრების და ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობებს. სკოლა გეგმავს, მოსწავლეს შესთავაზოს კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტული ტიპის აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მას განუვითარდება ყველა კომპეტენტური უნარი და შეძლებს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლა კურიკულუმში გეგმავს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე, რაც გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარის გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების წარმატებით შესრულება მოსწავლისაგან მოითხოვს მიგნებების განხილვა/დასაბუთებას, არგუმენტირებას, შეძენილი ცოდნის და გამოცდილების ორგანიზებას/ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად დასტურდება 2.2.1.5 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- საგნობრივი კურუკულუმები
- სასწავლო პროექტები
- კლუბის აქტივობები
- მოსწავლეთა ნაშრომები

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- დაწყებით კლასების რუსული ენისა და ინგლისური ენის კურიკულუმები

ესთეტიკური აღზრდა

- *ავტორიზაციის განაცხადის ფორმა.*
- *კურიკულუმი.*
- *კურიკულუმის დანართები.*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი.*

სახელმწიფო ენა

- **დანართი N3**

მატემატიკა

- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2)
- დამატებით წარმოდგენილი მასალა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრების და თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ესგ-თი გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამის ფარგლებში, მაგრამ ნაკლებად იყო ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამახვილებული საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე სრულყოფილად. თუმცა პედაგოგი გააზრებულად(თეორიულად) წარმოაჩენს შემდეგს: საფეხურის შედეგებიდან გამომდინარე მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სამიზნე ცნებებს დააზუსტოს მკვიდრი წარმოდგენები, მკვიდრ წარმოდგენების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ქვეცნებები, ქვესაკითხები და საკვანძო შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც დამუშავდება სამიზნე ცნება. მსჯელობს, რომ საგნობრივი კურიკულუმი უნდა იყოს რეალიზებული კომპლექსური დავალებებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რეფლექსიით. აქედან გამომდინარე, პედაგოგი სამომავლოდ გეგმავს, რომ სასწავლო პროცესში უფრო მიზანმიმართულად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება. ასევე, იმ შესასწავლ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც ამ ეტაპზე არ იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება, განსაზღვრულია რომელი საკითხი, რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს დაფარავს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა დაგეგმილია კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში და დაზუსტდა პედაგოგებთან ინტერვიუების დროს რომ, მომავალი წლის სასწავლო პროცესი დაგეგმილია სამიზნე ცნების , მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში თითო თემაა ასახული, პედაგოგთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა რომ ახალი სასწავლო წლიდან ეს ფორმა უფრო დაიხვეწება. ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ საფეხურის შედეგებს განსაზღვრავს სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებისკენ მიმართულ კომპლექსურ დავალებებს. ამ ეტაპზე საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კურიკულუმში ასახულ ყველა კომპლექსურ დავალებას არ ახლავს პირობა. დაწყებითის კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თითოეული დავალებისათვის, ასევე, მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შევსებას ახალი კომპლექსური დავალებებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - მტკიცებულების სახით წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასთან დაკავშირებით. თემატური დაგეგმვისას მნიშვნელოვანია საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებას/მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირების სწორი ასახვა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება - ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში გასულ სასწავლო წელს შემუშავებული აქვთ თემატური მატრიცები. იკვეთება 2.2.2.1 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი -

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივ კურიკულუმში, სავალდებულო თემებში წარმოდგენილი ძირითადი საკითხები ისეა შერჩეული, რომ ცხადია, გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და ორიენტირებულია მის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს საგნების კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასურველია, სასწავლო პროცესში ისე დაიგეგმოს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

უცხოური ენები - გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი,რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეების არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში ჩართვას რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია. ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლაში სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლის ფიზიკური, გონებრივი, პიროვნული ზრდის, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს მის თვითრეგულირებას, სოციალურ ცნობიერებას, ურთიერთობის უნარებსა და პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებებზე. ამ მიმართულებით სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში. ამ მიზნით შესთავაზებს საინტერესო კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. წარმოდგენილ მასალებში ჩანს მოსწავლეთა მზაობის შემოწმების ინსტრუმენტები. პედაგოგების თქმით, ახალ სასწავლო წელს იგეგება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის გასაუმჯობესებლად გარკვეული ღონისძიებების დანერგვა(სადიაგნოსტიკო შეფასება, კათედრაზე თანამშრომლობის გააქტიურება). დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება არც ადვილი იყოს და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებიდან და კომპლექსური დავალების ბარათიდან ჩანს, რომ საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . იკვეთება 2.2.2.2 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილ შეფასების მასალების (მოსწავლეთა შეფასება სოლო-ტქსონომიით, შეფასების ანალიზის ფორმა) გაცნობამ ცხადყო, რომ შეფასებისას მასწავლებელი აქცენტს აკეთებს როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას დაწყებით საფეხურზე არ აქვს წარმოდგენილი მოსწავლეების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. თუმცა პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მომზადდეს ყველა იმ შესასწავლ საკითხთან, გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, რომლებიც მუშავდება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალებებით.

უცხოური ენები - მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად მასალებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. ამ ეტაპისათვის დაწყებთ საფეხურზე აკეთებენ ზეპირ განმავითრებელ სეფასებას, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებზე მორგებული წერილობითი ფორმის შემუშავებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება და ინსტრუმენტი. შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო ოთხი ინსტრუმენტიდან აირჩა მეორე ინსტრუმენტი. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასებას სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. დაზუსტების მიზნით სემესტრში ერთხელ. მონაცემები დამუშავდება კათედრაზე და გააცნობენ სასკოლო საზოგადოებას.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, რაც შეესაბამება სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. მუსიკის საგანს წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის (მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის) განმსაზღვრელი შეფასების 1 რუბრიკა.

გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, გეგმავენ ეტაპობრივად გაწერონ განმავითარებელი შეფასება თითოეულ კომპლექსურზე. ასევე მე-5 კლასის II სემესტრისა და მე-6 კლასისათვის გაიწერება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით. ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე გამოიყენება შეფასების ორ ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამ ორი კომპონენტის გამოყენებით ფასდება მოსწავლეების შესაძლებლობები, უნარები, აქტიურობა. შეფასება მასწავლებლებს ეხმარება, განსაზღვრონ, მოსწავლე რა დონეს ფლობს და გარკვეული აქტივობების განხორციელების შემდეგ როგორ გააუმჯობესებს მიღწევებს. მოსწავლეებს საშუალება აქვთ აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში კრიტერიუმების განხილვის, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასებით, განსაღვრონ და განავითარონ ცოდნა და უნარები. მომავალში სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემების გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების, როგორც პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, ამოცანები. კათედრის ოქმის მიხედვით, ახალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს არსებული შეფასების რუბრიკების სრულყოფას, აგრეთვე გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვას. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები მოსწავლის შეფასების მნიშვნელობასა და ამოცანებზე, კერძოდ მათ აღნიშნეს, რომ მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება არაა მათი ამოცანა და ცდილობენ შეფასებისას დაადგინონ, რამდენადაა ჩართული თიტოეული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. დგინდება 2.2.2.3 ინდიკატორის სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა ამჟამად იყენებს შეფასების რამდენიმე რუბრუკას, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში და მეტ-ნაკლებად გააზრებულია მოსწავლეების მხრიდან. რუბრიკები ჰოლისტურია, ნათლად არ ასახავს კონკრეტული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის გაზომვის საშუალებას. ასევე, წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების ფორმა. გასაუბრებისას ცხადი გახდა , რომ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე ჩატარებულ ვებინარებზე მიიღეს რეკომენდაცია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენის მექანიზმებზე,და ახალი სასწავლო წლის დადგომამდე მოხდება მათზე მუშაობა.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას დაწყებით საფეხურზე ამ ეტაპზე წარმოდგენილი არ აქვს შეფასების რუბრიკები, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს გეგმავენ სექტემბრამდე სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე მოამზადონ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობოდეს სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა; მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით დაწყებითი კლასების მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კირტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერად ფასდება მოსწავლის შედეგები.

ესთეტიკური აღზრდა - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების პირველ მოდელს. კათედრის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განსამზღვრელი რუბრიკები, სადაც ჩანს თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და როგორ ფასდებიან მოსწავლეები, რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული, შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ.

კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები. რუბრიკა მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებისა და გრძელვადიანი მიზნისკენ, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური,სანდო და **დაკმაყოფილებულია** ინდიკატორი.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება არის საწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და შემუშავებული უნდა იყოს სკოლის საზოგადოების მიერ: მასწავლებლის, კათედრის, მოსწავლეების ჩართულობით. სკოლა გეგმავს დახვეწოს შეფასების სისტემა, რომელიც განხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. მიზანი განსაზღვრავს შეფასების შინაარსსა (სამიზნე ცნება) და ასევე პროცესს, რომლითაც მიიღწევა შედეგი. შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები მოისწავლეთა ჩართულობით, რაც მათ ჩამოუყალიბებს გარკვეული პასუხისმგებლობის განცდას და მისცემს საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრებზე მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების პედაგოგებთან ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების შეჯერებას, კათედრის ოქმიდან ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს შეფასების რუბრიკების შეჯერებას/სრულყოფას როგორც კათედრაზე, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებთან. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა სკოლაში. აუცილებელია შეფასების ვერიფიკაციის გამართული სისტემის აწყობა. მასწავლებელთა ფოკუსჯგუფის კითხვარში ჩანს, რომ შეფასების სისტემა კვლევის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ინდიკატორი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ არსებობდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა არსებობს მისი შემუშავების მზაობა. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავდება მექანიზმი, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. ამ ეტაპზე სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების მე-2 ტიპი- „საკლასო წერა“. ყურადღება მიექცევა, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი არ აქვს მის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრება და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომლებსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს. **ინდიკატორი 2.2.2.5 არ არის დაკმაყოფილებული.**

უცხოური ენები - გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასთვის სპეციალური ჯგუფი, რომელიც წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძელზე შეამოწმებს უცხო ენის დაწყებითი საფეხურის შედეგებს , არსებული შეფასების სისტემით ვალიდურობასა და გამჭირვალობას. **ინდიკატორი 2.2.2.5 არ არის დაკმაყოფილებული.**

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ აპირებს გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული მექანიზმი გაწერილი იყოს შეფასების სისტემის რეგულაციაში ან არსებობდეს დამოუკიდებლად, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

სახელმწიფო ენა - ამჟამად სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა. სკოლა გეგმავს მის შემუშავებას, რომელსაც გაწერს შეფასების სისტემის რეგულაციაში დამოუკიდებლად, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზითა და რეფლექსიით.
ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.

მათემატიკა - სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. თვითშეფასების კითხვარის თანახმად, შიდა ვერიფიკაციის სისტემაზე მუშაობა ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ შესაბამისობის გეგმით დათქმულ პერიოდში (01.09.2023წ. - 16.10.2023წ.) შეიმუშავა და წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #2-78 16.10.2023წ. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით ამისათვის განკუთვნილ სივრცეში . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული დოკუმენტი, რომელიც ეხება მოსწავლის პირად საქმეს, შეფასებებს, ინახება წესისამებრ. რაც შეეხება მოსწავლეების ნაშრომებს, შემაჯამებლებს, პროექტებს, ზედმიწევნით არ ინახება, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან გამოიყოფა ადგილი,სადაც დასაწყობდება აღნიშნული დოკუმენტაცია,აგრეთვე სკოლის დირექციიდან ერთი პირი,რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დოკუმენტაციის შენახვის.ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - პედაგოგებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა ,რომ სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება. კერძოდ: მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ამ ეტაპზე სკოლა არ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებაზე და უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - მოსწავლეთა პირადი საქმეები, შეფასებები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დროით, ხოლო მოსწავლეების ნაშრომები, შემაჯამებლები, პროექტები ზედმიწევნით არ ინახება. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გამოყოს სპეციალური სივრცე, შეინახება აღნიშნული მასალები, აგრეთვე სკოლის დირექცის შეარჩევს მათ შენახვაზე პასუხისმგებელ პირს. ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას გაიკვა, რომ კათედრაზე ინახება შეფასებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მასალა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ასეთი ტიპის ინფორმაციისა და მტკიცებულების აღრიცხვისა და შენახვის პროცედურების მოწესრიგებას. იკვეთება სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები
- შეფასების რუბრუკები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- დაწყებითი კლასების ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.
- ინგლისური ენის კათდრის შეხვედრის ჩანაწერი.

ესთეტიკური აღზრდა

- ავტორიზაციის განაცხადი
- კურიკულუმის დანართები
- დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

მათემატიკა

- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები (დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2)
- კათედრის შემაჯამებელი ფორმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა.
ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება). **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმებით. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. უცხო ენის კათედრის ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე ესთეტიკი კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს უკუკავშირს განმავითარებელი შეფასებით აწვდიან, ასევე უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების მიწოდებას. წარმოდგენილი კურუკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები,სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო
პედაგოგებთან გასაუბრების დროს გაირკვა რომ, სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის მუსიკალური ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები, დისკუსიები სხვადასხვა თემაზე , რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე . ამ შემთხვევაში სკოლა **აკმაყოფილებს კრიტერიუმს.**
ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. კერძოდ: საახალწლო ღონისძიებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები, მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, სკოლის ეზოს გამწვანების აქცია, ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება და სხვ. სკოლა გეგმავს მომავალში ამ მიმართულებით უფრო გააქტიურებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება კათედრებზე თანამშრომლობის დოკუმენტებით, კურიკულუმში პრობლემაზე ორიენტირებული საგნობრივი დავალებებით, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პოზიტიური გარემოს შექმნას საწავლო პროცესში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება პოზიტიურ გარემოში ხდება, სკოლას აქვს ისგ განვითარების გეგმა. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორის მოთხოვნებთან;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, არსებული კლუბის საქმიანობა ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება.ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემატიკაზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული.სკოლა მომავალში გეგმავს, რომ მოხდეს მოსწავლეების პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინკლუზიური გარემო.მოსწავლეებს აქვთ საკოლო საზოგადოების მხარდაჭერა.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები **და მათი შეფასების რუბრიკები ადასტურებს იმას ,რომ პედაგოგები ცდილობენ** ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას.მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

ესთეტიკური აღზრდა - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, სკოლა მომავალში გეგმავს, რომ მოხდეს მოსწავლეების პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები და სასწავლო პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის საჭიროება. იგეგმება მეტი ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მიექცეს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ჩართულობასა და საჭიროებებს - ვკითხულობთ ავტორიზაციის განაცხადში. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები - არაფერი

სახელმწიფო ენა - სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებული უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ასევე ცდილობენ, უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. სკოლა მომავალში გეგმავსდიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის განხორციელებას და სასწავლო პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის საჭიროება. დაიგეგმება პროექტები როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მიმართულებით, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. სკოლის სსსმ მოსწავლებისთვის შექმნილია იკლუზიური გარემო, აქვთ რესურსოთახი და წვდომა სხვადასხვა რესურსზე, რომელთა გამოყენება უადვილებს პედაგოგებს სასურველი შედეგების მიღწევას. მოსწავლეებს აქვთ ასევე საკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლის შენობაში. სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშოები, როგორც სკოლის შენობაში, ასევე სპორტდარბაზში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - .სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევა მოსწავლის ინტერესების შესაბამისად. და დაგეგმილი დავალებების მიზანია საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა, აგრეთვე მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება . იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა გეგმავს დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, მატემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი სასწავლო რესურსები. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებულ პროექტებში/სასკოლო ღონისძიებებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი. თუმცა, სოფლის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მშობელთა ჩართულობა შედარებით დაბალია. კოლეგებს შორის ჰარმონიული განწყობაა; ისინი ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში, ესწრებიან გაკვეთილებზე, იღებენ უკუკავშირს, მეგობრულ რჩევასა და კრიტიკას ერთმანეთისგან. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებითი საფეხურზე უცხო ენის , როგორც **ინგლისური ენის** ასვე **რუსული ენის** მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

ესთეტიკური აღზრდა - დოკუმენტურად დასაბუთებული თანამშრომლობა არ მტკიცდება თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილის დაგეგმვაში და შემდგომ კათედრაზე განიხილავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. შესაბამისად აკ**მაყოფილებს** ინდიკატორს.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლაში პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს კოლეგებს შორის თანამშრომლობა, თითოეული მასწავლებლის ჩართულობა. ისინი ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში, ესწრებიან გაკვეთილებზე, იღებენ უკუკავშირს, მეგობრულ რჩევას და კრიტიკას კოლეგებისგან, კათედრები ურთიერთთანამშრომლობენ, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. სკოლა ჩართულია IUNISEF-ის მიერ ორგანიზებულ პროექტში დაწყებით კლასებში, რომელიც ლიდერ მასწავლებლებთან ერთად მუშაობდა წერისა და კითხვის უნარების განვითარებაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. კათედრაზე ჩატარდა ურთიერთდასწრების გაკვეთილები, გაკეთდა უკუკავშირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს მათემატიკის, ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაერთიანებული კათედრა, ახალი კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები კათედრაზე ტექნიკური მიმართულების ყველა პედაგოგის აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა. კათედრას დაგეგმილი აქვს 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი აქტივობები(კათედრის გადაწყვეტილება). პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ცხადია, რომ გარკვეულწილად უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა მეტი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სამომავლო ერთწლიან გეგმაში სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხოციელებას, რომელებიც ორიენტირებული იქნება ჩართულობაზე, პატივისცემაზე: შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები,მუსიკალური ღონისზიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა,სკოლის ეზოს გამწვანების აქცია და სხვა..

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები -პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს.

უცხოური ენები - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა,ნდობა,აღიარება,მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. დაწყებითი საფეხურის, **ინგლისური** და **რუსული ენის** კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში პოზიტიური გარემო უზრონველყოფილია. სსმ ბავშვზე ორიენტირებული აქტივობები, მხარდაჭერა, წახალისება მიუთითებს პოზიტიურ გარემოს არსებობას კლასში და შესაბამისად **აკმაყოფილებს** ინდიკატორს.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - დირექცია ახორციელებს მასწავლებელთა მხარდაჭერას, თუმცა მეტი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად მომავალი სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხოციელებას, რომელებიც ორიენტირებული იქნება ჩართულობაზე, პატივისცემაზე, ზრუნვასა და მხადაჭერაზე. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - .სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დადასტურდა გასაუბრების პროცესში. კერძოდ კათედრაზე იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება სასკოლო საზოგადოებასთან და დაემყარება პოზიტიურ უკუკავშირს. კათედრა აპირებს დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებაში მიკუთვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში . პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- სასკოლო პროექტები
- ღონისძიებების დროს შექმნილი/გამოყენებული რესურსები/თვალსაჩინოებები

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- დაწყებითი კლასების უცხო ენების კურიკულუმები
- შეხვედრის ოქმი

ესთეტიკური აღზრდა

- კურიკულუმების დანართები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

მათემატიკა

- ისგ სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- კათედრის შემაჯამებელი ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ამ ეტაპზე სკოლაში არ ხორციელდება კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც კვლავ საჭიროებს დახვეწას. საუბრისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

აღნიშნეს, რომ მეთოდოლოგიური ჩარჩო ცალსახად გამოკვეთს კურიკულუმის მიზნებსა და ამოცანებს, განსაზღვრავს ინდიკატორებს; მოხდება იმ მონაცემთა შეგროვება, რაც გაზომავს თითოეულ ინდიკატორს. განისაზღვრება პასუხსიმგებელი პირები თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაზე. ამის შემდეგ მოხდება მონაცემების ანალიზი და შეფასება. აღნიშნეს, რომ შედეგები გამოყენებული იქნებაკურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრით.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და დაგეგმილი აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გათვალისწინებულია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია უცხოე ენის კათედრის **ინგლისური ენის** და **რუსული ენის** მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, მათ ასევე აღნიშნეს, რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. ამის შედეგად გაკეთდება ანალიზი და შეფასება რის შედეგადაც მოხდება კურუკულუმების განახლება.

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შეფასება წარიმართება 3 მიმართულებით:

- ✓ მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- ✓ სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- ✓ სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტს.

ტექნოლოგიები -სკოლას მხოლოდ მომავალი სასწავლო წლისათვის აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, შესაბამისად სკოლა გეგმავს 2023-2024 წელს განახორციელოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა - კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი სკოლაში არ ხორციელდებოდა. **ამ ეტაპზე** სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიადა გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ის ძალიან ზოგადია და მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი არ ჩანს. თუმცა მათემატიკის კათედრის გადაწყვეტილებაში და კათედრის ოქმში ჩანს ინსტრუმენტები, რომლებითაც მოხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება(მაგ. დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასება სემესტრში ერთხელ). ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას დადგინდა, რომ არსებული მონიტორინგის ფორმა და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, ანალიტიკური რუბრიკები, რომლებიც გამოკრულია კლასებში თვალსაჩინოდ. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას აღქმული აქვს ერთ-ერთ საჭიროებად მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მნიშვნელობა, სასურველია, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებლებმა უნდა შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - ,კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში“ იკვეთება,რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება შემდეგი მიართულებებით : 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; -2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); -3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) გასაუბრებაზე მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა , რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, მოსწავლეების ინტერესებს და ცვლილებები რომლებიც შევა საგნობრივ კურიკულუმებში უპირობოდ მიმართული იქნება სასკლო საზოგადოების წევრების, მოსწავლეების მხარდაჭერსა და დახმარებაზე. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრას); ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. კათედრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

ეს ყველაფერი მიუთითებს რომ, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა პრობლემების იდენტიფიცირებაში, წარმატების გაზომვასა და შეცდომების გაანალიზებაში. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლის სწავლის პროცესის შეფასებას, პრობლემური მიმართულებების გამოკვეთას, შესაბამისი უკუკავშირის მიცემას. მიღწევების გათვალისწინებით სწავლის პროცესის დაგეგმვას. ამის საფუძველზე გაანალიზდება სასკოლო საზოგადოების მიღწევები და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი გეგმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - როგორც გასაუბრების დაკატედრის გადაწყვეტილების შედეგად გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება, რომლისთვისაც სკოლის დონეზე მზადდება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. საიაგნოსტიკო შეფასებები ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი მიზანია შეფასების სისტემის სრულყოფა და სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესში ინტერვენციების დასაგეგმად. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების პროცედურები. ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** გასაუბრებისას ცხადი იყო, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დაისახება გეგმა პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად , მაგ: მათი თქმით, ეს შეიძლება იყოს კვლევითი კითხვარი, რომელიც შეფასების პროცესს პასუხობს. სკოლას აქვს მზაობა, ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა, დასახოს სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.

უცხოური ენები - მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში აისახება კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს ამოქმედდება შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავდება სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. შესაბამისად ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დასახავს პრობლემის დაძლევის გზებს. განახორციელებს კვლევას კითხვარების გამოყენებით. კვლევის შედეგებს გამოიყენებს პროცესის დაგეგმვისას, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, დასახავს სამოქმედო გეგმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თვითრეფლექსიაზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი დიაგნოსტიკური შეფასებები და ზოგადად, შეფასებების ანალიზები გახდება პრობლემის იდენტიფიცირებისა და სასწავლო პროცესის კორექტირება/დაზუსტების საფუძველი. ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის შაბლონი
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა
- სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- ინგლისური ენის 1-6 კლასის კურიკულუმები
- რუსული ენის 5-6 კლასის კურიკულუმები
- ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა

- მათემატიკის კათედრის შემაჯამებელი ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ამ ეტაპზე არ არსებობს ინსტრუმენტები, რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. თუმცა სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყობს მათ გამოცდილებას და მზაობას იმისთვის, რომ შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს. კათედრა ამ ეტაპისთვის იყენებს სოლო ტაქსონომიის მიხედვით შეფასების რუბრიკებს. სკოლამ აირჩია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ტიპი, რომელსაც წელიწადში ორჯერ, სემესტრების ბოლოს ჩაატარებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენოს მრავალფეროვანი წყაროები. მაგ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ გამოიყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შესაფასებლად სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც გულისხმობს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესის დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

უცხოური ენები - სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მიმართულებები,სტანდრატულად ეს არის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება. გარდა ამისა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ დაწყებითი საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (რუბრიკები, სოლო ტაქსონომია სხვადასხვა საგანში) იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის. შესაბამისად **აკმაყოფილებს** ინდიკატორს.

ტექნოლოგიები - სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული არის თუ როგორ განხორციელდება მომავალ სასწავლო წელს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ სკოლა გეგმავს კვლევა და შეფასება წარმართოს სამი მიმართულებით, ესენია: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია).

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მიღწევების შესაბამისობას სტანდრტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც იძლევა ინფორმაციას სკოლის, კლასის, მოსწავლის, მასწავლებლის წინსვლის, პრობლემის შესახებ. შეფასების საშუალებით ხორციელდება მოსწავლის საქმიანობის დიფერენცირებული ანალიზი, რომლის საშუალებითაც დგინდება ძლიერი და სუსტი მხარეები და უკუკავშირით ეხმარება მოსწავლეს წინსვლაში. სკოლამ აირჩია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ტიპი, რომელსაც წელიწადში ორჯერ, სემესტრების ბოლოს, ჩაატარებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა -შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, მასწავლებელთა რეფლექსიები და მშობელთა გამოკითხვები. იკვეთება **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში, ჯგუფურ მუშაობაში თანამშრომლობას. საკლასო ოთახებში თვალსაჩინოდ ჩანს რუბრიკები: პრეზენტირების, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის და ა.შ. როგორ გასაუბრებისას აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ისეთ შეფასების სისტემას , რომელიც დაეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლის შეფასება მოხდება სხვადასხვა ფაქტორებზე დაკვირვებით.არა მარტო მოსწავლის აკადემიური მიღწევები შეფასდება, არამედ რა ღირებულებები აქვს მოსწავლეს, რა მისწრაფებები, სურვილები და შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით დაიგეგმება ისეთი აქტივობები, რაც მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს: მაგ: კლუბური მუშაობა, პროექტების განხორციელება და სხვადასვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა , კომპლექსური დავალებების განხორციელება. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ კვლევას და შეფასებას წარმართავს სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ მე-6 კლასის ინგლისური ენის კომპლექსური დავალების მატრიცაში თემაზე ,,Famous people from the past" ჩანს პედაგოგისა და კათედრის მცდელობა ,რომ მოხდეს მოსწავლის შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინონ სხვადასხვა ფაქტორები. აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას,არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ესთეტიკის კათედრაზე შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს შეიმუშაოს ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება დიფერენცირებულ მიდგომაზე. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები,შესაძლებლობები. ამ შემთხვევაში ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - მათემატიკისა და ი.ს.ტ-ის კათედრაზე მოსწავლეების პროგრესისა და მათი საჭიროების დასადგენად სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ სკოლას აქვს პრაქტიკა შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენების, ასევე მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. (საგნობრივი მასალები1, მათემატიკა,ი.ს.ტ-ი) ასევე მომავალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასებისათვის ერთ-ერთ მიმართულებად გამოიყენებს პედაგოგიური პრაქტიკის კლევას, რომელიც შეისწავლის რამდენად ეფექტურია შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით. (კურიკულუმის შემუსავების მეთოდოლოგია)

სახელმწიფო ენა - მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს შეფასების სისტემას, რომელიც დაეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლე შეფასდება სხვადასხვა ფაქტორზე დაკვირვებით. მრავალი კონტექსტის გათვალისწინება მისცემს მასწავლებელს დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლის წარმატებას შეუწყობს ხელს, ჩართოს მოსწავლე კლუბურ მუშაობაში, პროექტების განხორციელებასა და და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო თემის გავლისას ყოველთვის ცდილობენ გაითვალისწინონ არსებული მოცემულობა, შეისწავლონ მოსწავლეებისხვადასხვა კონტექსტში, მოიპოვონ მრავალფეროვანი ინფორმაცია. კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გადაწყვეტილობის დოკუმენტში დაგეგმილი ახალი სასწავლო წლისათვის კათედრაზე და მშობლებთან შეხვედრების გააქტიურება, გასაუბრებისას აღინიშნა დამრიგებლის როლი. გამოჩნდა, რომ პედაგოგებს ესმით კონტექსტის, როგორც შედეგის განმაპირობებელი ფაქტორის მნიშვნელობა. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შეფასებისას ამ ეტაპზე სკოლა არ სარგებლობს** მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; ამ დროისთვის სკოლაში მოსწავლის საგაკვეთილო აქტივობა ფასდება საკლასო, საშინაო დავალებების ქულების მინიჭების (5-6 კლ) საშუალებით. აგრეთვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოახდინოს მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოება და შეფასება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მოსწავლეები თავად ჩაერთვებიან მომზადების, შეგროვების და შეფასების პროცესში, რაც მათ სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში მონაცემთა შეგროვებისთვის აღნიშნული აქვს, რომ გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

უცხოური ენები - გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ შეფასებისას დაწყებითი საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს , თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი. შესაბამისად **აკმაყოფილებს** ინდიკატორს.

ტექნოლოგიები - როგორც მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებისათვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე მოდელი, რომელიც გულისხმობს ერთ კონკრეტულ რესურსზე შექმნილი ტესტური დავალების შესრულება. აღნიშნული მოდელის ანგარიში ფორმაში მოცემული კრიტერიუმები იძლევა გაანალიზების საშუალებას, თუ რამდენად ღრმად გაიაზრა მოსწავლემ ტესტში მოცემული ქვესაკითხები. (ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა) ასევე მომავალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე გამოიყენოს მოსწავლეთა პორტფელიოები, რომელიც პედაგოგს მისცემს საშუალებას თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. (თვითშეფასების ფორმა, 2.3.2.3)

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოებისა და შეფასების დანერგვას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მოსწავლეები თავად ჩაერთვებიან მომზადების, შეგროვების და შეფასების პროცესში, რაც მათ სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - როგორც კათედრის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე. გასაუბრებისას გაირკვა, რომ კატედრაზე მიდის სეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობა, დაგეგმილია სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობებით მისაღწევი სედეგების შემოწმება. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული ფორმს, კონკრეტულად რას და რა საშუალებებით იკვლევს დანერგვის პროცესში. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლის შეფასება მოხდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის პიროვნულ-სოციალური განვითარება, რა სირთულეები აქვს მოსწავლეს სწავლის დროს, როგორია სასწავლო გარემო, როგორ არის მშობელი ჩართული მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაში, როგორია მოსწავლის აქტივობის ხარისხი, როგორია მოსწავლის ინტერესის სფერო.
ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა მოტივაციას, ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - ..დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი ინგლისური ენის და რუსული ენის საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა - არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება , რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. (ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ.). სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილებაც. თუმცა, ესთეტიკური საგნების კათედრა აღნიშნავს, რომ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებიდან მომდევნო სასწავლო წელს პრაქტიკაში დანერგავენ პირველ ინსტრუმენტს. სკოლა **აკმაყოფილებს** კრიტერიუმს.
სახელმწიფო ენა - მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა მოსწავლეს შეაფასებს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებიცაა: მოსწავლის პიროვნულ-სოციალური განვითარება, გაკვეთილისთვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა, სწავლის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოვლენილი სირთულეები, სასწავლო გარემო, მშობლის ჩართულობა მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაში, მოსწავლის აქტივობის ხარისხი, ინტერესის სფერო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - როგორც გასაუბრების შედეგად დასტურდება, ამ ეტაპზე კათედრაზე მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე. იგეგმება კლასისდამრიგებლებთან, მშობლებთან, სხვა კათედრებთან ტანამშრომლობის გაძლიერება; პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმი
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა (5-6 კლ)

საზოგადოებრივი მეცნირებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- დაწყებითი კლასების ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმები

ტექნოლოგიები

- სახელმწიფო ენა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები

მათემატიკა

- შეფასების ინსტრუმენტები(დამატებით წარმოდგენილი მასალა)
- კათედრის შემაჯამებელი ფორმა(დანართი #2)

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა მომავალი სასწავლო წლის წლის დასრულებამდე შეიმუშავებს იმ აუცილებელ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რისი საშუალებითაც დადგინდება , როგორ მოხდა კურიკულუმის შესრულება, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნო სასწავლო წლისთვის, მიიღებს უკუკავშირს ყველა ჩართული რგოლისგან, რაც მისცემს სკოლას იმის საშუალებას, რომ მომავალში სრულად გაითვალისწინოს წინა წლის სუსტი მხარეები, დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მექანიზმები. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის შეხვედრებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორ მიდის საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი და როგორ მოახდენენ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რათა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. მნიშვნელოვანია, რომ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

უცხოური ენები - ,,კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესები. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან . მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: - რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; - რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად.ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ესთეტიკური აღზრდა - შესრულებული კურიკულუმის შეფასების მიზნით სკოლა სამომავლოდ აპირებს სამოქმედო გეგმაში გაწეროს ინდიკატორები რისი საშუალებითაც დადგინდება, როგორ მოხდა კურიკულუმის შესრულება, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნ სასწავლო წლისთვის, მიიღებს უკუკავშირს ყველა ჩართული სტრუქტურული ერთეულისგან, რაც მისცემს სკოლას იმის საშუალებას, რომ მომავალში სრულად გაითვალისწინოს წინა წლის სუსტი მხარეები, დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მექანიზმები. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება.
ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები - სკოლაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნაზე, სადაც ასახული იქნება წინარე გამოცდილება. (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია)

სახელმწიფო ენა - ავტორიზაციის მომენტამდე სკოლა ძირითადად კათედრის წევრებთან, სამეურვეო საბჭოსთან გასაუბრებით ადგენდა კურიკულუმის შესრულების ხარისხს. სკოლას არ ჰქონდა გადასინჯვისა და რევიზიისთვის წინასწარ შემუშავებული მექანიზმები. სკოლა მომავალი სასწავლო წლის წლის დაწყებამდე გეგმავს იმ აუცილებელი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისა და მექანიზმების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, როგორ შესრულდა კურიკულუმი, რისი გათვალისწინებაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საჭირო მომდევნო სასწავლო წლისთვის. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - კათედრის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის გადაწყვეტილების თანახმად, იგეგმება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ როგორც სადიაგნოსტიკო შეფასების, ასევე წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგის შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის რევიზიისას და რომ მსგავსი გამოცდილება მათ უკვე აქვთ წარმოდგენილი კურიკულუმების პროექტების შემუშავებისას. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის წევრებმა ავტორიზაციის განაცხადის შევსების ეტაპზე მეტ-ნაკლებად იმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა , ჯერ კვლავ არ აქვს მას სრულყოფილი სახე. გადამუშავებული ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას , თუმცა ვერ ეყრდნობა გასული სასწავლო წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ვინაიდან არ ჩატარებულა იგი მიზნობრივად. თუმცა, სკოლა იცნობს მონიტორინგის და შეაფასების ინსტრუმენტებს და შესაბამისად მასზე დაყრდნობით შეუძლია ესგ-ის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში ნაწილობრივ არის ასახული წინარე გამოცდილება და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. სკოლა მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე გადაამუშაოს საგნობრივი კურიკულუმები.

უცხოური ენები - გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ მ უშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, მათი შედეგები.

ესთეტიკური აღზრდა - დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში არ შემუშავებულა წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი(შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი), თუმცა, სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ისეთ სასკოლო კურიკულუმის შექმნას ,რომლის შემუშავებაში უშუალოდ ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. ახალი კურიკულუმი დაგვანახებს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, როგორ ასახავს ამ საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმი რამდენადაა აგებულია ესგ-ს მიზნებზე, გლობალურ ფუნქციურ უნარზე, სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. ითვალისწინებს თუ არა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. ამის შესამოწმებლად სკოლა გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას დეტალურად აქვს გაწერილი თუ როგორ აისახება წინარე გამოცდილება დაგეგმვის პროცესში. სკოლა გეგმავს გაანალიზოს წინა წლის პროცესები შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა და კათედრების მუშაობა. მიღებული შედეგების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კი შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი რომელიც გათვალისწინებული იქნება საგნობრივ კურიკულუმებში. აღნიშნული რეკომენდაციები ასევე გათვალისწინებული იქნება ტექნოლოგიების საგნობრი კურიკულუმშიც. (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია)

სახელმწიფო ენა - სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან შექმნის ისეთ სასკოლო კურიკულუმს, რომლის შემუშავებაში უშუალოდ ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. ახალი კურიკულუმი გამოკვეთს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, როგორ ასახავს ამ საზოგადოების ინტერესებს, რამდენად მიემართება გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, ითვალისწინებს თუ არა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. ამის შესამოწმებლად სკოლა გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმების პროექტების შემუშავებისას ეყრდნობოდნენ წინა წლის გამოცდილებას, როცა ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლამ შეიმუსავა 2021-2022 სასწავლო წლის კურიკულუმები. კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შედეგების შედეგების ახალ კურიკულუმში ასახვა დაგეგმილია კათედრის გადაწყვეტილებაში. მნიშვნელოვანია 2023 წლის კათედრის გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმები. მათემატიკის კათედრაზე პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- გადამუშავებული კურიკულუმი;
- წლიური სამოქმედო გეგმა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები

მათემატიკა

- კათედრის გადაწყვეტილება 2023 სასწავლო წლისათვის(დანართი #2)
- დამატები წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ინგლისურ ენასა და რუსულ ენაში შეესაბამება ეროვნული სასწალო გეგმის მიზნებს და მოიცავს სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირეულ პრინციპებს. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს. ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმა სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, სადაც აისახა დიდწილად სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები.

სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; დამტკიცებული აქვს სათანადო ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს: ა) კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს: ბ)პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; გ)კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). სკოლის ადმინისტრაციას/პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ შემდეგი: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ჩანს, რომ 2023-2024 სასწ.წლის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების-ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგიის კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული იქნება ფუნქციები . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში . გააზრებულად მსჯელობენ, რომ კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ა) შუალედური სასწავლო მიზნების განხილვა; ბ) სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის განმარტებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალაში ჩანს, რომ გასულ წელს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი არ განხორციელებულა, თუმცა, განაცხადის მომენტში შეიქმნა 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის სამუშაო ვერსია, სადაც კარგად ჩანს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედეგებთან ერთად განსაზღვრული სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო, კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში). არსებული ინფრასტრუქტურით სკოლას სრულად შეუძლია მხარი დაუჭიროს შექმნილი კურიკულუმების განხორციელებას. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ეტაპობრივად ახორციელებდნენ კომპლექსური დავალებების აქტივობებს. მზად არიან მომდევნო სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე მეტად იმუშაონ კომპლექსური დავალებებით, რაც განსაზღვრავს შუალედურ და მათზე დაყრდნობით გრძელვადიან მიზანს.

სახელმწიფო ენის კათედრაც საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს შეიმუშავებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მისი პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნი კათედრის წევრები, რომლებიც გასული სასწავლო წლის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და სასკოლო თემის ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოს, ასევე, მშობლები, რომლებსაც ეგზავნებათ ბარათები და მოსწავლეები, რომელთა ინტერესები დგინდება გამოკითხვის საშუალებით.

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმის აგების მეთოდოლოგიიდან ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის პროგრამა სპორტში შედგენილია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც საბოლოო დამტკიცებამდე კიდევ დაიხვეწება და სტანდარტის რეალიზების გზებს განსაზღვრავს. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმების სამუშაო ვერსიები დაგეგმილია სასწავლო თემების საშუალებით, რომლის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. ხოლო თემები, ქვეცნებები, საკითხები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სამიზნე ცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, ქვეცნებები, საკითხები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებები, რომლებთა განმარტებები განსაზღვრულია კურიკულუმის აგების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ჩანს , რომ კურიკულუმში აისახება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლებმა შექმნეს 2023-2024 სასწ. წლის კურიკულუმის სამუშაო ვერსია. მისი საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე მოხდება მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის, სამეურვეო საბჭოსთვის, სკოლის თვითმმართველობისთვის, პედსაბჭოსთვის, ადგილობრივი თემისთვის წარდგენა-გაცნობა. სკოლის დირექტორი შექმნის ჯგუფს, რომელიც იმუშავებს ამ მიმართულებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმს განიხილავენ კათედრაზე, განსახორციელებელი კომპლექსური დავალების ადაპტირებაზე სსსმ მოსწავლისთვის და მისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში ჩართულია სპეცმასწავლებელი

ინდიკატორი 2.1.1.2- დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა კურიკულუმებს განავითარებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა . როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა , სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგთა ჩართულობით უცხოური ენის კათედრაზე გასული წლის შედეგების ვერბალური ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დაგეგმეს მომავალი წლის კურიკულუმები. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების შედეგად, მათი წარმატებების თუ პრობლემების გათვალისწინებით ქმნიან ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. ერთად გეგმავენ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დაფიქსირებული პრობლემური საკითხების გამოსწორებას. ასევე საბაზო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური სახის დავალებები,სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები. ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ცდილობენ მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებების მორგების მიზნით დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას. **ინდიკატორი 2.1.1.2- დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - განაცხადში ვკითხულობთ რომ, სკოლა აპირებს ითანამშრომლოს და გაითვალისწინოს ყველა ჩართული მხარის ინტერესები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე აპირებს: მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის, სამეურვეო საბჭოსთვის , სკოლის თვითმმართველობისთვის , პედსაბჭოსთვის ,ადგილობრივი თემისთვის წარდგენა-გაცნობას. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სკოლა გეგმავს, ავტორიზაციის მომენტისათვის საბაზო საფეხურის კათედრაზე შექმნილი კურიკულუმის სამუშაო ვერსია გააცნოს სასკოლო საზოგადოებას: მოსწავლეებს, მოსწავლეებს, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის თვითმმართველობას, პედსაბჭოს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ერთვის ბარათები, რომლებსაც სკოლა უგზავნის მშობელს, მშობელმა იცის, რას აკეთებს მისი შვილი, რა რესურსები სჭირდება დავალების განსახორიელებლად. განხილვის შემდეგ სკოლა მიიღებს და გაითვალისწინებს ყველა ჩართული მხარის ინტერესებს და დაამტკიცებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება საგნობრივი გეგმების წარდგენა მოსწავლეების, მშობლების, სკოლის თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოსათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხდება აზრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეჯერება/შეთანხმება. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის, სკოლის მისიასა და ხედვასთან შესაბამისობის დადგენის პროცედურები. ამ ეტაპზე ინდიკატორი 2.1.1.2 **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე კათედრებზე ერთობლივი მუშაობით მოხდა სასკოლო კურიკულუმების სამუშაო ვერსიის შემუშავება. თემების შერჩევა მოხდა შეთანხმებით, სადაც გათვალისწინებული იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესები, ასევე გაიწერა სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალების პირობა/იდეა, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება და ჩასწორდება , რომელშიც მეტად იქნება გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - როგორც აღნიშნეს, ზაფხულის პერიოდში სკოლა შექმნის საფეხურების მიხედვით სამუშაო ჯგუფებს, სადაც შესული იქნებიან მასწავლებლები , მშობლები და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებლები ,ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.გააცნობენ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. მიიღებენ უკუკავშირს,რისი გათვალისწინებითაც მოხდება სამუშაო ვერსიის მოდიფიცირება და დამტკიცება.

ინდიკატორი 2.1.1.3- დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები და განაწილებული აქვს ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისასი იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - თვითშეფასების კითხვარში არის ჩანაწერი, რომ კურიკულუმის შემუშავებაში მხოლოდ მასწავლებლები და დირექცია იყო ჩართული. ზაფხულის პერიოდში აპირებენ რომ შექმნან სამუშაო ჯგუფები საფეხურების მიხედვით სადაც ჩართული იქნებიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. შეიმუშავებენ კურიკულუმის საბოლოო ვერსიას, მიიღებენ უკუკავშირს ყველა მხარისაგან რისი გათვალისწინებითაც მოხდება სამუშაო ვერსიის მოდიფიცირება და დამტკიცება. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს. კათედრა ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა - 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის არსებული ვერსია შეიმუშავეს მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ. სკოლამ გეგმავს, ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება. ამისათვის ზაფხულის პერიოდში სკოლა შექმნის სამუშაო ჯგუფებს მასწავლებლების, მშობლებისა და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით, რომლებსაც გააცნობენ კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. ყველა მხარის უკუკავშირის გაითვალისწინებით მოდიფიცირდება და დამტკიცდება საბოლოო ვერსია. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით დაიგეგმება კლუბების მუშაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის პროექტის შემუშავებაში ამ ეტაპისთვის მონაწილეობდნენ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგები. კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება საგნობრივი გეგმების წარდგენა მოსწავლეების, მშობლების, სკოლის თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოსათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხდება აზრების შეჯერება/შეთანხმება. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები. ამ ეტაპზე ინდიკატორი 2.1.1.2 **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთა გასაუბრების შედეგებიდან ვგებულობთ, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრალური მუშაობის შედეგად მოხდა საგნობრივი სასკოლო კურიკულუმების სამუშაო ვერსიის შემუშავება, საფეხურებისა და საგნების მიხედვით, გაიწერა შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების ბარათები, რომელიც საბოლოოდ დახვეწის შემდეგ დაიგზავნება მშობლებთან შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადობის წევრები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სოციუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსახეხებელია სოციალური/ღრუბლოვანი სივრცის გამოყენება კურიკულუმის გაზიარებისთვის, ხშირია ინტერნეტის წვდომასთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე მისი გამოყენების უნარებიც კითხვის ნისნის ქვეშ არის მშობელთა მხრიდან. ამის გამო კურიკულუმის საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე, მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის , სამეურვეო საბჭოსთვის, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გეგმავს საერთო კრების ჩატარებას კურიკულუმის დეტალური განხილვისთვის, დამრიგებლის პროგრამის, განსახორციელებელი პროექტების , კლუბების,წრეების სამუშაო გეგმების გაცნობა/გაზიარებისთვის. შესაბამისად უკუკავშირის მიღების საფუძველზე მოხდება მათი მოდიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.1.1.4- დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები დიდწილად საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. ამასვე ადასტურებს პედაგოგთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გასაუბრება, კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ უცხო ენის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. გარდა ამისა დოკუმენტაციაში ფიქსირდება ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი,სადაც სწორედ კურიკულუმის გაზიარებასა და შედეგებზეა საუბარი. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ რიგ შემთხვევებში ახორციელებდნენ საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების აქტივობებს და მშობელთა ჩართულობისათვის სახლში ატანდნენ მოსწავლეებს. ასე აცნობდნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ოჯახის წევრებს. აქვე გამოთქვეს მზაობა რომ, სამომავლოდ მოაწყობენ შეხვედრებს, ღია გაკვეთილებს და უფრო გასაგებს გახდიან მშობელთა ბარათებში აღბეჭდილ მასალას. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

სახელმწიფო ენა - სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის დეტალური განხილვის შემდგომ სკოლა დაამტკიცებს საბოლოო ვერსიას (საგნობრივი პროგრამები, დამრიგებლის პროგრამის, განსახორციელებელი პროექტების, კლუბების, წრეების სამუშაო გეგმები), რომელსაც გაუზიარებს მთლიანად სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტები, რომლებშიც ჩადებულია კურიკულუმის შესახებ კითხვებიც, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოკვლეულ იქნას რამდენად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმები . გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაგეგმილია მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა, რომლებშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სავალდებულო თემების,დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინდიკატორი 2.1.1.4 **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --წარმოდგენილი კურიკულუმები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს შემუშავებული კურიკულუმების მოსწავლეთა, მშობელთა ინფორმირებულობას. მასწავლებელთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება მოსწავლეებთან შეხვედრა, კიდევ ერთხელ გადაიხედება კურიკულუმების ჩარჩო და შემდეგ მოხდება მასში თემების მიზნობრივი შერჩევა. ინდიკატორი **2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; (პროექტი)
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუშები
- კათედრის/პედსაბჭოს ოქმები

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

უცხოური ენები

- ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ოქმი.
- ინგლისური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ოქმი.

ესთეტიკური აღზრდა

- ავტორიზაციის განაცხადი
- წარმოდგენილი კურიკულუმი

მათემატიკა

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მასწავლებელთა და მშობელთა ფოკუსჯგუფების კითხვარები;

სპორტი - ინდიკატორი შესაბამისობაშია

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში
- კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - 2023-2024 სასწ. წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ ის გარკვეულწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული 1ან 2 კომპლექსური დავალება და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება დამატებითი ელექტრონული რესურსები) შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ამ ეტაპზე სრული სახე არ აქვს კურიკულუმის ჩარჩოებს, არ ჩანს, რომ იფარება სრულად ყველა თემაში სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები ყველა კლასის ჩარჩოში (სამივე საგნის მიხ.) არ იკვეთება , თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე შეიქმნება სრულყოფილი ვერსიები. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები მე-7, მე-8, მე-9 კლასებში. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება დიდწილად ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მაგ. ისტორიის მე-7 კლასის კურიკულუმში პირველი სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების, გრძელვადიანი მიზნების დამუშავება კომპლექსური დავალებებით. ასევე, მე-7 კლასის მოქალაქეობის საგანში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაგეგმილია ერთი კომპლექსური დავალების განხორციელება. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - საბაზო საფეხურის უცხო ენების -ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. როგორც ინგლისური ენის კათედრის ერთ-ერთი შეხვედრის ოქმშია აღწერილი ,სკოლაში ჯერ ოფიციალურად არ განხორციელებულა კომპლექსური შემაჯამებელი დავალება, თუმცა პედაგოგები აქტიურად მუშაობენ იმაზე ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან ოფიციალურად განახორციელონ კომპლექსური შემაჯამბელი დავალებები. გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, განხორციელებული აქტივობები, არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარებათ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება.აქედან გამომდინარე ჩანს სკოლის მზაობა და სურვილი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის, კონკრეტულად მუსიკის საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმში, გამოკვეთილია საკვანძო სტრუტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. მუსიკის კურიკულუმში კომპლექსური დავალებები განხილულია როგორც საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, გეგმავენ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით კათედრაზე შეიმუშაონ კურიკულუმები. ხელოვნების კურიკულუმებში გვხვდება უზუსტობები. პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ, აპირებს სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრების დახმარებით შეიმუშაოს საბაზო საფეხურის კურიკულუმი სადაც გამოკვეთილი იქნება გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმების(მე-7 და მე-9 კლასი) მიხედვით ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. საგნობრივი კურიკულუმი დამუშავების პროცესშია, თუმცა კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, სრულად დაგეგმილია რამდენიმე თემა, მეშვიდე კლასში დაგეგმილია ერთი კომპლექსური დავალება.წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა საბაზო საფეხურზე და ინდიკატორი 2.1.2.1 **შეესაბამება** მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სპორტი -წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისობაშია. ხოლო გაწერილი თემები, ქვეცნებები, საკითხები მოსწავლის ცოდნის შეძენაზეა ორიენტირებული და მისი განვითარების გზას წარმოადგენს. თემატური ბლოკები ისე შერჩეული, რომ მოსწავლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გააზრებასა და გათვითცნობიერებაზეა ორიენტირებული და მოსწავლის სწავლა სწავლებას განაპირობებს. შუალედური მიზნები მოსწავლეს საშუალებას მიცემს შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, დასახული მიზნის მიღწევა, წარმატების თუ წარუმატებლობის განსაზღვრა. **რჩევა საბაზო საფეხურზე - მე-8, მე- 9 კლასებში თემის მძლეოსნობა, ფეხბურთი კალათბურთი სამიზნე ცნების ქვეცნებებში ელემენტები შეიცვალოს ტექნიკით. ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება** მოთხოვნებს.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები გარკვეულწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. თუმცა, ამ ეტაპზე სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები ჩარჩოში, არც კომპლექსური დავალებების იდეებია განსაზღვრული სრულად, თუმცა პედაგოგთა სამუშაო ჯგუფები ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას. მასწავლებლების მზაობა ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებს დახვეწას. პედაგოგებს აქვთ მიმღებლობა იმ სიახლეებისა,რასაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მეტწილად დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები, ნაწილობრივ მოაზრებულია თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა და დაგეგმილია საკითხების სწავლება, ცნებებზე მუშაობა კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ა.შ. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი ინგლისური და რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ სასწავლო პროცესი გახდეს ორიენტირებული მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე,როგორიცაა : კრიტიკული აზროვნება, შემოქმედობითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნება, რესურსები , განხორციელებული კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნებისაკენ და იძლევა საშუალებას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში.

ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება უზუსტობები, თუმცა პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა რომ გეგმავს სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით კათედრაზე კოლეგებთან ერთად შეიმუშაოს კურიკულუმის საბოლოო ვარიანტი, შეასრულოს კომპლექსური დავალებები.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესთეტიკის კათედრა გამოთქვამს მზაობას კურიკულუმის სრულყოფისათვის სადაც წარმოდგენილი იქნება კომპლექსური დავალებები და დამუშავდება ყველა ის უნარი (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნისკენ არის მიმართული. შესაბამისად ეს ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურის საგნის კურიკულიუმი მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. შემუშავებული კურიკულიუმი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაქმნას მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე. მოსწავლეს ეძლევა იმის საშუალება, რომ ის გადაიტანოს და გამოიყენოს ცხოვრებაში სახვადასხვა პრობლემის გადასაწყვეტად და განივითაროს ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია, ხასიათი, მოქალაქეობა, ინიციატივა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში დაგე გმილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც წარმოადგენენ შუალედურ სასწავლო მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებიდან და კურიკულუმებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის დაგეგმვის გამოცდილება. **ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს.

სპორტი --სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ქმნის. მასში გაწერილია გრძელვადიანი მიზნები, შეალედური მიზნები, რომლებიც ამ ეტაპზე კომპლექსური დავალების პირობითაა წარმოდგენილი და მოსწავლისთვის საინტერესო შიდა სასკოლო თუ საკლასო ფესტივალებს ითვალისწინებს. ხოლო თემის ფარგლებში გაწერილი საკითხები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თუ შეთავაზებული რესურსი, სპორტული ინვენტარი, ინტერნეტ რესურსები, ლინკები, მოსწავლის არამარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ ცოდნას განაპირობებს, რაც თავის მხრივ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. პედაგოგები საუბრობენ რიგ მეთოდებსა და სტრატეგიებზე, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია დიფერენცირება, როგორც შინაარსის, ისე პროცესის, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მუშაობენ ადაპტირებული კომპლექსური დავალებებისს და მათი განხორციელების პროცესის შემუშავებაზე. იკვეთება ისგ გუნდის პროფესიონალიზმი დიფერენცირებულ მიდგომებში.
ინდიკატორი 2.1.2.3 დაკამყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს.

უცხოური ენები - ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები, რესურსები, აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. რაც შეეხება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებს გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან და აგროვებენ მონაცემებს, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ, სპეც. მასწავლებელთან ერთად შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, აღნიშნეს რომ, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად რთავდნენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეს, ჰქონდათ მასზე მორგებული დავალებები, ასევე აღნიშნეს რომ, კლასელები სსმ მოსწავლეს აძლევდნენ წამახალისებელ უკუკავშირს. ყოველივე ეს მიუთითებს რომ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომა და სკოლას ამ მხვრივ აქვს კარგი გამოცდილება.

დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ წლის დასაწყისში შეიმუშაონ ინდ გეგმა. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპისთვის სკოლას საბაზო საფეხურზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლის ჩართულობისთვის მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. მომავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წლისთვის სკოლა მზადაა, შექმნას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის რეალიზებისთვის შესაფერისი საგანმანათლებლო გარემო. ასევე, გეგმავს კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, კლასები -მცირერიცხოვანი, რაც აიოლებს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების დანერგვას. სკოლას საბაზო საფეხურზე ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ისგ-ის შემუსავების გამოცდილება. ინდიკატორი 2.1.2.3 ინდიკატორში დასტურდება სტანდარტთან **შესაბამისობა** .

სპორტი -საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელობანის სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ განხორციელების დროს მოსწავლეებს მათ შესაძლებლობაძე მორგებულ სასწალო აქტივობებს სთავაზობდა, რაც მოსწავლეებს მოტივაციასა და ჩართულობას ამაღლებდა, მოსწავლეთა დიფერენცირებული მიდგომა გათვალისწინებული იქნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს ისეთ კომპლექსურ დავალებებს, მაგალითად როგორიცაა შიდასაკლასო თუ სასკოლო სპორტული ფესტივალი, პროექტი, რაც თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა აქტივობებით სხვადასხვა მოსწავლის ჩართულობას პროექტის მომზადებაში და პროექტის კონფერენციაზე წარდგენას , მოხდება საკითხების სხვადასხვა აქტივობებით ამოწურვა. რჩევა - საბაზო საფეხურზე მე-7 კლასში თემა ,,ოლიმპიზმში“ მასწავლებელმა მოსწავლეებს შესაძლებელია დასამუშავებლად მიცეს სხვადასხცა საკითხები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილია რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით . მათთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვთ, რომ შეფასებამ, გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიღწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოს სწავლის პროცესის გაუმჯობესება. მასწავლებლების მზაობა ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებს დახვეწას. პედაგოგები ინფორმირებულები არიან განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, თუმცა არ აქვთ ჯერ გამოყენებული ; ძირითადად წარმოდგენილი აქვთ ჯგუფური მუშაობის/პრეზენტაციის შეფასების ზოგადი რუბრიკები. სამომავლო გეგმები ითვალისწინებს შეფასების ახალი ინსტრუმენტების აქტიურ დანერგვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, აღნიშნული რუბრიკები სამივე საგნის - გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის შემთხვევაში მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკამყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმნეტში ,რომელშიც ასახული ინგლისური ენის შეხვედრის საკითხები,განხილულია შეფასების სისტემის დეტალები,რომელიც ადასტურებს შეფასების გრძელვადიან მიზნებს.სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, იყენებენ შეფასების შემდეგ რუბრიკებს: შემაჯამებლის, დისკუსიის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკებს.გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ ამ ეტაპზე სკოლაში განმავითარებელი შეფასება ძირითადად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.მომავალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი შეფასებისთვის სკოლა მოამზადებს შეფასების რუბრიკებს ცნებებთან მიმართებით,რაზე დაყრდნობითაც მოხდება შეფასების განხორციელება.ამავდროულად საჭიროების დადგენის მიზნით მასწავლებლები თვითრეფლექსიისა და მოსწავლეების ჩართულობით ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს,დასახავენ სამომავლო გეგმებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკამყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან . ინტერვიუს დროს გაირკვა რომ,ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ეტაპობრივად შეიმუშაონ კომპლექსურ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და თემიდან გამომდინარე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული და დაფარული იქნება ყველა სამიზნე ცნება და მოლოდინები მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.შესაბამისად ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -სკოლა საბაზო საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ახალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს თითოეული კომპლექსური დავალებისათვის შეფასების რუბრიკის შემუშავებას (განმავითარებელი, განმსაზღვრელი), სადაც გათვალისწინებული და დაფარული იქნება ყველა სამიზნე ცნება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის განვითარების დინამიკას და საჭიროებისამებრ შეარჩიოს სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას კათედრის წევრებმა ისაუბრეს შეფასების რა ინტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის. კათედრა გეგმავს(კათედრის ოქმი) შექმნას განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობებისათვის მომდევნო სასწავლო წლისათვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში არის განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტი, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში. ინდიკატორი 2.1.2.4 ინდიკატორში ჩანს **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

სპორტი --სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას სამივე საფეხურზე. რაც შესაბამისად შესაძლებლობას მიცემს მოსწავლეს ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში, წინარე ცოდნის დადგენასა და ახალი ცოდნის შესახებ წარმოდგების შექმნაში და ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება შექმნილია გრძელვადიან მიზნებისა და მეთოდიკურ ორიენტირების შესაბამისად; **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გარკვეულწილად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილება, თუმცა ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი . მასწავლებლებთან ინტერვიუს მეშვეობით გამოიკვეთა , რომ არსებობს იმის მზაობა, რომ მომდევნო სასწავლო წელს მოახდინონ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის რეფლექსია და სამომავლოდ ცვლილებები გახდეს უფრო მიზანმიმართული.
ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს ნაწილობრივ მოხდა წინარე გამოცდილების ასახვა სასკოლო კურიკულუმში, სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს არ განუხორციელებია კომპლექსური დავალებები, ეს აღნიშნული აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმშიც.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) და პედაგოგებთან გასაუბრესიას გამოვლენილი ფაქტებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესისი დაგეგმვისას სკოლა იყენებს წინა წლის შედეგებს. იკრიბება კათედრის სხდომები,სადაც პედაგოგები განიხილავენ განვლილი წლის შედეგებს , გაანალიზებენ და ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რის შედეგაც დაგეგმავენ კონკრეტულ აქტივოებებს შედეგის გასაუმჯობესებლად.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას.მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. ეს გამოცდილება ნაკლებად იგრძნობა ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში თუმცა, ინტერვიუს დროს პედაგოგმა მზადყოფნა გამოთქვა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითანამშრომლოს კოლეგებთან და ასახოს კურიკულუმში წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

სახელმწიფო ენა -2023-2024 წლისათვის სკოლა გეგმავს, დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოავლინოს პრობლემები, წინარე ცოდნის გამოცდილების რეფლექსიაზე დაყრდნობით გადაამუშაოს და სრულყოს კურიკულუმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება და კურიკულუმებზე მუშაობისას აქტიურად თანამშრომლობენ საბუნებისმეტყველო მიმართულებების მასწავლებლებთანაც, რომლებთანაც ერთ კათედრაში არიან გაერთიანებული; მათემატიკის და საბუნებისმეტყველო კათედრის (საბაზო საფეხურის) გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ პედაგოგები თვითრეფლექსიასა და პრაქტიკის კვლევაზე დაყრდნობით. ინდიკატორი 2.1.2.5 ინდიკატორში იკვეთება სკოლის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

სპორტი --კურიკულუმების შედგენისას მნიშვლელოვანია გათვალისწინებული იყოს წინარე გამოცდილება. მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა თვითშეფასებებს, შეფასების ანალიზს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურუკულუმის ჩარჩო
- ინდ. გეგმები
- შეფასების რუბრიკა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

უცხოური ენები

- საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.
- წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მაგალითები.
- ინგლისური ენის კათდრის შეხვედრის ჩანაწერი.

ესთეტიკური აღზრდა

- *კურიკულუმი*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.*
- *ისგ.სხდომის ოქმი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა

- საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2)

სპორტი

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობა არასრულ სურათს იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე, რადგან შუალედური მიზნები ზოგიერთ თემასთან არის განსაზღვრული კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, როგორ ხდება სასწავლო პროცესში გარკვეულწილად მოსწავლეთა თვითეფექტურობისა და შინაგანი მოტივაციის გაზრდა; სწავლის პროცესში მოსწავლის მოსაზრებები და სურვილები გათვლისწინებულია და ის არის ერთიანი გუნდის ნაწილი; მოსწავლის შეცდომები აღიქმება ადეკვატურად და არაკრიტიკულად და მიეცემა საშუალება გამოასწოროს შეცდომა ადეკვატური უკუკავშირის საფუძველზე. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და სავალდებულო თემების ფარგლებში დაგეგმილი შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი შესაძლებლობას მოგვცემს მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესებში, მაგ. გეოგრაფიის, მოქალაქეობის და ისტორიის საგნებში მე-7, მე-8, მე-9 კლასებში დაგეგმილია სხვადასხვა საკითხების შესწავლა კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და შექმნან ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორიცაა - სტატია, წერილი, ინტერვიუ, საინფორმაციო ბუკლეტი... და ამ პროდუქტების დახმარებით დაადასტურონ თავისი ცოდნა შესასწავლი საკითხებისადმი. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად სწორედ კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსზე, მიზნებსა და მითითებულ განსახორციელებელ აქტივობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ,რომ სასწავლო პროცესი უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი მუსიკის საგნის კურიკულუმი ეფუძნება კლასის საჭიროებებს მორგებულ კომპლექსურ დავალებებს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ეფუძნება წინარე ცოდნის გამოცდილებას და მიმართულია სამიზნე ცნების გააზრებაზე. ხელოვნების კურიკულუმში მთლიანი სურათი არ ჩანს, თუმცა ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ პედაგოგი გეგმავს თანამშრომლობას კოლეგებთან და გამოთქვამს მზაობას კურიკულუმის სრულყოფისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება კომპლექსური დავალებები. ვფიქრობ ამ მიმართულებით **აკმაყოფილებს** კრიტერიუმს.

სახელმწიფო ენა -სკოლა გამოხატავს მზაობას, მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები, შესთავაზოს საინტერესო, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებისათვის იზრუნოს მის პიროვნულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე, მაქსიმალურად დაეხმაროს მოსწავლეს, გამოავლინოს საკუთარი თავი, რისთვისაც შეისწავლის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობას, ფსიქოლოგიურ მახასიათებელს და ინტერესს, შესთავაზებს დაძლევად დავალებებს, რათა ჰქონდეს წარმატების განცდა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალება აზლევს საშუალებას მოსწავლეს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოკვეთეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის გზები(სასწავლო პროექტები, მრავალფეროვანი დავალებები, თანამშრომლობითი სწავლება...). დასტურდება 2.2.1.1. ინდიკატორის სტანდარტთან **შესაბამისობა**.

სპორტი -მოსწავლეებისთვის საინტერესო თემების შეთავაზება მათი შინაგანი მოტივაციის ამაღლებას და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს დამატებითი რესურსები კი სწავლის პროცესს ააქტიურებს და საინტერესოს ხდის. წარმოდგენილ კურიკულუმებში შეთავაზებული თემები, საკითხები და კომპლქსური ტიპის დავალებები(პირობა) მოსწავლის შემოქმედებითობას განაპირობებს. თუმცა თემების გამრავალფეროვნება, მაში ისეთი სპორტის გუნდური სახეობები, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მოსწავლის მოტივაციას მეტად აამაღლებს, გაიზრდება სასწავლო პროცესში ჩართულობაც. რომელიც ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების გადამუშავების პროცესში იგეგმება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცხოვრებისეულ პრაქტიკულ მაგალითებზე დამყარებული კონტექსტებით, რასაც ადასტურებს მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები.მაგ: გაკვეთილის საწყის ეტაპზე მოსწავლეს ვასწავლით ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვებას, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას და ამრიგად ცოდნის კონსტრუიურება-შენებას.ამას ასევე უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. ინდიკატორი **2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა, მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო პროცესში ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავებისას შექმნას ისეთი მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. სასურველია, სასკოლო კურიკულუმის დანართზე მუშაობის დროს, კომპლექსური დავალებების პირობების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი პრინციპები, რომ მოსწავლემ დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა ადასტურებს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება კონსტრუქტივისტული მიდგომით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ, რომ ახალი ცოდნის აგება,მოხდეს წინარე ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს ეს კარგად ჩანს მუსიკის საგანში კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებისაკენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ხელოვნების პედაგოგმა ინტერვიურებისას ახსნა რომ, სასწავლო წლის დაწყებამდე კოლეგებთან თანამშრომლობით გეგმავს განსაზღვროს თემები და კომპლექსური დავალებები,რათა მოხდეს ცოდნის დონის მიმართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა -.საბაზო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ცოდნის კონსტრუირება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით. კერძოდ, თემა, რომელიც მუშავდება, მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (მე-7 და მე-9 კლასები) წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. მოსწავლისთვის შეთავაზებული კარგად ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას და ცოდნის ტრანსფერს. დასტურდება 2.2.1.2. ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტთან.

სპორტი --ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებისთვის დასმულ მეტაკოგნიტურ შეკითხვებს, რითაც ხელს უწყობენ მოსწავლეებში თვითრეფლექსიის უნარების განვითარებას, პროცესის ხელახლა გადააზრებას.
ინდიკატორი **2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას მისცემს დაგეგმონ სასწავლო პროცესი ისე რომ დაეუფლონ მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა ხერხებსა და მიდგომებს გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას და როგორ წარმოაჩენენ თავის ცოდნას ნამუშევარში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს და მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა -სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებელი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას.ისინი ცდილობენ რეგულარულად იმუშაონ იმაზე,რომ მოსწავლემ შეძლოს შესრულებულ დავალებაზე საუბარი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. ახდენს რეფლექსიას.

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებელთან იტერვიუს დროს დასტურდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -სკოლას გააზრებული აქვს, რომ საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება-გაანალიზება დაეხმარება მას პიროვნულ განვითარებაში და გამოხატავს მზაობას, აქცენტი გააკეთოს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ ამის გამოცდილება სკოლას აქვს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში იგეგმება სწავლის სწავლაზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ წარმოდგენილ მეშვიდე კლასის კომპლექსური დავალების პირობაში არის კითხვები, რომელიც მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას მოითხოვს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ და კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავებისას აუცილებლად ითვალისწინებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიას. დგინდება 2.2.1.3. ინდიკატორის **შესაბამისობა**.

სპორტი --სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე და გასაუბრების შედეგად გამოკვეთილ მათი განხორციელების სავარაუდო ნაბიჯებზე/სტრატეგიებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან პედაგოგები, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობენ, სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოიყენონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც საკითხის/სამიზნე ცნების/მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს.
ინდიკატორი **2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას მისცემს დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის აგებაზე იყოს ორიენტირებული. სასურველია, თითოეული საგნის კურიკულუმის დანართებზე მუშაობის დროს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ნაბიჯებად დამუშავდეს შეფასების კრიტერიუმები ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ამ ცოდნის რეალიზება და სხვადასხვა კონტექსტში ადეკვატურად გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები - კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. ეს ასახულია საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას . ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი პროგრამები მორგებულია ცოდმის სამ კატეგორიაზე: დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. სკოლის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. თემები ისეა შერჩეული, რომ მორგებულია მის ინტერესებსა და საჭიროებებს. მოსწავლე თავს უყრის ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რომლებიც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებული პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე და საბოლოო პროდუქტის შექმნაზე. მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომლებიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. მაგალითად, საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათის შექმნილია „მწვანე კლუბი“, რომელიც ახორციელებს პროექტს თემაზე „ნარჩენების სეპარირება“. ასევე თითოეული კლასის დმრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო საათების თემატიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებაში. მომავალში სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით უფრო მეტად გააქტიურებას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით, პრობლემაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებების დაგეგმვით, რაც სკოლას საშუალებას მისცემს ორიენტაცია აიღოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასკოლო კურიკულუმებში განსაზღვრულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რაც აგრეთვე შეუწყობს ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სიღრმისეული სწავლების პრინციპების დანერგვას სკოლაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა პედაგოგთა კომპეტენცია აღნიშნულ საკითხში. დგინდება 2.2.1.4. ინდიკატორის სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

სპორტი --პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში გარკვეულწილად უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიერ მიღებულ/დაგროვებულ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, ასევე გასაუბრებისას აღწერილი სასკოლო პროექტები/სხვადასხვა აქტივობები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას . პედაგოგთა აღწერით, მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომელიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდა შემდეგი პროექტები: საზოგადოება „ბილიკი“-ის ორგანიზებით სამოქალაქო განათლების მიმართულების პროექტი: საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათის შექმნილია „მწვანე კლუბი“, რომელიც ახორციელებს პროექტს თემაზე „ნარჩენების სეპარირება“. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტში „კინო სკოლაში“, ასევე, შიდა სასკოლო სპორტულ შეჯიბრებებში.მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა უფრო აქტიურად დაგეგმავს საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა თემატიკის პროექტებს საბაზო საფეხურის თითოეული კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო საათების ისეთი თემატიკა, რაც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას, მიღებული ცოდნის სხვა კონტექსტში გამოყენებას. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ შემდეგი: ცოდნის საჭიროებაზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას გვაძლევს მოსწავლემ დაინახოს ცოდნის მიღებისა და უნარების განვითარების საჭიროებები, დააკავშიროს სწავლის პროცესი შედეგთან და დასახოს მიზნები საკუთარი შესაძლებლობების შეფასების შემდეგ. დაგეგმილია ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრული კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს პედაგოგს დავალების განხორციელების პროცესში ორიენტირებული იყოს პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომელიც საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება.

უცხოური ენები - კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს.

ესთეტიკური აღზრდა -პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურზე შედგენილი კურიკულუმები იძლევა ესგ-ით განსაზღვრული სტანდარტების რეალიზების საშუალებას. დავალებები აგებულია თემატურად, შერჩეული თემები უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. რადგან საკითხის შინაარსი და პრობლემა მოსწავლისათვის უცხო არ არის, ის იწყებს პრობლემასა და გამოწვევაზე ფიქრს. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რაც ზრდის გაზრების, დამახსოვრების და ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლა კურიკულუმში გეგმავს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე, რაც გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარის გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების წარმატებიტ სესრულება მოსწავლისაგან მოითხოვს მიგნებების განხილვა/დასაბუტებას, არგუმენტირებას, შეძენილი ცოდნის და გამოცდილების ორგანიზებას/ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად დასტურდება 2.2.1.5. ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი -კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატა პედაგოგმა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- საგნობრივი კურუკულუმები
- სასწავლო პროექტები
- კლუბის აქტივობები
- მოსწავლეთა ნაშრომები

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- რუსული ენისა და ინგლისური ენის კურიკულუმები

მათემატიკა

- საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2)

სპორტი

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრების და თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ესგ-თი გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამის ფარგლებში, მაგრამ ნაკლებად იყო ყურადღება გამახვილებული საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე სრულყოფილად. თუმცა პედაგოგთა უმეტესობა გააზრებულად(თეორიულად) წარმოაჩენს შემდეგს: საფეხურის შედეგებიდან გამომდინარე მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს სამიზნე ცნებებს, დააზუსტოს მკვიდრი წარმოდგენები, მკვიდრ წარმოდგენების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ქვეცნებები, ქვესაკითხები და საკვანძო შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც დამუშავდება სამიზნე ცნება. მსჯელობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმი უნდა იყოს რეალიზებული კომპლექსური დავალებებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რეფლექსიით. აქედან გამომდინარე, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სასწავლო პროცესში უფრო მიზანმიმართულად უზრუნველყონ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. მაგ. მე-7, მე-8, მე-9 კლასების გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გამოკვეთილია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება. სასურველია, იმ შესასწავლ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც ამ ეტაპზე არ იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება, განისაზღვროს რომელი საკითხი, რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს დაფარავს. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -- წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა დაგეგმილია კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა -საბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში ვხვდებით უზუსტობებს თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა რომ, ახალი სასწავლო წლიდან კათედრის წევრები მეტად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან.აქედან გამომდინარე ეს ფორმა უფრო დაიხვეწება, და სასწავლო პროცესი დაიგეგმება სამიზნე ცნების , მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა -.სკოლას გააზრებული აქვს, რომ საფეხურის შედეგებს განსაზღვრავს სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ქვეცნებები, ქვესაკითხები და საკვანძო შეკითხვებით დამუშავდება სამიზნე ცნება. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული და განახორციელოს კონსტრუქტივისტული მიდგომები. კერძოდ, მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შეავსებს ახალი კომპლექსური დავალებებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - მტკიცებულების სახით წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, კურიკულუმებში ქვეცნებები დასაზუსტებელია. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასთან დაკავშირებით. თემატური დაგეგმვისას მნიშვნელოვანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებას/მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირების სწორი ასახვა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება. იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. წარმოდგენილი კურიკულუმებით, რომელშიც გაწერილია ქვეცნებები, საკითხები, სპორტული აქტივობები, სასაწავლო პროცესში გამოყენებული მასალა/რესურსები, განსახორციელებელი კომპლექსური ბუნების დავალებების პირობა, რომელიც ითვალისწინებს სპორტულ ღონისძიებებს, პროექტების მომზადება თუ კონფერენციის დაგეგმვას, ასევე მასწავლებელთა თუ მოსწავლეთა შეფასების თუ თვითფასების, შეფასების ანალიზის კრიტერიუმებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ესგ-ით განსაზღვრული პროგრამები მიემართება მოსწავლის პიროვნული განვითარებისკენ. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, საგნობრივ კურიკულუმში სტადარტიდან სავალდებულოდ შესასწავლად გადატანილია თემები და შერჩეულია მათი დასამუშავებელი ძირითადი საკითხები, ასევე, მათთან მიმართებით ირჩევა განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა საკლასო/სასკოლო აქტივობები, ცხადია, გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და ორიენტირებულია მის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე.
ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნის კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასურველია, სასწავლო პროცესში ისე დაიგეგმოს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი,რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა -საბაზო საფეხურის კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი თემები, რომლებიც პირველ რიგში მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს.ასევე სკოლა გეგმავს მოსწავლეების არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, ჩართვას რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია. ეს კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა -სკოლაში სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლის ფიზიკური, გონებრივი, პიროვნული ზრდის, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს მის თვითრეგულირებას, სოციალურ ცნობიერებას, ურთიერთობის უნარებს და პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებებზე. ამ მიმართულებით სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში. ამ მიზნით შესთავაზებს საინტერესო კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება არც ადვილი იყოს და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებიდან და კომპლექსური დავალების ბარათიდანანს, რომ საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სპორტული ფესტივალი, პროექტი, კონფერენცია კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილ შეფასების მასალების (მოსწავლეთა შეფასება სოლო-ტქსონომიით,განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ანალიზის ფორმა) გაცნობამ ცხადყო, რომ შეფასებისას მასწავლებელი აქცენტს აკეთებს როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კლასებში თვალსაჩინოდ აქვთ გამოკრული შეფასების რუბრიკები სხვადასხვა მიმართულებით: პრეზენტირების, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის უნარების. თუმცა, იმისათვის, რომ შეფასების სისტემა იყოს მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, საჭიროა მუშაობა. აღნიშნეს, რომ სამუშაო ჯგუფებში კიდევ ერთხელ უნდა გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მექანიზმები-რა უნდა იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების საფუძველი და გეგმავენ, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მზად ექნებათ თავდაპირველად შესასწავლი თემების მიმართ შედგენილი რუბრიკები, რაც დაეხმარებათ, სწორად განსაზღვრონ მოლოდინები მისაღწევ შედეგებთან მიმართებაში. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები გეოგრაფიის, მოქალაქეობისა და ისტორიის საგანებში, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. როგორც ინტერვიუზე აღნიშნეს პედაგოგებმა იყენებენ სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. ამ ეტაპისათვის პედაგოგები აკეთებენ ზეპირ განმავითრებელ შეფასებას, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებზე მორგებული წერილობითი ფორმის შემუშავებას.

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება და ინსტრუმენტი.შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო ოთხი ინსტრუმენტიდან აირჩა მეორე ინსტრუმენტი. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასებას სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. დაზუსტების მიზნით სემესტრში ერთხელ. მონაცემები დამუშავდება კათედრაზე და გააცნობენ სასკოლო საზოგადოებას.

ესთეტიკური აღზრდა -სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულ რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, გეგმავენ ეტაპობრივად გაწერონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

სახელმწიფო ენა -ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში საბაზო საფეხურზე გამოიყენება შეფასების ორ ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამ ორი კომპონენტის გამოყენებით ფასდება მოსწავლეების შესაძლებლობები, უნარები, აქტიურობა. შეფასება მასწავლებლებს ეხმარება, განსაღვრონ, მოსწავლე რა დონეს ფლობს და გარკვეული აქტივობების განხორციელების შემდეგ როგორ გააუმჯობესებს მიღწევებს. მოსწავლეებს საშუალება აქვთ აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში კრიტერიუმების განხილვის, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასებით, განსაღვრონ და განავითარონ ცოდნა და უნარები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების, როგორც პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, ამოცანები. კათედრის ოქმის მიხედვით, ახალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს არსებული შეფასების რუბრიკების სრულყოფას, აგრეთვე გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვას. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები მოსწავლის შეფასების მნიშვნელობასა და ამოცანებზე. დგინდება სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

სპორტი --სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა ამჟამად იყენებს შეფასების რამდენიმე რუბრიკას, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში და მეტ-ნაკლებად გააზრებულია მოსწავლეების მხრიდან. რუბრიკები ჰოლისტურია, ნათლად არ ასახავს კონკრეტული თემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ფარგლებში შედეგების მიღწევის გაზომვის საშუალებას. შესაბამისად, სრულად არ იძლევა იმის აღიარების საშუალებას , რომ შეფასება ვალიდური, სანდო, ობიექტური იქნება. ასევე, წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების ფორმა. გასაუბრებისას ცხადი გახდა , რომ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე ჩატარებულ ვებინარებზე მიიღეს რეკომენდაცია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენის მექანიზმებზე, აქვთ განხილული შაბლონები და ახალი სასწავლო წლის დადგომამდე მოხდება მათზე მუშაობა და ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მზად ექნებათ თავდაპირველად შესასწავლი თემების მიმართ შედგენილი რუბრიკები, შემდეგ კი ეტაპობრივად შექმნიან დანარჩენი თემების თუ კომპლექსური დავალებებისთვის. აქვთ იდეა, რომ შეფასების კრიტერიუმების შეფასებაში ჩართავენ მოსწავლეებს. ამით ჩამოუყალიბდებათ მეტი პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა, დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს, რის შედეგადაც შეძლებენ საკუთარი პროგრესის და ასევე სწავლის ხარისხის შეფასებას. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს უკეთ გააზრებული ექნება რა უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა და ნაშრომმა.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ობიექტურად შევაფასოთ თითოეული მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები -შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ კალსებში გამოკრული აქვთ განმსაზღვრელი შეფსების რუბრიკები, რასაც მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან.

ესთეტიკური აღზრდა -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების პირველ მოდელს. კათედრის მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განსამზღვრელი რუბრიკები, სადაც ჩანს თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და როგორ ფასდებიან მოსწავლეები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური და სანდო. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება არის საწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და შემუშავებული უნდა იყოს სკოლის საზოგადოების მიერ მასწავლებლის, კათედრის, მოსწავლეების ჩართულობით. სკოლა გეგმავს დახვეწოს შეფასების სისტემა, რომელიც განხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. მიზანი განსაზღვრავს შეფასების შინაარსსა და ასევე პროცესს, რომლითაც მიიღწევა შედეგი. შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები მოისწავლეთა ჩართულობით, რაც მათ ჩამოუყალიბებს გარკვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პასუხისმგებლობის განცდას და მისცემს საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრებზე მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების პედაგოგებთან ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების შეჯერებას, კათედრის ოქმიდან ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კატედრა გეგმავს შეფასების რუბრიკების შეჯერებას/სრულყოფას როგორც კათედრაზე, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებთან. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა სკოლაში. აუცილებელია შეფასების ვერიფიკაციის გამართული სისტემის აწყობა.ამ ეტაპზე პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --წარმოდგენილი შეფასების რუბრიკიდან, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების, თვითშეფასების ფორმის საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს, საგნის სამიზნე ცნებებიდან, სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან და შეფასების კრიტერიუმებისგან, რომელიც მოსწავლეს მიცემს ინფორმაციას მისი შესაძლებლობის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ არსებობდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი,** თუმცა არსებობს მისი შემუშავების მზაობა. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავდება მექანიზმი, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. ამ ეტაპზე სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების მე-2 ტიპი- „საკლასო წერა“. ყურადღება მიექცევა, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი არ აქვს მის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრება და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

უცხოური ენები -გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს შეიქმნას ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასთვის სპეციალური ჯგუფი, რომელიც წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძელზე შეამოწმებს უცხო ენის დაწყებითი საფეხურის შედეგებს, არსებული შეფასების სისიტემით ვალიდურობასა და გამჭირვალობას. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ აპირებს გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული მექანიზმი გაწერილი იყოს შეფასების სისტემის რეგულაციაში ან არსებობდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დამოუკიდებლად, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

სახელმწიფო ენა -ამჟამად სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა. სკოლა გეგმავს მის შემუშავებას, რომელსაც გაწერს შეფასების სისტემის რეგულაციაში დამოუკიდებლად, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით.

ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.

მათემატიკა - სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. თვითშეფასების კითხვარის თანახმად, შიდა ვერიფიკაციის სისტემაზე მუსაობა ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება. პროცესი **არაა შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.**

სპორტი --კათედრებზე მუდმივად უნდა განიხილებოდეს შეფასების სისტემის საკითხებზე მსჯელობა, მისი დახვეწისა და განვითარების მიზნით. ამ ეტაპზე სკოლას ვერიფიკაციის მექანიზმი არ აქვს. თუმცა სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნას, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ შესაბამისობის გეგმით დათქმულ პერიოდში (01.09.2023წ. - 16.10.2023წ.) შეიმუშავა და წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #2-78 16.10.2023წ. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით ამისათვის განკუთვნილ სივრცეში . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული დოკუმენტი, რომელიც ეხება მოსწავლის პირად საქმეს, შეფასებებს, ინახება წესისამებრ. რაც შეეხება მოსწავლეების ნაშრომებს, შემაჯამებლებს, პროექტებს, ზედმიწევნით არ ინახება, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან გამოიყოფა ადგილი, სადაც დასაწყობდება აღნიშნული დოკუმენტაცია,აგრეთვე სკოლის დირექციიდან ერთი პირი,რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დოკუმენტაციის შენახვის.ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

უცხოური ენები - პედაგოგებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული

მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა -ამ ეტაპზე სკოლა არ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. თუმცა განაცხადში წერია, რომ სკოლა მომავალში იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებაზე და უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სახელმწიფო ენა - მოსწავლეთა პირადი საქმეები, შეფასებები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დროით, ხოლო მოსწავლეების ნაშრომები, შემაჯამებლები, პროექტები ზედმიწევნით არ ინახება. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გამოყოს სპეციალური სივრცე, შეინახება აღნიშნული მასალები, აგრეთვე სკოლის დირექციის შეარჩევს მათ შენახვაზე პასუხისმგებელ პირს. ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას გაიკვა, რომ კათედრაზე ინახება შეფასებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მასალა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ასეთი ტიპის ინფორმაციისა და მტკიცებულების აღრიცხვისა და შენახვის პროცედურების მოწესრიგებას. იკვეთება სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

სპორტი --სკოლა უნდა უზრუნველყოფდეს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას აქვს პრაქტიკა მოსწავლის პირად საქმის შენახვასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეინახონ კანონით გათვალისწინებული ვადით, თუმცა მომავალი წლიდან გეგმავენ ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნაშრომების, პროექტების, შემაჯამებლების არანაკლებ სამი წლის ვადით შენახვის ვალდებულებას.
ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები
- შეფასების რუბრუკები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობებიG

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ინგლისური ენის კათდრის შეხვედრის ჩანაწერი. GG

ესთეტიკური აღზრდა

- კურიკულუმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

მათემატიკა

- საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2)

სპორტი

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემებზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. ხდება მათი წახალისება. (საახალწლო ღონისძიებები,შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები,მუსიკალური ღონიზძიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა,სკოლის ეზოს გამწვანების აქცია,ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება).

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმებით. უცხო ენის კათედრის ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ.

ესთეტიკური აღზრდა -საბაზო საფეხურზე ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების მიწოდებას. წარმოდგენილი კურუკულუმები,სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.

პედაგოგებთან გასაუბრების დროს გაირკვა რომ, სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის მუსიკალური ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები, დისკუსიები, პროექტები სხვადასხვა თემაზე , რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. ამ შემთხვევაში სკოლა **აკმაყოფილებს სტანდარტს.**

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. კერძოდ: საახალწლო ღონისძიებები, შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები, მუსიკალური ღონისძიებები, მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, სკოლის ეზოს გამწვანების აქცია, ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება და სხვ. სკოლა გეგმავს მომავალში ამ მიმართულებით უფრო გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კათედრებზე თანამშრომლობის დოკუმენტებით, კურიკულუმში პრობლემაზე ორიენტირებული საგნობრივი დავალებებით, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პოზიტიური გარემოს შექმნას საწავლო პროცესში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება პოზიტიურ გარემოში ხდება, სკოლას აქვს ისგ განვითარების გეგმა. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორის მოთხოვნებთან;

სპორტი -სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული სპორტული ღონისძიებებში მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა, რომელიც მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ განვითარებაზე და პიროვნულ წინსვლაზე იყო ორიენტირებული. სკოლის მიერ მოწოდებული ახალი 2023-2024 სასაწავლო წლის სასკოლო გეგმიდა იკითხება, რომ სკოლის მისია, ღირებულებები ხედვიდან გამომდინარე სკოლას მიზნად დასახული აქვს მოსწავლისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, ინტელექტუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

განვითარება, სწავლის ხარისხის ამაღლება, კურიკულუმებიდან გამომდინარე საინტერესო აქტივობებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება, სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნიკის სასწავლო პროცესში გამოყენების გრაფიკით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილი იქნება მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, არსებული კლუბის საქმიანობა ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. ფიზიკა/ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორიის რესურსები მწირია სახალისო/შემეცნებითი კვლევითი აქტივობების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად, რაც შესაძლოა აისახოს მოტივაციაზეც, თუმცა სკოლამ იზრუნა ელემენტარული აღჭურვილობის შეძენაზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის(სინჯარები, კოლბები, რეაქტივები) , სადაც დაიგეგმება მარტივი კვლევითი სამუშაოები. ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემატიკაზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული.სკოლა მომავალში გეგმავს, რომ მოხდეს მოსწავლეების პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინკლუზიური გარემო. მოსწავლეებს აქვთ საკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს ნაწილობრივ სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები **და მათი შეფასების რუბრიკები ადასტურებს იმას ,რომ პედაგოგები ცდილობენ** ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

ესთეტიკური აღზრდა -სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, სკოლა მომავალში გეგმავს, რომ მოხდეს მოსწავლეების პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები და სასწავლო პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის საჭიროება. იგეგმება მეტი ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ჩართულობასა და საჭიროებებს - ვკითხულობთ ავტორიზაციის განაცხადში. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა -სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებული უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ასევე ცდილობენ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. სკოლა მომავალში გეგმავს, რომ ჩაატაროს დიაგნოსტიკური შეფასება, განახორციელოს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები და სასწავლო პროცესი ისე დაგეგმოს, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის საჭიროება. დაიგეგმება პროექტები როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მიმართულებით, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - .სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევა მოსწავლის ინტერესების შესაბამისად. და დაგეგმილი დავალებების მიზანია საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა, აგრეთვე მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება . იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა გეგმავს დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, მატემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი სასწავლო რესურსები. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი -- სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებას მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, პიროვნულ განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული . კათედრაზე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმები ნაწილობრივ ითვალისწინებდა მოსწავლეთა ინტერესებს, სპორტის გუნდური სახეობებიდან მხოლოდ ხელბურთის ელემენტები იყო გათვალისწინებული. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის ინფრასტუქტურა საშუალებას იძლევა სპორტის სხვა სახეობების დამატებულიყო, მასწავლებელს გასაუბრების დროს მიეცა რჩევის თემებში ისეთი გუნდური სპორტის სა,ხეობის დამატების როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი. მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერას და სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას კიდევ მეტად შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებულ პროექტებში/სასკოლო ღონისძიებებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი. თუმცა, სოფლის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მშობელთა ჩართულობა შედარებით დაბალია. კოლეგებს შორის ჰარმონიული განწყობაა; ისინი ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში, ესწრებიან გაკვეთილებზე, იღებენ უკუკავშირს, მეგობრულ რჩევასა და კრიტიკას ერთმანეთისგან. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენის , როგორც **ინგლისური ენის** ასვე **რუსული ენის** მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

ესთეტიკური აღზრდა -სკოლაში თანამშრომლობით კულტურაზე მიუთითებს ერთობლივად დაგეგმილი განხორციელებული პროექტები ტოლერანტობაზე და ცხოვრების ჯანსაღ წესზე რითაც კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -სკოლაში პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს კოლეგებს შორის თანამშრომლობა, თითოეული მასწავლებლის ჩართულობა. ისინი ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში, ესწრებიან გაკვეთილებზე, იღებენ უკუკავშირს, მეგობრულ რჩევას და კრიტიკას კოლეგებისგან, კათედრები ურთიერთთანამშრომლობენ, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ერთმანეთს დაესწრებიან გაკვეთილებზე, დაგეგმავენ ინტეგრირებულ გაკეთილებს წინასწარ შემუშავებული და გაწერილი სქემის მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს მათემატიკის, ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაერთიანებული კათედრა, ახალი კურიკულუმები და სეფასების ინსტრუმენტები კატედრაზე ტექნიკური მიმართულების ყველა პედაგოგის აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა. კათედრას დაგეგმილი აქვს 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი აქტივობები(კათედრის გადაწყვეტილება). პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი --სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციდან გამომდინარე სკოლაში განსაზღვრულია კათედრების მუშაობის პრინციპები, ფუნქციები რაც თანამშრომლობას, ერთმანეთში გამოცდილების გაზიარებას, პრობლემების იდენთიფიცირება, მისი გადაჭრის ერთობლივი გზების ძიებას, რეკომენდაციის შემუშავებას სწავლასწავლების თანამედროვე მეთოდე მეთოდებისა და მიდგომასთან დაკავშირებით მუშაობას ითვალისწინებს, რასაც მასწავლებლის გასაუბრებიდანაც ვგებულობთ. ყოველივე აქედან გვაქვს საუფძველი ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძვნება თანამშრომლობით კუტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ცხადია, რომ გარკვეულწილად უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა მეტი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სამომავლო ერთწლიან გეგმაში სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხოციელებას, რომელებიც ორიენტირებული იქნება ჩართულობაზე, პატივისცემაზე: შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები,მუსიკალური ღონისძიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა,სკოლის ეზოს გამწვანების აქცია და სხვა..გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ შეძენილი მცირე ქიმიური რეაქტივების გამოყენებით დაგეგმავენ სახალისო ექსპერიმენტებს, მოახდენენ ცდების დემონსტრირებას. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს.

უცხოური ენები -პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა,ნდობა,აღიარება,მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. **ინგლისური** და **რუსული ენის** კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში პოზიტიური გარემო უზრონველყოფილია. სსმ ბავშვზე ორიენტირებული აქტივობები, მხარდაჭერა, წახალისება მიუთითებს პოზიტიურ გარემოს არსებობას კლასში და შესაბამისად **აკმაყოფილებს** ინდიკატორს.

სახელმწიფო ენა -უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მეტი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად მომავალი სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხოციელებას, რომელებიც ორიენტირებული იქნება ჩართულობაზე, პატივისცემაზე, ზრუნვასა და მხადაჭერაზე. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. კერძოდ: შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები, მუსიკალური ღონისძიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, სკოლის ეზოს გამწვანების აქცია, ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება. საბაზო საფეხურზე სკოლამ გამოყო სპეციალური სივრცე პროექტზე „კინო სკოლაში“ სამუშაოდ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დადასტურდა გასაუბრების პროცესში. კერძოდ კატედრაზე იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება სასკოლო საზოგადოებასთან და დაემყარება პოზიტიურ უკუკავშირს. კათედრა აპირებს დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებაში მიკუთვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

სპორტი -- სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა ორიენტირებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სასკოლო ღონისძიებები, ექსკურსიები, ლაშქრობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საზიაროს სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკის მიმართულებით, არა მარტო სამუშაო დღეებში, არამედ უქმე დღეებშიც სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, იმის დასტურია ვიფიქროთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- სასკოლო პროექტები
- ღონისძიებების დროს შექმნილი/გამოყენებული რესურსები/თვალსაჩინოებებიG

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დაწყებითი კლასების უცხო ენების კურიკულუმები
- შეხვედრის ოქმი

მათემატიკა

- ისგ სამოქმედო გეგმაGFH
- სკოლის შინაგანაწესი
- პრობლემების დაჯგუფების ცხრილი
- კათედრის სხდომის ოქმებიDF
- კათედრის გადაწყვეტილება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ამ ეტაპზე სკოლაში არ ხორციელდება კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც კვლავ საჭიროებს დახვეწას. საუბრისას აღნიშნეს, რომ მეთოდოლოგიური ჩარჩო ცალსახად გამოკვეთს კურიკულუმის მიზნებსა და ამოცანებს, განსაზღვრავს ინდიკატორებს; მოხდება იმ მონაცემთა შეგროვება, რაც გაზომავს თითოეულ ინდიკატორს. განისაზღვრება პასუხსიმგებელი პირები თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაზე. ამის შემდეგ მოხდება მონაცემების ანალიზი და შეფასება. აღნიშნეს, რომ შედეგები გამოყენებული იქნებაკურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრით.
ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და დაგეგმილი აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გათვალისწინებულია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია უცხოე ენის კათედრის **ინგლისური ენის** და **რუსული ენის** მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, მათ ასევე აღნიშნეს, რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. ამის შედეგად გაკეთდება ანალიზი და შეფასება რის შედეგადაც მოხდება კურუკულუმების განახლება. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შეფასება წარიმართება 3 მიმართულებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ✓ მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- ✓ სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- ✓ სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სკოლაში კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი სკოლაში არ ხორციელდებოდა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლაგეგმავს, რომ მონიტორინგი გახადოს საწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი. ამ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და გეგმავს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს კურიკულუმის შემუსავების მეთოდოლოგია, თუმცა ის ძალიან ზოგადია და მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი არ ჩანს. თუმცა მათემატიკის კათედრის გადაწყვეტილებაში და კათედრის ოქმში ჩანს ის ნსტრუმენტები, რომლებითაც მოხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სეფასება(მაგ. დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასება სემესტრში ერთხელ). ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

სპორტი --სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა ორიენტირებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სასკოლო ღონისძიებები, ექსკურსიები, ლაშქრობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საზიაროს სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკის მიმართულებით, არა მარტო სამუშაო დღეებში, არამედ უქმე დღეებშიც სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, იმის დასტურია რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას დადგინდა, რომ არსებული მონიტორინგის ფორმა და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, ანალიტიკური რუბრიკები, რომლებიც გამოკრულია კლასებში თვალსაჩინოდ. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას აღქმული აქვს ერთ-ერთ საჭიროებად მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მნიშვნელობა, სასურველია, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - ,,კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში" იკვეთება,რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება შემდეგი მიართულებებით : 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; -2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); -3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) გასაუბრებაზე მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა , რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, მოსწავლეების ინტერესებს და ცვლილებები რომლებიც შევა საგნობრივ კურიკულუმებში უპირობოდ მიმართული იქნება სასკლო საზოგადოების წევრების, მოსწავლეების მხარდაჭერსა და დახმარებაზე. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრას);

ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ეს ყველაფერი მიუთითებს რომ, **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. პრობლემების იდენტიფიცირებაში, წარმატების გაზომვასა და შეცდომების გააზრებაში. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლის სწავლის პროცესის შეფასებას, პრობლემური მიმართულებების გამოკვეთას, შესაბამისი უკუკავშირის მიცემას. მიგნებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის დაგეგმვას. ამის საფუძველზე გაანალიზდება სასკოლო საზოგადოების მიღწევები და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი გეგმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - როგორც გასაუბრების დაკატედრის გადაწყვეტილების შედეგად გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება, რომლისთვისაც სკოლის დონეზე მზადდება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. საიაგნოსტიკო შეფასებები ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი მიზანია შეფასების სისტემის სრულყოფა და სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესში ინტერვენციების დასაგეგმად. მნიშვნელოვანია კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შემუშავების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების პროცედურები. ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

სპორტი --მონიტოტინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმული უნდა იყოს მხარდაჭერის მექანიზმად და ის უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფი აანალიზებს მონიტორინგის შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას ცხადი იყო, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დაისახება გეგმა პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად , მაგ: მათი თქმით, ეს შეიძლება იყოს კვლევითი კითხვარი, რომელიც შეფასების პროცესს პასუხობს. სკოლას აქვს მზაობა, ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა, დასახოს სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში აისახება კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია.

ესთეტიკური აღზრდა -სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დასახავს რა გზებით და შესაძლებლობებით დაძლევს წარმატებით პრობლემებს. პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენებენ კვლევით კითხვარს, რომელიც შეფასების პროცესს პასუხობს, რადგან კითხვებზე პასუხი არის სამოქმედო გეგმის ნაწილი.სკოლა ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, დასახავს სამოქმედო გეგმას. ამ ნაწილში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტს. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა -სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე გამოვკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დასახავს პრობლემის დაძლევის გზებს. განახორციელებს კვლევას კითხვარების გამოყენებით. კვლევის შედეგებს გამოიყენებს პროცესის დაგეგმვისას, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, დასახავს სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თვითრეფლექსიაზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი დიაგნოსტიკური შეფასებები და ზოგადად, შეფასებების ანალიზები გახდება პრობლემის იდენტიფიცირებისა და სასწავლო პროცესის კორექტირება/დაზუსტების საფუძველი. ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

სპორტი --განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ანალიზის საფუძველზე, სადაც ხდება პრობლემის აღმოჩენა და მისი გადაჭრის გზების საშუალებები, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა სკოლას შესაძლებლობა მიცემს შეიტანოს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის შაბლონი
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა
- სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- ინგლისური ენის კურიკულუმები
- რუსული ენის კურიკულუმები.
- ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

ესთეტიკური აღზრდა

- ავტორიზაციის განაცხადის ფორმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

მათემატიკა

- მათემატიკის კათედრის გადაწყვეტილება
- მონიტორინგის წესი(დანართი1.2.2)

სპორტი

- კურიკულუმის შემუსავებისა და განვიტარების მეტოდოლოგია
- მონიტორინგის წესი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ამ ეტაპზე არ არსებობს ინსტრუმენტები , რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. თუმცა სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყობს მათ გამოცდილებას და მზაობას იმისთვის, რომ შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს. კათედრა ამ ეტაპისთვის იყენებს სოლო ტაქსონომიის მიხედვით შეფასების რუბრიკებს. სკოლამ აირჩია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ტიპი, რომელსაც წელიწადში ორჯერ, სემესტრების ბოლოს ჩაატარებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენოს მრავალფეროვანი წყაროები. მაგ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ გამოიყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შესაფასებლად სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც გულისხმობს კომპლექსური დავალებების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პროცესის დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

უცხოური ენები - სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მიმართულებები,სტანდრატულად ეს არის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება. გარდა ამისა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა -მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. კათედრის წევრები აპირებენ მომავალშიც გამოიყენონ ეს გამოცდილება. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -.სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მიღწევების შესაბამისობას სტანდრტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეფასება გვაძლევს ინფორმაციას სკოლის, კლასის, მოსწავლის, მასწავლებლის წინსვლის, პრობლემის შესახებ. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლამ აირჩია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ტიპი, რომელსაც წელიწადში ორჯერ, სემესტრების ბოლოს, ჩაატარებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, მასწავლებელთა რეფლექსიები და მშობელთა გამოკითხვები. იკვეთება **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სპორტი -- სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების და სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების ფორმა, მოსწავლეთა თვითშეფასების და სადიაგნოსტიკო ფორმა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს შეფასება მოხდეს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში, ჯგუფურ მუშაობაში თანამშრომლობას. საკლასო ოთახებში თვალსაჩინოდ ჩანს რუბრიკები: პრეზენტირების, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის და ა.შ. როგორ გასაუბრებისას აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ისეთ შეფასების სისტემას , რომელიც დაეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლის შეფასება მოხდება სხვადასხვა ფაქტორებზე დაკვირვებით.არა მარტო მოსწავლის აკადემიური მიღწევები შეფასდება, არამედ რა ღირებულებები აქვს მოსწავლეს, რა მისწრაფებები, სურვილები და შესაძლებლობები. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით დაიგეგმება ისეთი აქტივობები, რაც მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს: მაგ: კლუბური მუშაობა, პროექტების განხორციელება და სხვადასვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა , კომპლექსური დავალებების განხორციელება. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ კვლევას და შეფასებას წარმართავს სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ინგლისური ენის კომპლექსური დავალებებში ჩანს პედაგოგისა და კათედრის მცდელობა ,რომ მოხდეს მოსწავლის შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს და აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ საზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

ესთეტიკური აღზრდა -მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ესთეტიკის კათედრაზე შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს შეიმუშაოს ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება დიფერენცირებულ მიდგომაზე. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. ამ შემთხვევაში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა - მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ისეთ შეფასების სისტემას, რომელიც დაეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლე შეფასდება სხვადასხვა ფაქტორეზე დაკვირვებით. მრავალი კონტექსტის გათვალისწინება მისცემს მასწავლებელს დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლის წარმატებას შეუწყობს ხელს, ჩართოს მოსწავლე კლუბურ მუშაობაში, პროექტების განხორციელებასა და და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო თემის გავლისას ყოველთვის ცდილობენ გაითვალისწინონ არსებული მოცემულობა, შეისწავლონ მოსწავლეებისხვადასხვა კონტექსტში, მოიპოვონ მრავალფეროვანი ინფორმაცია. კათედრის გადაწყვეტილობის დოკუმენტში დაგეგმილი ახალი სასწავლო წლისათვის კათედრაზე და მშობლებთან შეხვედრების გააქტიურება, გასაუბრებისას აღინიშნა დამრიგებლის როლი. გამოჩნდა, რომ პედაგოგებს ესმით კონტექსტის, როგორც შედეგის განმაპირობებელი ფაქტორის მნიშვნელობა. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორთან.

სპორტი - -განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა თვითშეფასების და სადიაგნოსტიკო შეფასების ფორმები, რომლის შემუშავებაც მოხდა 2023-204 სასწავლო წლისთვის და რომელიც მოსწავლეს საშუალებას მიცემს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში, საკუთარი თავის თვითრეალიზაციაში იძლევა მოსწავლის დიფერენცირებულ მიდგომას გულისხმობს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას ამ ეტაპზე სკოლა არ სარგებლობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; დროისთვის სკოლაში მოსწავლის საგაკვეთილო აქტივობა ფასდება საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულების მინიჭების საშუალებით. აგრეთვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოახდინოს მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოება და შეფასება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მოსწავლეები თავად ჩაერთვებიან მომზადების, შეგროვების და შეფასების პროცესში, რაც მათ სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში მონაცემთა შეგროვებისთვის აღნიშნული აქვს, რომ გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -გასაუბრებაზე გამოიკვეთა ,რომ შეფასებისას დაინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს , თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს.

ესთეტიკური აღზრდა - როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი. შესაბამისად **აკმაყოფილებს** ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა - სკოლას გააზრებული აქვს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოებისა და შეფასების დანერგვას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მოსწავლეები თავად ჩაერთვებიან მომზადების, შეგროვების და შეფასების პროცესში, რაც მათ სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - როგორც კატედრის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე. გასაუბრებისას გაირკვა, რომ კატედრაზე მიდის სეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობა, დაგეგმილია სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობებით მისაღწევი შედეგების შემოწმება. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

სპორტი -- შეფასებისას მნიშვნელოვანია გამოყენებული იყოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროები. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უნდა უზრუნველყოფდეს და აბალანსებდეს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. **რჩევა - სასურველია შეიქმნას ისეთი ინსტრუმენტი რომლშიც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გაწერილი. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული ფორმა, კონკრეტულად რას და რა საშუალებებით იკვლევს დანერგვის პროცესში. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლის შეფასება მოხდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის პიროვნულ-სოციალური განვითარება, რა სირთულეები აქვს მოსწავლეს სწავლის დროს, როგორია სასწავლო გარემო, როგორ არის მშობელი ჩართული მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაში, როგორია მოსწავლის აქტივობის ხარისხი, როგორია მოსწავლის ინტერესის სფერო. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა მოტივაციას, ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

უცხოური ენები - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ინგლისური ენის და რუსული ენის საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ესთეტიკური აღზრდა -მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა და განვითარების პროცესი. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა -მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა მოსწავლეს შეაფასებს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებიცაა: მოსწავლის პიროვნულ-სოციალური განვითარება, გაკვეთილისთვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა, სწავლის დროს გამოკვეთილი სირთულეები, სასწავლო გარემო, მშობლის ჩართულობა მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაში, მოსწავლის აქტივობის ხარისხი, მოსწავლის ინტერესის სფერო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - როგორც გასაუბრების შედეგად დასტურდება, ამ ეტაპზე კათედრაზე მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე. იგეგმება კლასისდამრიგებლებთან, მშობლებთან, სხვა კათედრებთან ტანამშრომლობის გაძლიერება; პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

სპორტი -- იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, აუცილებელია მრავალფეროვანი შეფასების ინსტურმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმი
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხოური ენები

- საბაზო საფეხურების ინგლისური და ინგლისური ენის კურიკულუმები

მათემატიკა

- შეფასების ინსტრუმენტები(დამატებით წარმოდგენილი მასალა)
- კათედრის გადაწყვეტილება(დანართი #2)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სპორტი

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიHE
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა მომავალი სასწავლო წლის წლის დასრულებამდე შეიმუშავებს იმ აუცილებელ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რისი საშუალებითაც დადგინდება , როგორ მოხდა კურიკულუმის შესრულება, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნო სასწავლო წლისთვის, მიიღებს უკუკავშირს ყველა ჩართული რგოლისგან, რაც მისცემს სკოლას იმის საშუალებას, რომ მომავალში სრულად გაითვალისწინოს წინა წლის სუსტი მხარეები, დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მექანიზმები. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის შეხვედრებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორ მიდის საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი და როგორ მოახდენენ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რათა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. მნიშვნელოვანია, რომ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

უცხოური ენები --„კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესები. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან . მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: - რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; - რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად.ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები.ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა -შესრულებული კურიკულუმის შეფასების მიზნით სკოლა სამომავლოდ აპირებს სამოქმედო გეგმაში გაწეროს ინდიკატორები რისი საშუალებითაც დადგინდება , როგორ მოხდა კურიკულუმის შესრულება, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნ სასწავლო წლისთვის, მიიღებს უკუკავშირს ყველა ჩართული სტრუქტურული ერთეულისგან, რაც მისცემს სკოლას იმის საშუალებას, რომ მომავალში სრულად გაითვალისწინოს წინა წლის სუსტი მხარეები,დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მექანიზმები. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -.ავტორიზაციის მომენტამდე სკოლა ძირითადად კათედრის წევრებთან, სამეურვეო საბჭოსთან გასაუბრებით ადგენდა კურიკულუმის შესრულების ხარისხს. სკოლას არ ჰქონდა გადასინჯვისა და რევიზიისთვის წინასწარ შემუშავებული მექანიზმები. სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მომავალი სასწავლო წლის წლის დაწყებამდე გეგმავს იმ აუცილებელი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისა და მექანიზმების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, როგორ შესრულდა კურიკულუმი, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნო სასწავლო წლისთვის. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - კათედრის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის გადაწყვეტილების თანახმად, იგეგმება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ როგორც სადიაგნოსტიკო შეფასების, ასევე წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგის შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის რევიზიისას და რომ მსგავსი გამოცდილება მათ უკვე აქვთ წარმოდგენილი კურიკულუმების პროექტების შემუშავებისას. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

სპორტი --სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. რჩევა - სკოლის მიერ შეიქმნას ისეთი ინსტრუმენტი, რომელის ფარგლებშიც მოხდება კურიკულუმის განხორციელების და შესრულების ხარისხის დადგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის წევრებმა ავტორიზაციის განაცხადის შევსების ეტაპზე მეტ-ნაკლებად იმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა , ჯერ კვლავ არ აქვს მას სრულყოფილი სახე. გადამუშავებული ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას , თუმცა ვერ ეყრდნობა გასული სასწავლო წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ვინაიდან არ ჩატარებულა იგი მიზნობრივად. თუმცა, სკოლა იცნობს მონიტორინგის და შეაფასების ინსტრუმენტებს და შესაბამისად მასზე დაყრდნობით შეუძლია ესგ-ის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში ნაწილობრივ არის ასახული წინარე გამოცდილება და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. სკოლა მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე გადაამუშაოს საგნობრივი კურიკულუმები. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

უცხოური ენები -გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ მუშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, მათი შედეგები.

ესთეტიკური აღზრდა -ესთეტიკის კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა-გადახედვა მომავალშიც გაგრძელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს ისეთი კურიკულუმი რომელშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება კურიკულუმში გამოჩნდება თუ რამდენადაა აგებულია ესგ-ს მიზნებზე, გლობალურ ფუნქციურ უნარზე, სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე.ითვალისწინებს თუ არა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. ამის შესამოწმებლად სკოლა გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - ვკითხულობთ ავტორიზაციის განაცხადში. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა -სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახული უნდა იყოს მოსწავლეთა შედეგები, საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ასევე, საფეხურის დონეზე, ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინოს ის პრობლემები, რომლებიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმების პროექტების შემუშავებისას ეყრდნობოდნენ წინა წლის გამოცდილებას, როცა ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლამ შეიმუსავა 2021-2022 სასწავლო წლის კურიკულუმები . კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შედეგების შედეგების ახალ კურიკულუმში ასახვა დაგეგმილია კათედრის გადაწყვეტილებაში. მნიშვნელოვანია 2023 წლის კათედრის გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმები. მათემატიკის კათედრაზე პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებთან.

სპორტი --მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე რომ მასწავლებლები გაითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას და კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ ამ მიმართულებით პროცესების გაუმჯობესებას, ერთმანეთთან თანამშრომლობას, შედეგების ანალიზს, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- გადამუშავებული კურიკულუმი;
- წლიური სამოქმედო გეგმა ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

მათემატიკა

- კათედრის გადაწყვეტილება 2023 სასწავლო წლისათვის(დანართი #2)
- დამატები წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- მონიტორინგის წესი(დანართი1.2.2)
- პრობლემების დაჯგუფების ცხრილი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

სპორტი

- სკოლის სასწავლო გეგმა2023-2024
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვიტარების მეთოდოლოგია
- მონიტორინგის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დაწართი №2

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; აქვს სათანადო ინსტრუმენტი, სადაც დეტალურად ჩანს ყველა ეტაპი. დამტკიცებული აქვს სათანადო ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს: ა) კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს: ბ)პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; გ)კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). სკოლის ადმინისტრაციას/პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ შემდეგი: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ჩანს, რომ 2023-2024 სასწ. წლის საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების-ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგიის კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული იქნება ფუნქციები . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში . **გააზრებულად მსჯელობენ, რომ კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ა) შუალედური სასწავლო მიზნების განხილვა; ბ)** სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტება. **ინდიკატორი 2.1.1.1- დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

და დაგეგმა სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, სადაც აისახა დიდწილად სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და შესაძლებლობები.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების , შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ინგლისურ ენასა და რუსულ ენაში შეესაბამება ეროვნული სასწალო გეგმის მიზნებს და მოიცავს სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირეულ პრინციპებს. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს.

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო, კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში). საშუალო საფეხურზე, კერძოდ მე-10, მე-11 კლასებში ესთეტიკის საგნების, მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს პროექტული სწავლებით. ხელოვნების პედაგოგს წარმოდგენილი აქვს გაწერილი პროექტი. რაც შეეხება მუსიკის პედაგოგს არ აქვს გაწერილი და არც არის ამჯერად შემუშავებული კურიკულუმის გაწერის შაბლონი, რადგანაც მუსიკის პროექტული სწავლებისათვის სახელმძღვანელოში მოცემულია ექვსი თემა და მოსწავლეები წლის დასაწყისში ირჩევენ სემესტრში ერთ თემას განსახორციელებლად. ვინაიდან, თემების არჩევა უნდა მოხდეს მასწავლებლის დეტალური, საფუძვლიანი ახსნის და მოსწავლეთა მსჯელობის და ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს ასარჩევი თემების ჩამონათვალი. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურზე კათედრა საგნობრივ კურიკულუმებს შეიმუშავებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მისი პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნიკათედრის წევრები, რომლებიც გასული სასწავლო წლის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და სასკოლო თემის ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოს, ასევე, მშობლები, რომლებსაც ეგზავნებათ ბარათები და მოსწავლეები, რომელთა ინტერესები დგინდება გამოკითხვის საშუალებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც მათ შორის ასახულია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ამ ეტაპზე ინდიკატორი 2.1.1.1. **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ჩანს, რომ კურიკულუმში აისახება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლებმა შექმნეს 2023-2024 სასწ.წლის კურიკულუმის სამუშაო ვერსია. მისი საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე მოხდება მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის, სამეურვეო საბჭოსთვის , სკოლის თვითმმართველობისთვის, პედსაბჭოსთვის ,ადგილობრივი თემისთვის წარდგენა-გაცნობა.სკოლის დირექტორი შექმნის ჯგუფს ,რომელიც იმუშავებს ამ მიმართულებით . მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმს განიხილავენ კათედრაზე, განსახორციელებელი კომპლექსური დავალების ადაპტირებაზე სსსმ მოსწავლისთვის და მისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში ჩართულია სპეცმასწავლებელი.

ინდიკატორი 2.1.1.2- დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა კურიკულუმებს განავითარებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით.

უცხოური ენები - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადეობის ინტერესები- როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგთა ჩართულობით უცხოური ენის კათედრაზე გასული წლის შედეგების ვერბალური ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დაგეემეს მომავალი წლის კურიკულუმები. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების შედეგად, მათი წარმატებების თუ პრობლემების გათვალისწინებით ქმნიან ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. ერთად გეგმავენ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დაფიქსირებული პრობლემური საკითხების გამოსწორებას. ასევე უცხო ენების კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური სახის დავალებები,სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები. ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ცდილობენ მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებების მორგების მიზნით დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ რომ, სკოლა აპირებს ითანამშრომლოს და გაითვალისწინოს ყველა ჩართული მხარის ინტერესები. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლებაა, რომელიც ისედაც ითალისწინებს შექმნილი პროდუქტის (ბუკლეტი, გაზეთი,კონფერენცია, და ა.შ.) წარდგენას და გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან. შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სკოლა გეგმავს, ავტორიზაციის მომენტისათვის საშუალო საფეხურის კათედრაზე შექმნილი კურიკულუმის სამუშაო ვერსია გააცნოს სასკოლო საზოგადოებას: მოსწავლეებს, მოსწავლეებს, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის თვითმმართველობას, პედსაბჭოს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ერთვის ბარათები, რომლებსაც სკოლა უგზავნის მშობელს, მშობელმა იცის, რას აკეთებს მისი შვილი, რა რესურსები სჭირდება დავალების განსახორიელებლად. განხილვის შემდეგ სკოლა მიიღებს და გაითვალისწინებს ყველა ჩართული მხარის ინტერესებს და დაამტკიცებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება საგნობრივი გეგმების წარდგენა მოსწავლეების, მშობლების, სკოლის თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოსათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხდება აზრების შეჯერება/შეთანხმება. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის, სკოლის მისიასა და ხედვასტან შესაბამისობის დადგენის პროცედურები. ამ ეტაპზე პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - როგორც აღნიშნეს, ზაფხულის პერიოდში სკოლა შექმნის საფეხურების მიხედვით სამუშაო ჯგუფებს, სადაც შესული იქნებიან მასწავლებლები, მშობლები და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებლები ,ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.გააცნობენ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. მიიღებენ უკუკავშირს,რისი გათვალისწინებითაც მოხდება სამუშაო ვერსიის მოდიფიცირება და დამტკიცება. **ინდიკატორი 2.1.1.3- დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები და განაწილებული აქვს ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

უცხოური ენები - კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ- გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ რომ, სკოლა აპირებს ითანამშრომლოს და გაითვალისწინოს ყველა ჩართული მხარის ინტერესები. სახვითი და გამოყენებითი საგნის პედაგოგის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტის გეგმა, აქტივობები რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ძეგლის შესწავლას, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვს წარმოდგენილი მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებების მტკიცებულებები. კათედრაზე განხორციელებული პროექტი და პედაგოგთან ინტერვიუ იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ პროექტი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის არსებული ვერსია შეიმუშავეს მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ. სკოლამ გეგმავს, ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება. ამისათვის ზაფხულის პერიოდში სკოლა შექმნის სამუშაო ჯგუფებს მასწავლებლების, მშობლებისა და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით, რომლებსაც გააცნობენ კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. ყველა მხარის უკუკავშირის გაითვალისწინებით მოდიფიცირდება და დამტკიცდება საბოლოო ვერსია. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით დაიგეგმება კლუბების მუშაობა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის პროექტის შემუშავებაში ამ ეტაპისთვის მონაწილეობდნენ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგები. კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება საგნობრივი გეგმების წარდგენა მოსწავლეების, მშობლების, სკოლის თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოსათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხდება აზრების შეჯერება/შეთანხმება. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად გაიწეროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები. ამ ეტაპზე პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სოციუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსახეხებელია სოციალური/ღრუბლოვანი სივრცის გამოყენება კურიკულუმის გაზიარებისთვის, ხშირია ინტერნეტის წვდომასთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე მისი გამოყენების უნარებიც კითხვის ნისნის ქვეშ არის მშობელთა მხრიდან. ამის გამო კურიკულუმის საბოლო ვერსიის დამტკიცებამდე, მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის , სამეურვეო საბჭოსთვის, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გეგმავს საერთო კრების ჩატარებას კურიკულუმის დეტალური განხილვისთვის, დამრიგებლის პროგრამის, განსახორციელებელი პროექტების , კლუბების,წრეების სამუშაო გეგმების გაცნობა/გაზიარებისთვის. შესაბამისად უკუკავშირის მიღების საფუძველზე მოხდება მათი მოდიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები დიდწილად საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას.

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ უცხო ენის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ აპირებენ კათედრებთან და სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შეიმუშაონ კურიკულუმის საბოლოო ვერსია. წარმოდგენილი პროექტი რომელიც მათ ტერიტორიაზე მდებარე ძეგლის შესწავლას ისახავდა მიზნად, იზიარებს სასკოლო საზოგადოება. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის დეტალური განხილვის შემდგომ სკოლა დაამტკიცებს საბოლოო ვერსიას (საგნობრივი პროგრამები, დამრიგებლის პროგრამის, განსახორციელებელი პროექტების, კლუბების, წრეების სამუშაო გეგმები), რომელსაც გაუზიარებს მთლიანად სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტები, რომლებშიც ჩადებულია კურიკულუმის შესახებ კითხვებიც, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოკვლეულ იქნას რამდენად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმები . გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაგეგმილია მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა, რომლებშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სავალდებულო თემების,დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- **საბუნებისმეტყველო:** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; (პროექტი)
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუშები
- კათედრის/პედსაბჭოს ოქმები
- **საზოგადოებრივი:** სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.
- უცხო ენები: ინგლისური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ოქმი.
- **ესთეტიკური აღზრდა:** ხელოვნების პედაგოგის მიერ წარმოდგენილი პროექტი
- მათემატიკა: 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მასწავლებელთა და მშობელთა ფოკუსჯგუფების კითხვარები;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - 2023-2024 სასწ. წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ ის გარკვეულწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული 1ან 2 კომპლექსური დავალება და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება დამატებითი ელექტრონული რესურსები) შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ამ ეტაპზე სრული სახე არ აქვს კურიკულუმის ჩარჩოებს, არ ჩანს, რომ იფარება სრულად ყველა თემაში სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები ყველა კლასის ჩარჩოში (სამივე საგნის მიხ.) არ იკვეთება , თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე შეიქმნება სრულყოფილი ვერსიები.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურის მოქალაქეობის, გეოგრაფიის, საქართველოს ისტორიისა და ისტორიის საგნობრივი კურიკულუმები. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება დიდწილად ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მაგ. საქართველოს ისტორიის მე-10 კლასის კურიკულუმში პირველი სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების, გრძელვადიანი მიზნის დამუშავება კომპლექსური დავალებებით.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - საშუალო საფეხურის უცხო ენების -ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. როგორც ინგლისური ენის კათედრის ერთ-ერთი შეხვედრის ოქმშია აღწერილი ,სკოლაში ჯერ ოფიციალურად არ განხორციელებულა კომპლექსური შემაჯამებელი დავალება, თუმცა პედაგოგები აქტიურად მუშაობენ იმაზე ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან ოფიციალურად განახორციელონ კომპლექსური შემაჯამბელი დავალებები. გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, განხორციელებული აქტივობები, არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარებათ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში.

ესთეტიკური აღზრდა - თვითშეფასების დოკუმენტის ჩანაწერში განსაზღვრულია, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო კურიკულუმებს გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით. ესთეტიკურ კათედრაზე საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის შემოფარგლული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თუმცა, კურიკულუმის შექმნის გამოცდილება მნიშვნელოვანია, საშუალო საფეხურზე სწავლების წარმართვისთვის, რადგანაც პედაგოგმა და მოსწავლეებმა შეძლონ ცნებების, საკითხების და თემის სრულად დამუშავება, ისწავლონ კვლევის წარმოება, სწორად განსაზღვრონ შესაქმნელი პროდუქტი, მოახერხონ საინტერესოდ პრეზენტირება და იზრუნონ ინფორმაციის გაზიარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმების(მე-10 და მე-12 კლასი) მიხედვით ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. საგნობრივი კურიკულუმი დამუშავების პროცესშია, თუმცა კურიკულუმებში ჩანს სტანდარტის შედეგები, განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები,ნაწილობრივ დაგეგმილია რამდენიმე თემა.წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა საშუალო საფეხურზე და პროცესები **შეესაბამება** 2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები გარკვეულწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. თუმცა, ამ ეტაპზე სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები ჩარჩოში, არც კომპლექსური დავალებების იდეებია განსაზღვრული სრულად, თუმცა პედაგოგთა სამუშაო ჯგუფები ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას. მასწავლებლების მზაობა ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებს დახვეწას. პედაგოგებს აქვთ მიმღებლობა იმ სიახლეებისა,რასაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მე-10 კლასის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მეტწილად დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები, ნაწილობრივ მოაზრებულია თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა და დაგეგმილია საკითხების სწავლება, ცნებებზე მუშაობა კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ა.შ. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი ინგლისური და რუსული ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ სასწავლო პროცესი გახდეს ორიენტირებული მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე,როგორიცაა : კრიტიკული აზროვნება, შემოქმედობითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას გააზრებული აქვს შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); და საგნობრივი კურიკულუმების მსგავსად შექმნას გეგმავს. ესთეტიკური კათედრის საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის წარმოდგენილი და გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება და პროექტის იდეის ჩამოყალიბება კონტექსტ მაგალითებზე დაფუძნებით. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურის საგნის კურიკულიუმი მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად, თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს. შემუშავებული კურიკულიუმი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაქმნას მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა საზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე. მოსწავლეს ეძლევა იმის საშუალება, რომ ის გადაიტანოს და გამოიყენოს ცხოვრებაში სახვადასხვა პრობლემის გადასაწყვეტად და უვითარებს ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია, ხასიათი, მოქალაქეობა, ინიციატივა).
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები და საგნობრივი საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ შუალედურ სასწავლო მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის დაგეგმვის გამოცდილება. 2.1.2.2 ინდიკატორი **შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. პედაგოგები საუბრობენ რიგ მეთოდებსა და სტრატეგიებზე, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია დიფერენცირება, როგორც შინაარსის, ისე პროცესის, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მუშაობენ ადაპტირებული კომპლექსური დავალებებისს და მათი განხორციელების პროცესის შემუშავებაზე. იკვეთება ისგ გუნდის პროფესიონალიზმი დიფერენცირებულ მიდგომებში.
ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები, რესურსები, აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. რაც შეეხება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებს გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან და აგროვებენ მონაცემებს, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პროექტული სწავლებისას, კომპლექსური დავალებების პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა რომ, ინდივიდუალური დაგეგმვის მიმართულებით სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება. აპირებენ სამომავლოდ უფრო მეტად დახვეწონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები რათა სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა: სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, მასწავლებლები საშუალო საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპისთვის სკოლას საშუალო საფეხურზე ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შექმნილია ისგ გეგმა. მომავალი წლისთვის სკოლა მზადაა, შექმნას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის რეალიზებისთვის შესაფერისი საგანმანათლებლო გარემო. ასევე, გეგმავს კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი.. სკოლას საშუალო საფეხურზე ამ ეტაპზე ჰყავს სსსმ მოსწავლე დ წარმოდგენილი აქვს ისგ., პედაგოგებს აქვთ ისგ-ის შემუსავების გამოცდილება. 2.1.2.3 ინდიკატორში დასტურდება სტანდარტთან **შესაბამისობა.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილია რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით . მათთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვთ, რომ შეფასებამ, გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიღწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოს სწავლის პროცესის გაუმჯობესება. მასწავლებლების მზაობა ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებს დახვეწას. პედაგოგები ინფორმირებულები არიან განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, თუმცა არ აქვთ ჯერ გამოყენებული ; ძირითადად წარმოდგენილი აქვთ ჯგუფური მუშაობის/პრეზენტაციის შეფასების ზოგადი რუბრიკები. სამომავლო გეგმები ითვალისწინებს შეფასების ახალი ინსტრუმენტების აქტიურ დანერგვას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, აღნიშნული რუბრიკები სამივე საგნის - გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის შემთხვევაში მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმნეტში ,რომელშიც ასახული ინგლისური ენის შეხვედრის საკითხები,განხილულია შეფასების სისტემის დეტალები,რომელიც ადასტურებს შეფასების გრძელვადიან მიზნებს.სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, იყენებენ შეფასების შემდეგ რუბრიკებს: შემაჯამებლის, დისკუსიის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკებს.გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ ამ ეტაპზე სკოლაში განმავითარებელი შეფასება ძირითადად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.მომავალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი შეფასებისთვის სკოლა მოამზადებს შეფასების რუბრიკებს ცნებებთან მიმართებით,რაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დაყრდნობითაც მოხდება შეფასების განხორციელება.ამავდროულად საჭიროების დადგენის მიზნით მასწავლებლები თვითრეფლექსიისა და მოსწავლეების ჩართულობით ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს,დასახავენ სამომავლო გეგმებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასებით ხელმძღვანელობას, რაც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ამ ეტაპზე დოკუმენტაციაში არ იძებნება განმავითარებელი შეფასება საშუალო საფეხურზე , თუმცა ხელოვნების და მუსიკის პროექტული სწავლების სახელმძღვანელოებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით და პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ეს რუბრიკები. ვფიქრობ **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა: სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ახალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს თითოეული კომპლექსური დავალებისათვის შეფასების რუბრიკის შემუშავებას (განმავითარებელი, განმსაზღვრელი), სადაც გათვალისწინებული და დაფარული იქნება ყველა სამიზნე ცნება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლის განვითარების დინამიკას და საჭიროებისამებრ შეარჩიოს სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას კათედრის წევრებმა ისაუბრეს შეფასების რა ინტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის. კათედრა გეგმავს(კათედრის ოქმი) შექმნას განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობებისათვის მომდევნო სასწავლო წლისათვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში არის განმავითარებელი შეფასების კომპონენტი, წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკებისს ნიმუშები. გამოცდილება. 2.1.2.4 ინდიკატორში ჩანს **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გარკვეულწილად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილება, თუმცა ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი . მასწავლებლებთან ინტერვიუს მეშვეობით გამოიკვეთა , რომ არსებობს იმის მზაობა, რომ მომდევნო სასწავლო წელს მოახდინონ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის რეფლექსია და სამომავლოდ ცვლილებები გახდეს უფრო მიზანმიმართული. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს ნაწილობრივ მოხდა წინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოცდილების ასახვა სასკოლო კურიკულუმში, სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს არ განუხორციელებია კომპლექსური დავალებები, ეს აღნიშნული აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმშიც.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრესიას გამოვლენილი ფაქტებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესისი დაგეგმვისას სკოლა იყენებს წინა წლის შედეგებს. იკრიბება კათედრის სხდომები,სადაც პედაგოგები განიხილავენ განვლილი წლის შედეგებს , გაანალიზებენ და ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რის შედეგაც დაგეგმავენ კონკრეტულ აქტივოებებს შედეგის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ვინაიდან პროექტული სწავლება გასულ წელს შევიდა საშუალო საფეხურზე, პირველად ახორციელებდა ხელოვნების საგანი. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს, რომ პროექტის შესრულებისას საორიენტაციოდ იყენებენ მეთოდურ სახელმძღვანელოს და ამუშავებენ მოცემულ საკითხებს. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა: 2023-2024 წლისათვის სკოლა გეგმავს, დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოავლინოს პრობლემები, წინარე ცოდნის გამოცდილების რეფლექსიაზე დაყრდნობით გადაამუშაოს და სრულყოს კურიკულუმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება და კურიკულუმებზე მუშაობისას აქტიურად თანამშრომლობენ საბუნებისმეტყველო მიმართულებების მასწავლებლბთანაც, რომლებთანაც ერთ კათედრაში არიან გაერთიანებული; მათემატიკის და საბუნებისმეტყველო კათედრის (საშუალო საფეხურის) გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ პედაგოგები თვითრეფლექსიასა და პრაქტიკის კვლევაზე დაყრდნობით. 2.1.2.5 ინდიკატორში იკვეთება სკოლის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო**: კურუკულუმის ჩარჩო
- ინდ. გეგმები
- შეფასების რუბრიკა
- **საზოგადოებრივი**:
- საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.
- **უცხო ენები:** საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.
- წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მაგალითები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი.
- **სახელმწიფო ენა:** დანართი 25.
- **მათემატიკა:** საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2)
- განმავიტარებელი შეფასების რუბრიკა (დანართი#2)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობა არასრულ სურათს იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე, რადგან შუალედური მიზნები ზოგიერთ თემასთან არის განსაზღვრული კომპლექსური დავალებებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, როგორ ხდება სასწავლო პროცესში გარკვეულწილად მოსწავლეთა თვითეფექტურობისა და შინაგანი მოტივაციის გაზრდა; სწავლის პროცესში მოსწავლის მოსაზრებები და სურვილები გათვლისწინებულია და ის არის ერთიანი გუნდის ნაწილი; მოსწავლის შეცდომები აღიქმება ადეკვატურად და არაკრიტიკულად და მიეცემა საშუალება გამოასწოროს შეცდომა ადეკვატური უკუკავშირის საფუძველზე. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და სავალდებულო თემების ფარგლებში დაგეგმილი შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი შესაძლებლობას მოგვცემს მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესებში, მაგ. გეოგრაფიის, მოქალაქეობის, საქართველოს ისტორიისა და ისტორიის საგნებში მე-10 კლასში დაგეგმილია სხვადასხვა საკითხების შესწავლა კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და შექმნან ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორიცაა - ინფოგრაფიკა, მოხსენება, დღიურის ჩანაწერები, დროის ხაზი... და ამ პროდუქტების დახმარებით დაადასტურონ თავისი ცოდნა შესასწავლი საკითხებისადმი. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად სწორედ კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსზე, მიზნებსა და მითითებულ განსახორციელებელ აქტივობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ,რომ სასწავლო პროცესი უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სახვითი და გამოყენებითი საგნის პედაგოგის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტის გეგმა, თვალადზე ,,ძლევისქედზე“ მდებარე წმ. გიორგის ეკლესია რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უნდა შეესრულებინათ სხვადასხვა სახის კვლევები: ძეგლის აღწერა, ჩანახატების გაკეთება, ძეგლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ესეს დაწერა და პრეზენტაცია.

მსგავსი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას და პოზიტიურ დამოკიდებულებებს. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლა გამოხატავს მზაობას, მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები, შესთავაზოს საინტერესო, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებისათვის იზრუნოს მის პიროვნულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე, მაქსიმალურად დაეხმაროს მოსწავლეს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოავლინოს საკუთარი თავი, რისთვისაც შეისწავლის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობას, ფსიქოლოგიურ მახასიათებელს და ინტერესს, შესთავაზებს დაძლევად დავალებებს, რათა ჰქონდეს წარმატების განცდა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოკვეთეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის გზები(სასწავლო პროექტები, მრავალფეროვანი დავალებები, თანამშრომლობითი სწავლება...). დასტურდება 2.2.1.1 ინდიკატორის სტანდარტთან **შესაბამისობა**.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცხოვრებისეულ პრაქტიკულ მაგალითებზე დამყარებული კონტექსტებით, რასაც ადასტურებს მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები.მაგ: გაკვეთილის საწყის ეტაპზე მოსწავლეს ვასწავლით ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვებას, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას და ამრიგად ცოდნის კონსტრუირება-შენებას.ამას ასევე უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა, მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო პროცესში ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავებისას შექმნას ისეთი მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. სასურველია, სასკოლო კურიკულუმის დანართზე მუშაობის დროს, კომპლექსური დავალებების პირობების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი პრინციპები, რომ მოსწავლემ დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა ადასტურებს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება კონსტრუქტივისტული მიდგომით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ, რომ ახალი ცოდნის აგება,მოხდეს წინარე ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტის აღწერიდან ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირებისას ითვალისწინებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნაცნობ კონტექსტებს, წინარე ცოდნას და ინტერესებს,რათა მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროექტში ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და გრძელვადიან მიზანზე გასვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს, რომ ცოდნის უწყვეტობა სასწავლო პროცესის ეფექტურობის საფუძველია. სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას ეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირება. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გაკვეთილის საწყის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ეტაპზე ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით, ახალი ინფორმაციის შეგროვებით, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა - მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (მე-10 და მე-12 კლასები) წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სტანდარტის შედეგები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. მოსწავლისთვის შეთავაზებული კარგად ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას და ცოდნის ტრანსფერს. დასტურდება 2.2.1.2 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებისთვის დასმულ მეტაკოგნიტურ შეკითხვებს, რითაც ხელს უწყობენ მოსწავლეებში თვითრეფლექსიის უნარების განვითარებას, პროცესის ხელახლა გადააზრებას.
ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას მისცემს დაგეგმონ სასწავლო პროცესი ისე რომ დაეუფლონ მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა ხერხებსა და მიდგომებს გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას და როგორ წარმოაჩენენ თავის ცოდნას ნამუშევარში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს და მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა -სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.
მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებელი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას.ისინი ცდილობენ რეგულარულად იმუშაონ იმაზე,რომ მოსწავლემ შეძლოს შესრულებულ დავალებაზე საუბარი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. ახდენს რეფლექსიას. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება. დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა, სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება, განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა. ხელოვნების მე-10 კლასის პროექტში ჩანს ისეთი იდეა, სადაც პედაგოგს და მოსწავლეებს დასჭირდებათ მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას. ამ შემთხვევაში კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს, რომ საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება-გაანალიზება დაეხმარება მას პიროვნულ განვითარებაში და გამოხატავს მზაობას, აქცენტი გააკეთოს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ ამის გამოცდილება სკოლას აქვს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში იგეგმება სწავლის სწავლაზე ყურადღების გამახვილება. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ და კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავებისას აუცილებლად ითვალისწინებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიას. დგინდება 2.2.1.3 ინდიკატორის სტანდარტთან **შესაბამისობა**.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - - კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე და გასაუბრების შედეგად გამოკვეთილ მათი განხორციელების სავარაუდო ნაბიჯებზე/სტრატეგიებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან პედაგოგები, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობენ, სასწავლო პროცესში გამოიყენონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც საკითხის/სამიზნე ცნების/მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას მისცემს დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის აგებაზე იყოს ორიენტირებული. სასურველია, თითოეული საგნის კურიკულუმის დანართებზე მუშაობის დროს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ნაბიჯებად დამუშავდეს შეფასების კრიტერიუმები ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ამ ცოდნის რეალიზება და სხვადასხვა კონტექსტში ადეკვატურად გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საგნობრივ პროგრამებში, კერძოდ კი წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, კარგად არის ასახული, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მოსწავლემ საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია. ხელოვნების პედაგოგის მიერ წარმოდგენილ პროექტში გაწერილია, (თუმცა კონკრეტული მტკიცებულებები არ არის) რომ მოსწავლეებმა შეძლეს ძეგლის ტიპის აღწერა, ყურადღება გაამახვილეს ძეგლის ფასადზე, შიდა ინტერიერზე . გააკეთეს ჩანახატები, დაწერეს ესეები ,გააკეთეს პრეზენტაცია და აუდიტორიას წარუდგინეს კვლევის შედეგები. ჩანაწერი ადასტურებს რომ აქცენტი გაკეთებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისკენ. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი პროგრამები მორგებულია ცოდმის სამ კატეგორიაზე: დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. სკოლის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. თემები ისეა შერჩეული, რომ მორგებულია მის ინტერესებსა და საჭიროებებს. მოსწავლე თავს უყრის ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რომლებიც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებული პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე და საბოლოო პროდუქტის შექმნზე. მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომლებიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. მაგალითად, საშუალო საფეხურზე განხორციელდა საზოგადოება „ბილიკის“ ორგანიზებით სამოქალაქო განათლების მიმართულების პროექტი: “სამოქალაქო განათლება-პროექტებით სწავლება“: შექმნილია „მწვანე კლუბი“, რომელიც ახორციელებს პროექტს თემაზე „ნარჩენების სეპარირება“. ასევე თითოეული კლასის დმრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო საათების თემატიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებაში. მომავალში სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით უფრო მეტად გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით, პრობლემაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებების დაგეგმვით, რაც სკოლას საშუალებას მისცემს ორიენტაცია აიღოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასკოლო კურიკულუმებში განსაზღვრულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რაც აგრეთვე შეუწყობს ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სიღრმისეული სწავლების პრინციპების დანერგვას სკოლაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა პედაგოგთა კომპეტენცია აღნიშნულ საკითხში. დგინდება სტანდარტის მოთხოვნებთან 2.2.1.4 ინდიკატორის **შესაბამისობა.**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში გარკვეულწილად უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიერ მიღებულ/დაგროვებულ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, ასევე გასაუბრებისას აღწერილი სასკოლო პროექტები/სხვადასხვა აქტივობები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას . პედაგოგთა აღწერით, მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომელიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდა პროექტები. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა უფრო აქტიურად დაგეგმავს საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა თემატიკის პროექტებს STEAM -საგნების მიმართულებით.

საშუალო საფეხურის თითოეული კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო საათების ისეთი თემატიკა, რაც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას, მიღებული ცოდნის სხვა კონტექსტში გამოყენებას. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა , რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ შემდეგი: ცოდნის საჭიროებაზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას გვაძლევს მოსწავლემ დაინახოს ცოდნის მიღებისა და უნარების განვითარების საჭიროებები, დააკავშიროს სწავლის პროცესი შედეგთან და დასახოს მიზნები საკუთარი შესაძლებლობების შეფასების შემდეგ. დაგეგმილია ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრული კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს პედაგოგს დავალების განხორციელების პროცესში ორიენტირებული იყოს პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომელიც საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება.

უცხოური ენები - კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პროექტებით სწავლება და ზოგადად სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.პროექტებით სწავლება იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას და მოსწავლეს აძლევს ფიქრის საშუალებას, გამოყოს პრობლემა და თავი მოუყაროს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კრიტერიუმი **აკმაყოფილებს** სტანდარტს.

სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურზე შედგენილი კურიკულუმი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული სტანდარტების რეალიზების საშუალებას. დავალებები აგებულია თემატურად, შერჩეული თემები უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. რადგან საკითხის შინაარსი და პრობლემა მოსწავლისათვის უცხო არ არის, ის იწყებს პრობლემასა და გამოწვევაზე ფიქრს. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რაც ზრდის გაზრების, დამახსოვრების და ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლა კურიკულუმში გეგმავს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე, რაც გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარის გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების წარმატებით შესრულება მოსწავლისაგან მოითხოვს მიგნებების განხილვა/დასაბუთებას, არგუმენტირებას, შეძენილი ცოდნის და გამოცდილების ორგანიზებას/ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად დასტურდება 2.2.1.5 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო:** საგნობრივი კურუკულუმები
- სასწავლო პროექტები
- კლუბის აქტივობები
- მოსწავლეთა ნაშრომები
- **საზოგადოებრივი**: საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.
- **უცხო ენები**: რუსული ენისა და ინგლისური ენის კურიკულუმები
- **ესთეტიკური აღზრდა:** საგნობრივი კურიკულუმები
- წარმოდგენილი პროექტები
- **მათემატიკა:** საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები(დანართი#2)
- კათედრის ოქმი (დანართი#2).

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრების და თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ესგ-თი გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამის ფარგლებში, მაგრამ ნაკლებად იყო ყურადღება გამახვილებული საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე სრულყოფილად. თუმცა პედაგოგთა უმეტესობა გააზრებულად(თეორიულად) წარმოაჩენს შემდეგს: საფეხურის შედეგებიდან გამომდინარე მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს სამიზნე ცნებებს, დააზუსტოს მკვიდრი წარმოდგენები, მკვიდრ წარმოდგენების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ქვეცნებები, ქვესაკითხები და საკვანძო შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც დამუშავდება სამიზნე ცნება. მსჯელობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმი უნდა იყოს რეალიზებული კომპლექსური დავალებებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რეფლექსიით. აქედან გამომდინარე, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ სასწავლო პროცესში უფრო მიზანმიმართულად უზრუნველყონ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. მაგ. მე-10 კლასის ისტორიის, საქართველოს ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გამოკვეთილია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება. სასურველია, გეოგრაფიის და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებშიც იმ შესასწავლ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც ამ ეტაპზე არ იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება, განისაზღვროს რომელი საკითხი, რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს დაფარავს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა დაგეგმილია კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით.

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი კურიკულუმიდან, განსაკუთრებით მუსიკის საგნის კურიკულუმიდან (რომელშიც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები) ჩანს რომ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს, რომ საფეხურის შედეგებს განსაზღვრავს სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ქვეცნებები, ქვესაკითხები და საკვანძო შეკითხვებით დამუშავდება სამიზნე ცნება. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ორიენტირებული და განახორციელოს კონსტრუქტივისტული მიდგომები. კერძოდ, მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შეავსებს ახალი კომპლექსური დავალებებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - მტკიცებულების სახით წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასთან დაკავშირებით. თემატური დაგეგმვისას მნიშვნელოვანია საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებას/მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირების სწორი ასახვა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება. იკვეთება 2.2.2.1 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ესგ-ით განსაზღვრული პროგრამები მიემართება მოსწავლის პიროვნული განვითარებისკენ. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, საგნობრივ კურიკულუმში სტადარტიდან სავალდებულოდ შესასწავლად გადატანილია თემები და შერჩეულია მათი დასამუშავებელი ძირითადი საკითხები, ასევე, მათთან მიმართებით ირჩევა განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა საკლასო/სასკოლო აქტივობები, ცხადია, გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და ორიენტირებულია მის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნის კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასურველია, სასწავლო პროცესში ისე დაიგეგმოს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

უცხოური ენები - გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი,რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ პროექტებით სწავლება ესთეტიკური მიმართულების საგნებში, ემსახურება მოსწავლის ფსიქო-ემოციური, სოციალური, შემოქმედებითი, კრიტიკული უნარების განვითარებას. სკოლა მოსწავლის ფიზიკური, გონებრივი, პიროვნული ზრდის, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის სამომავლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოიყენებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს,თვითშეფასების რუბრიკებს, პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას.

კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლაში სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლის ფიზიკური, გონებრივი, პიროვნული ზრდის, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს მის თვითრეგულირებას, სოციალურ ცნობიერებას, ურთიერთობის უნარებს და პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებებზე. ამ მიმართულებით სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში. ამ მიზნით შესთავაზებს საინტერესო კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება არც ადვილი იყოს და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . იკვეთება 2.2.2.2 ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილ შეფასების მასალების (მოსწავლეთა შეფასება სოლო-ტქსონომიით,განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ანალიზის ფორმა) გაცნობამ ცხადყო, რომ შეფასებისას მასწავლებელი აქცენტს აკეთებს როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კლასებში თვალსაჩინოდ აქვთ გამოკრული შეფასების რუბრიკები სხვადასხვა მიმართულებით: პრეზენტირების, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის უნარების. თუმცა, იმისათვის, რომ შეფასების სისტემა იყოს მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, საჭიროა მუშაობა. აღნიშნეს, რომ სამუშაო ჯგუფებში კიდევ ერთხელ უნდა გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მექანიზმები-რა უნდა იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების საფუძველი და გეგმავენ, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მზად ექნებათ თავდაპირველად შესასწავლი თემების მიმართ შედგენილი რუბრიკები, რაც დაეხმარებათ, სწორად განსაზღვრონ მოლოდინები მისაღწევ შედეგებთან მიმართებაში. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები გეოგრაფიის, მოქალაქეობისა და ისტორიის საგნებში, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. როგორც ინტერვიუზე აღნიშნეს პედაგოგებმა იყენებენ სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. ამ ეტაპისათვის პედაგოგები აკეთებენ ზეპირ განმავითრებელ შეფასებას, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებზე მორგებული წერილობითი ფორმის შემუშავებას. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება და ინსტრუმენტი.შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო ოთხი ინსტრუმენტიდან აირჩა მეორე ინსტრუმენტი.
სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასებას სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. დაზუსტების მიზნით სემესტრში ერთხელ. მონაცემები დამუშავდება კათედრაზე და გააცნობენ სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა რომ, პროექტული სწავლებისას, კათედრა ხელმძღვანელობს სასწავლო წიგნებში მოცემული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, თითოეულ პროექტის იდეასთან მიმართებით. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში საშუალო საფეხურზე გამოიყენება შეფასების ორ ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამ ორი კომპონენტის გამოყენებით ფასდება მოსწავლეების შესაძლებლობები, უნარები, აქტიურობა. შეფასება მასწავლებლებს ეხმარება, განსაღვრონ, მოსწავლე რა დონეს ფლობს და გარკვეული აქტივობების განხორციელების შემდეგ როგორ გააუმჯობესებს მიღწევებს. მოსწავლეებს საშუალება აქვთ აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში კრიტერიუმების განხილვის, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასებით, განსაღვრონ და განავითარონ ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების, როგორც პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, ამოცანები. კათედრის ოქმის მიხედვით, ახალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს არსებული შეფასების რუბრიკების სრულყოფას, აგრეთვე გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვას. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები მოსწავლის შეფასების მნიშვნელობასა და ამოცანებზე. დგინდება სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა ამჟამად იყენებს შეფასების რამდენიმე რუბრიკას, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში და მეტ-ნაკლებად გააზრებულია მოსწავლეების მხრიდან. რუბრიკები ჰოლისტურია, ნათლად არ ასახავს კონკრეტული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის გაზომვის საშუალებას. შესაბამისად, სრულად არ იძლევა იმის აღიარების საშუალებას , რომ შეფასება ვალიდური, სანდო, ობიექტური იქნება. ასევე, წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების ფორმა. გასაუბრებისას ცხადი გახდა , რომ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე ჩატარებულ ვებინარებზე მიიღეს რეკომენდაცია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენის მექანიზმებზე, აქვთ განხილული შაბლონები და ახალი სასწავლო წლის დადგომამდე მოხდება მათზე მუშაობა და ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მზად ექნებათ თავდაპირველად შესასწავლი თემების მიმართ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შედგენილი რუბრიკები, შემდეგ კი ეტაპობრივად შექმნიან დანარჩენი თემების თუ კომპლექსური დავალებებისთვის. აქვთ იდეა, რომ შეფასების კრიტერიუმების შეფასებაში ჩართავენ მოსწავლეებს. ამით ჩამოუყალიბდებათ მეტი პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა, დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს, რის შედეგადაც შეძლებენ საკუთარი პროგრესის და ასევე სწავლის ხარისხის შეფასებას. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს უკეთ გააზრებული ექნება რა უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა და ნაშრომმა.
ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ობიექტურად შევაფასოთ თითოეული მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწვალეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ კალსებში გამოკრული აქვთ განმსაზღვრელი შეფსების რუბრიკები, რასაც მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, პედაგოგებმა შეიმუშავონ კონკრეტული კლასის მზაობისთვის შესაფერისი შეფასების რუბრიკები, თუნდაც სახელმძღვანელოს შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება არის საწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და შემუშავებული უნდა იყოს სკოლის საზოგადოების მიერ მასწავლებლის, კათედრის, მოსწავლეების ჩართულობით. სკოლა გეგმავს დახვეწოს შეფასების სისტემა, რომელიც განხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. მიზანი განსაზღვრავს შეფასების შინაარსსა და ასევე პროცესს, რომლითაც მიიღწევა შედეგი. შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები მოისწავლეთა ჩართულობით, რაც მათ ჩამოუყალიბებს გარკვეული პასუხისმგებლობის განცდას და მისცემს საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრებზე მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების პედაგოგებთან ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების შეჯერებას, კათედრის ოქმიდან ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კატედრა გეგმავს შეფასების რუბრიკების შეჯერებას/სრულყოფას როგორც კათედრაზე, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებთან. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა სკოლაში. აუცილებელია შეფასების ვერიფიკაციის გამართული სისტემის აწყობა.ამ ეტაპზე პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ არსებობდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა არსებობს მისი შემუშავების მზაობა. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავდება მექანიზმი, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. ამ ეტაპზე სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების მე-2 ტიპი- „საკლასო წერა“. ყურადღება მიექცევა, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი არ აქვს მის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრება და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელზსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

უცხოური ენები - გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს შეიქმნას ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასთვის სპეციალური ჯგუფი, რომელიც წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძელზე შეამოწმებს უცხო ენის დაწყებითი საფეხურის შედეგებს , არსებული შეფასების სისიტემით ვალიდურობასა და გამჭირვალობას. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ აპირებს გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული მექანიზმი გაწერილი იყოს შეფასების სისტემის რეგულაციაში ან არსებობდეს დამოუკიდებლად, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

სახელმწიფო ენა: ამჟამად სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა. სკოლა გეგმავს მის შემუშავებას, რომელსაც გაწერს შეფასების სისტემის რეგულაციაში დამოუკიდებლად, სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის შედეგების ანალიზი განხორციელებული შეფასებების მიხედვით, სკოლის შედეგების სტატისტიკური ანალიზით და რეფლექსიით. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

მათემატიკა - სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. თვითშეფასების კითხვარის თანახმად, შიდა ვერიფიკაციის სისტემაზე მუსაობა ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება. **ინდიკატორი 2.2.2.5 შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ შესაბამისობის გეგმით დათქმულ პერიოდში (01.09.2023წ. - 16.10.2023წ.) შეიმუშავა და წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #2-78 16.10.2023წ. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით ამისათვის განკუთვნილ სივრცეში . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული დოკუმენტი, რომელიც ეხება მოსწავლის პირად საქმეს, შეფასებებს, ინახება წესისამებრ. რაც შეეხება მოსწავლეების ნაშრომებს, შემაჯამებლებს, პროექტებს, ზედმიწევნით არ ინახება, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან გამოიყოფა ადგილი,სადაც დასაწყობდება აღნიშნული დოკუმენტაცია,აგრეთვე სკოლის დირექციიდან ერთი პირი,რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დოკუმენტაციის შენახვის.ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

უცხოური ენები - პედაგოგებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა ,რომ სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება. კერძოდ: მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა.

ესთეტიკური აღზრდა - არცერთი დოკუმენტის ჩანაწერში არ იკითხება, როგორ მოხდება ინფორმაციის შენახვა პროექტული სწავლების შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროექტის პროდუქტიდან გამომდინარე მოხდება. (მაგ: ბუკლეტი, ჩანახატი,ესეები, საკონფერენციო მოხსენებები, სტატიები და ა.შ.)თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სკოლა მომავალში იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებაზე და უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **აკმაყოფილებს 2.2.2.6. ინდიკატორს.**

სახელმწიფო ენა: მოსწავლეთა პირადი საქმეები, შეფასებები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დროით, ხოლო მოსწავლეების ნაშრომები, შემაჯამებლები, პროექტები ზედმიწევნით არ ინახება. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გამოყოს სპეციალური სივრცე, შეინახება აღნიშნული მასალები, აგრეთვე სკოლის დირექცის შეარჩევს მათ შენახვაზე პასუხისმგებელ პირს. ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

მათემატიკა - გასაუბრებისას გაიკვა, რომ კათედრაზე ინახება შეფასებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მასალა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ასეთი ტიპის ინფორმაციისა და მტკიცებულების აღრიცხვისა და შენახვის პროცედურების მოწესრიგებას. იკვეთება სტანდარტის მოთხოვნებთან **შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო**: კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები
- შეფასების რუბრუკები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები
- **საზოგადოებრივი:** საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- **უცხო ენები:** საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები.
- ინგლისური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი.
- **ესთეტიკური აღზრდა:** წარმოდგენილი პროექტები
- სასწავლო გეგმები (კურიკულუმები)
- **სახელმწიფო ენა:** დანართი #4.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემებზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. ხდება მათი წახალისება. (საახალწლო ღონისძიებები,შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები,მუსიკალური ღონიზძიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა,სკოლის ეზოს გამწვანების აქცია,ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება).

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება). **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმებით. უცხო ენის კათედრის ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ.
ესთეტიკური აღზრდა - განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები, აქტივობები გვაძლევს იმის საშუალებას ვიფიქროთ რომ, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა: სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. მათი ჩართულობით ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემაზე. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. საახალწლო ღონისძიებები, შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები, მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, სკოლის ეზოს გამწვანების აქცია, ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება. მომავალში სკოლა ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა - სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება კათედრებზე თანამშრომლობის დოკუმენტებით, კურიკულუმში პრობლემაზე ორიენტირებული საგნობრივი დავალებებით, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პოზიტიური გარემოს შექმნას საწავლო პროცესში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება პოზიტიურ გარემოში ხდება, სკოლას აქვს ისგ განვითარების გეგმა. პროცესი **შესაბამისობაშია** ინდიკატორის მოთხოვნებთან;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, არსებული კლუბის საქმიანობა ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. ფიზიკა/ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორიის რესურსები მწირია სახალისო/შემეცნებითი კვლევითი აქტივობების/ექსპერიმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ჩასატარებლად, რაც შესაძლოა აისახოს მოტივაციაზეც, თუმცა სკოლამ იზრუნა ელემენტარული აღჭურვილობის შეძენაზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის(სინჯარები, კოლბები, რეაქტივები) , სადაც დაიგეგმება მარტივი კვლევითი სამუშაოები. ხშირად იგეგმება და ტარდება აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემატიკაზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული.სკოლა მომავალში გეგმავს, რომ მოხდეს მოსწავლეების პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინკლუზიური გარემო. მოსწავლეებს აქვთ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს ნაწილობრივ სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმებში წარმოდგენილი პროექტები, გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

სკოლას საშუალო საფეხურზე ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე. მათთვის შექმნილია იკლუზიური გარემო, აქვთ რესურსოთახი და წვდომა სხვადასხვა რესურსებზე, რომელთა გამოყენება უადვილებს პედაგოგებს სასურველი შედეგების მიღწევას. მოსწავლეებს აქვთ ასევე საკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლის შენობაში.სკოლას აქვს პანდუსი,ადაპტირებული საპირფარეშოები,როგორც სკოლის შენობაში,ასევე სპორტ. დარბაზში- ვკითხულობთ ავტორიზაციის განაცხადის ფორმაში. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებული უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ასევე ცდილობენ, უზრურნველყონ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. სკოლა მომავალში გეგმავს, რომ ჩაატაროს დიაგნოსტიკური შეფასება, განახორციელოს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები და სასწავლო პროცესი ისე დაგეგმოს, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის საჭიროება. სკოლას საშუალო საფეხურზე ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შექმნილია იკლუზიური გარემო. იგეგმება პროექტები როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მიმართულებით, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევა მოსწავლის ინტერესების შესაბამისად. და დაგეგმილი დავალებების მიზანია საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა, აგრეთვე მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება . იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა გეგმავს დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, მატემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი სასწავლო რესურსები. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებულ პროექტებში/სასკოლო ღონისძიებებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი. თუმცა, სოფლის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მშობელთა ჩართულობა შედარებით დაბალია. კოლეგებს შორის ჰარმონიული განწყობაა; ისინი ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში, ესწრებიან გაკვეთილებზე, იღებენ უკუკავშირს, მეგობრულ რჩევასა და კრიტიკას ერთმანეთისგან. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებითი საფეხურზე უცხო ენის , როგორც **ინგლისური ენის** ასვე **რუსული ენის** მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

ესთეტიკური აღზრდა - ერთობლივად განხორციელებული პროექტები მიუთითებს სკოლაში თანამშრომლობით კულტურაზე. პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს რომ, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, უზიარებენ ერთმანეთს აზრს, გეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლაში პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს კოლეგებს შორის თანამშრომლობა, თითოეული მასწავლებლის ჩართულობა. ისინი ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში, ესწრებიან გაკვეთილებზე, იღებენ უკუკავშირს, მეგობრულ რჩევას და კრიტიკას კოლეგებისგან, კათედრები ურთიერთთანამშრომლობენ, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს მათემატიკის, ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაერთიანებული კათედრა, ახალი კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები კათედრაზე ტექნიკური მიმართულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ყველა პედაგოგის აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა. კათედრას დაგეგმილი აქვს 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი აქტივობები(კათედრის გადაწყვეტილება). პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ცხადია, რომ გარკვეულწილად უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა მეტი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სამომავლო ერთწლიან გეგმაში სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხოციელებას, რომელებიც ორიენტირებული იქნება ჩართულობაზე, პატივისცემაზე: შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები,მუსიკალური ღონისძიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა,სკოლის ეზოს გამწვანების აქცია და სხვა..გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ შეძენილი მცირე ქიმიური რეაქტივების გამოყენებით დაგეგმავენ სახალისო ექსპერიმენტებს, მოახდენენ ცდების დემონსტრირებას. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს.

უცხოური ენები - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა,ნდობა,აღიარება,მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. **ინგლისური** და **რუსული ენის** კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში გაწერილი არის ის საკითხები, რომლებიც განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს. პოზიტიურ კლიმატზე მიუთითებს ასევე ღონისძიებები, გამოფენები და სხვადასხვა აქციები რომლებშიც ჩართულია მოსწავლეები მათი შესაძლებლობების მიხედვით. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა: დირექცია ახორციელებს მასწავლებელთა მხარდაჭერას, თუმცა მეტი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად მომავალი სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხოციელებას, რომელებიც ორიენტირებული იქნება ჩართულობაზე, პატივისცემაზე, ზრუნვასა და მხადაჭერაზე. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. კერძოდ: შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები, მუსიკალური ღონისძიებები,მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, სკოლის ეზოს გამწვანების აქცია, ბავშვთა დაცვის საეთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკა - .სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დადასტურდა გასაუბრების პროცესში. კერძოდ კატედრაზე იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება სასკოლო საზოგადოებასთან და დაემყარება პოზიტიურ უკუკავშირს. კათედრა აპირებს დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე, რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებაში მიკუთვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში. პროცესი **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო:** კურიკულუმები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- სასკოლო პროექტები
- ღონისძიებების დროს შექმნილი/გამოყენებული რესურსები/თვალსაჩინოებები
- **საზოგადოებრივი:** საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- უცხო ენების კურიკულუმები
- შეხვედრის ოქმი
- **ესთეტიკური აღზრდა:** წარმოდგენილი პროექტები
- ისგ სხდომის ოქმი
- კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა
- **მათემატიკა**: ისგ სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- რეფერირების წესი
- კათედრის სხდომის ოქმები - კათედრის გადაწყვეტილება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ამ ეტაპზე სკოლაში არ ხორციელდება კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც კვლავ საჭიროებს დახვეწას. საუბრისას აღნიშნეს, რომ მეთოდოლოგიური ჩარჩო ცალსახად გამოკვეთს კურიკულუმის მიზნებსა და ამოცანებს, განსაზღვრავს ინდიკატორებს; მოხდება იმ მონაცემთა შეგროვება, რაც გაზომავს თითოეულ ინდიკატორს. განისაზღვრება პასუხსიმგებელი პირები თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაზე. ამის შემდეგ მოხდება მონაცემების ანალიზი და შეფასება. აღნიშნეს, რომ შედეგები გამოყენებული იქნებაკურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრით.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და დაგეგმილი აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უცხოური ენები - მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია უცხო ენის კათედრის **ინგლისური ენის** და **რუსული ენის** მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, გასაუბრებისას აღნიშნეს რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. ამის შედეგად გაკეთდება ანალიზი და შეფასება რის შედეგადაც მოხდება კურუკულუმების განახლება. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა -

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

შეფასება წარიმართება 3 მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

ამ ეტაპზე სკოლაში არ ხორციელდება კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი. ახალი სასწავლო წლიდან მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე, სკოლა შეიმუშავებს გეგმას თუ როგორ და რის საფუძველზე მოხდება მონაცემების შეგროვება, ანალიზი და როგორ აისახება კურიკულუმში. **2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტს.**

სახელმწიფო ენა: სკოლაში კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი სკოლაში არ ხორციელდებოდა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგი იქნება საწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე სკოლა შეიმუშავებს მეთოდოლოგიას, სადაც განისაზღვრება, როგორი იქნება შეფასება, რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, განისზღვრება ინდიკატორები და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისგებელი პირი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს კურიკულუმის შემუსავების მეთოდოლოგია, თუმცა ის ძალიან ზოგადია და მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი არ ჩანს. თუმცა მათემატიკის კათედრის გადაწყვეტილებაში და მონიტორინგის დოკუმენტში ჩანს ის ნსტრუმენტები, რომლებითაც მოხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება(მაგ. დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასება სემესტრში ერთხელ). ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას დადგინდა, რომ არსებული მონიტორინგის ფორმა და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, ანალიტიკური რუბრიკები, რომლებიც გამოკრულია კლასებში თვალსაჩინოდ. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას აღქმული აქვს ერთ-ერთ საჭიროებად მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მნიშვნელობა, სასურველია, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებლებმა უნდა შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - გასაუბრებაზე მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა , რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, მოსწავლეების ინტერესებს და ცვლილებები რომლებიც შევა საგნობრივ კურუკულუმებში უპირობოდ მიმართული იქნება სასკლო საზოგადოების წევრების, მოსწავლეების მხარდაჭერსა და დახმარებაზე.

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრას; მასწავლებლები მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასების საფუძველზე დააკვირდებიან საკუთარ პრაქტიკასაც. დაკვირვების და ანალიზის საფუძველზე,სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოვლენისა და გასწორების მიზნით, შეიმუშავებენ თვითშეფასების რუბრიკებს.

ეს ყველაფერი მიუთითებს რომ, **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა პრობლემების იდენტიფიცირებაში, წარმატების გაზომვასა და შეცდომების გააზრებაში. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლის სწავლის პროცესის შეფასებას, პრობლემური მიმართულებების გამოკვეთას, შესაბამისი უკუკავშირის მიცემას. მიგნებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის დაგეგმვას. ამის საფუძველზე გაანალიზდება სასკოლო საზოგადოების მიღწევები და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი გეგმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა - როგორც გასაუბრების და კათედრის გადაწყვეტილების შედეგად გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება, რომლისთვისაც სკოლის დონეზე მზადდება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. საიაგნოსტიკო შეფასებები ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი მიზანია შეფასების სისტემის სრულყოფა და სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესში ინტერვენციების დასაგეგმად. მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების პროცედურები. ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - გასაუბრებისას ცხადი იყო, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დაისახება გეგმა პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად , მაგ: მათი თქმით, ეს შეიძლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

იყოს კვლევითი კითხვარი, რომელიც შეფასების პროცესს პასუხობს. სკოლას აქვს მზაობა, ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა, დასახოს სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.

უცხოური ენები - მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში აისახება კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია.

ესთეტიკური აღზრდა - ავტორიზაციის განაცხადში ვკითხულობთ: სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე გამოვკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დასახავს რა გზებით და შესაძლებლობებით დაძლევს პრობლემებს. პრობლემის გადასაჭრელად აპირებენ გამოიყენონ კვლევითი კითხვარი, რომელიც შეფასების პროცესს პასუხობს, რადგან კითხვებზე პასუხი არის სამოქმედო გეგმის ნაწილი.სკოლა ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, დასახავს სამოქმედო გეგმას. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დასახავს პრობლემის დაძლევის გზებს. განახორციელებს კვლევას კითხვარების გამოყენებით. კვლევის შედეგებს გამოიყენებს პროცესი დაგეგმვისას, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, დასახავს სამოქმედო გეგმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა - 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თვითრეფლექსიაზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი დიაგნოსტიკური შეფასებები და ზოგადად, შეფასებების ანალიზები გახდება პრობლემის იდენტიფიცირებისა და სასწავლო პროცესის კორექტირება/დაზუსტების საფუძველი. ამ ეტაპზე იკვეთება ინდიკატორის **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო:** კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის შაბლონი
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი
- **საზოგადოებრივი:** სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ინგლისური ენის კურიკულუმები
- რუსული ენის კურიკულუმები
-

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - -სკოლაში ამ ეტაპზე არ არსებობს ინსტრუმენტები , რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. თუმცა სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყობს მათ გამოცდილებას და მზაობას იმისთვის, რომ შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს. კათედრა ამ ეტაპისთვის იყენებს სოლო ტაქსონომიის მიხედვით შეფასების რუბრიკებს. სკოლამ აირჩია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ტიპი, რომელსაც წელიწადში ორჯერ, სემესტრების ბოლოს ჩაატარებს. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენოს მრავალფეროვანი წყაროები. მაგ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ გამოიყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შესაფასებლად სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც გულისხმობს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესის დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები გეგმავენ განმავითარებელი შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ შეფასებას. კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე, პროექტის პროდუქტისათვის. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მიღწევების შესაბამისობას სტანდრტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეფასება გვაძლევს ინფორმაციას სკოლის, კლასის, მოსწავლის , მასწავლებლის წინსვლის, პრობლემის შესახებ. შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის საქმიანობის დიფერენცირებული ანალიზი, რომლის საშუალებითაც დგინდება ძლიერი და სუსტი მხარეები და უკუკავშირით ეხმარება მოსწავლეს წინსვლაში. ავტორიზაციის მომენტისთვის სკოლამ დაწყებით საფეხურზე აირჩია განმავითარებელი შეფასება. ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. კათედრებმა ამ ეტაპისთვის საგნების მიხედვით შექმნეს შეფასების რუბრიკები. სკოლამ აირჩია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ტიპი, რომელსაც წელიწადში ორჯერ, სემესტრების ბოლოს, ჩაატარებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში, ჯგუფურ მუშაობაში თანამშრომლობას. საკლასო ოთახებში თვალსაჩინოდ ჩანს რუბრიკები: პრეზენტირების, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის და ა.შ. როგორ გასაუბრებისას აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ისეთ შეფასების სისტემას , რომელიც დაეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლის შეფასება მოხდება სხვადასხვა ფაქტორებზე დაკვირვებით. არა მარტო მოსწავლის აკადემიური მიღწევები შეფასდება, არამედ რა ღირებულებები აქვს მოსწავლეს, რა მისწრაფებები, სურვილები და შესაძლებლობები. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით დაიგეგმება ისეთი აქტივობები, რაც მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს: მაგ: კლუბური მუშაობა, პროექტების განხორციელება და სხვადასვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა , კომპლექსური დავალებების განხორციელება. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ კვლევას და შეფასებას წარმართავს სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს და აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას,არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

ესთეტიკური აღზრდა - მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. ესთეტიკის კათედრაზე შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ისეთ შეფასების სისტემას, რომლიც დაეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლე სეფასდება სხვადასხვა ფაქტორეზე დაკვირვებით. მრავალი კონტექსტის გათვალისწინება მისცემს მასწავლებელს დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლის წარმატებას შეუწყობს ხელს, ჩართოს მოსწავლე კლუბურ მუშაობაში, პროექტების განხორციელებასა და და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას ამ ეტაპზე სკოლა არ სარგებლობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; დროისთვის სკოლაში მოსწავლის საგაკვეთილო აქტივობა ფასდება საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულების მინიჭების საშუალებით. აგრეთვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოახდინოს მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოება და შეფასება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მოსწავლეები თავად ჩაერთვებიან მომზადების, შეგროვების და შეფასების პროცესში, რაც მათ სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში მონაცემთა შეგროვებისთვის აღნიშნული აქვს, რომ გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხოური ენები - გასაუბრებაზე გამოიკვეთა ,რომ შეფასებისას დაინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს , თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს.

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა. დაწყებით საფეხურზე მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლეთა პორტფოლიოს წარმოებისა და შეფასების დანერგვას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მოსწავლეები თავად ჩაერთვებიან მომზადების, შეგროვების და შეფასების პროცესში, რაც მათ სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული ფორმა, კონკრეტულად რას და რა საშუალებებით იკვლევს დანერგვის პროცესში. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლის შეფასება მოხდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის პიროვნულ-სოციალური განვითარება, რა სირთულეები აქვს მოსწავლეს სწავლის დროს, როგორია სასწავლო გარემო, როგორ არის მშობელი ჩართული მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაში, როგორია მოსწავლის აქტივობის ხარისხი, როგორია მოსწავლის ინტერესის სფერო. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა მოტივაციას, ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**.

უცხოური ენები - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ინგლისური ენის და რუსული ენის საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**.

ესთეტიკური აღზრდა - არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილებაც. თუმცა, ესთეტიკური საგნების კათედრა აღნიშნავს, რომ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებიდან მომდევნო სასწავლო წელს პრაქტიკაში დანერგავენ პირველ ინსტრუმენტს. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენა: მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა მოსწავლეს შეაფასებს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებიცაა: მოსწავლის პიროვნულ-სოციალური განვითარება, როგორია გაკვეთილისთვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა, რა სირთულეები აქვს მოსწავლესსწავლის დროს, როგორია სასწავლო გარემო, როგორ არის მშობელი ჩართული მოსწავლის სწავლის ხელშეწყობაში, როგორია მოსწავლის აქტივობის ხარისხი, როგორია მოსწავლის ინტერესის სფერო.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო:** კურიკულუმი
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა
- **საზოგადოებრივი:** სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- საბაზო საფეხურის ინგლისური ენის კურიკულუმები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - . სკოლა მომავალი სასწავლო წლის წლის დასრულებამდე შეიმუშავებს იმ აუცილებელ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რისი საშუალებითაც დადგინდება , როგორ მოხდა კურიკულუმის შესრულება, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნო სასწავლო წლისთვის, მიიღებს უკუკავშირს ყველა ჩართული რგოლისგან, რაც მისცემს სკოლას იმის საშუალებას, რომ მომავალში სრულად გაითვალისწინოს წინა წლის სუსტი მხარეები, დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მექანიზმები. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება.
ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის შეხვედრებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორ მიდის საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი და როგორ მოახდენენ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რათა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. მნიშვნელოვანია, რომ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

უცხოური ენები - პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა რომ მომდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები, შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა - შესრულებული კურიკულუმის შეფასების მიზნით სკოლა სამომავლოდ აპირებს სამოქმედო გეგმაში გაწეროს ინდიკატორები რისი საშუალებითაც დადგინდება , როგორ მოხდა კურიკულუმის შესრულება, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნ სასწავლო წლისთვის, მიიღებს უკუკავშირს ყველა ჩართული სტრუქტურული ერთეულისგან, რაც მისცემს სკოლას იმის საშუალებას, რომ მომავალში სრულად გაითვალისწინოს წინა წლის სუსტი მხარეები,დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მექანიზმები. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: ავტორიზაციის მომენტამდე სკოლა ძირითადად კათედრის წევრებთან, სამეურვეო საბჭოსთან გასაუბრებით ადგენდა კურიკულუმის შესრულების ხარისხს. სკოლას არ ჰქონდა გადასინჯვისა და რევიზიისთვის წინასწარ შემუშავებული მექანიზმები. სკოლა მომავლი სასწავლო წლის წლის დაწყებამდე გეგმავს იმ აუცილებელი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისა და მექანიზმების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, როგორ შესრულდა კურიკულუმი, რისი გათვალისწინებაა საჭირო მომდევნო სასწავლო წლისთვის. გადასინჯვისა და რევიზიის შედეგად შეიქმნება გადამუშავებული ვერსია, რომელიც წინა წლის სტატისტიკას დაეფუძნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის წევრებმა ავტორიზაციის განაცხადის შევსების ეტაპზე მეტ-ნაკლებად იმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა , ჯერ კვლავ არ აქვს მას სრულყოფილი სახე. გადამუშავებული ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას , თუმცა ვერ ეყრდნობა გასული სასწავლო წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ვინაიდან არ ჩატარებულა იგი მიზნობრივად. თუმცა, სკოლა იცნობს მონიტორინგის და შეაფასების ინსტრუმენტებს და შესაბამისად მასზე დაყრდნობით შეუძლია ესგ-ის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში ნაწილობრივ არის ასახული წინარე გამოცდილება და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. სკოლა მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე გადაამუშაოს საგნობრივი კურიკულუმები.
უცხოური ენები - გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ მუშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, მათი შედეგები. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდა - დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში არ შემუშავებულა წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი(შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი), თუმცა, სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ისეთ სასკოლო კურიკულუმის შექმნას ,რომლის შემუშავებაში უშუალოდ ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. ახალი კურიკულუმი დაგვანახებს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, როგორ ასახავს ამ საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმი რამდენადაა აგებულია ესგ-ს მიზნებზე, გლობალურ ფუნქციურ უნარზე, სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. ითვალისწინებს თუ არა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. ამის შესამოწმებლად სკოლა გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა: სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახული უნდა იყოს მოსწავლეთა შედეგები, საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ასევე, საფეხურის დონეზე, ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინოს ის პრობლემები, რომლებიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო:** გადამუშავებული კურიკულუმი;
- წლიური სამოქმედო გეგმა;
- **საზოგადოებრივი:** სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება









ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: